



ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა,
მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის
ფონდისთვის



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

გიორგი გვაზავა

**პირითადი პრინციპები
საკონსტიტუციო უფლებებისა**

მეორე გამოცემა

დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით

ქართული სამართლის კლასიკა

თბილისი

2014

UDC(უაკ)342.4(479.22)

გ-441

გიორგი გვაზავას „ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა“ პირველად 1920 წელს გამოიცა. ნაშრომი მეოცე საუკუნის ოციანი წლების ევროპული კონსტიტუციონალიზმის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული გიორგი გვაზავას სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო, არათუ მისი შრომების გამოყენება. საბჭოთა ცენზურამ ერთ-ერთი პირველი სწორედ აღნიშნული წიგნი აკრძალა.

„ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა“ ისეთი ნაშრომია, რომელიც 93 წლის შემდეგაც ინარჩუნებს აქტუალობას. იგი თანაბრად მნიშვნელოვანია იურისტების, პოლიტოლოგების, ისტორიკოსების, კონსტიტუციონალიზმითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თემატიკით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: დიმიტრი გეგენავა

რარიტეტული გამოცემების ჯგუფი: ანა თოხაძე

მონიკა გაბუნია

ნინო ფიროსმანაშვილი

ნათია ღორეული

ალექსანდრე მეტრეველი

მარიამ სხულუხია

ყდის დიზაინი: დიმიტრი გეგენავა

საგამომცემლო უზრუნველყოფა: დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის გამომცემლობა

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2014

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014

ISBN 978-9941-0-6710-5

შინაარსი

მეორე გამოცემის წინათქმა.....	5
შესავლის მაგიერ.....	7
ნაწილი პირველი.....	17
1. სახელმწიფო.....	17
ა) იდეალისტური სკოლა.....	17
ბ) ისტორიული სკოლა.....	20
გ) ნატურალისტური სკოლა.....	21
2. ხელმწიფობა.....	24
3. დანაწილება ხელმწიფობისა.....	27
ნაწილი მეორე.....	32
კანონმდებელი ხელისუფლება.....	32
1. წარმომადგენლობა.....	32
2. საარჩევნო უფლება.....	35
3. პროპორციული სისტემა.....	38
4. წარმომადგენელი.....	43
შეუთავსებლობა და შეუვალობა.....	43
5. კანონმდებლობა.....	48
6. საზღვარი კანონმდებელ ხელისუფლებისა.....	53
7. პარლამენტი და დამფუძნებელი კრება.....	58
8. კონტროლი პარლამენტისა (კითხვა, შეკითხვა, გამოძიება).....	59
9. საბიუჯეტო უფლება.....	61
ნაწილი მესამე.....	65
აღმასრულებელი ხელისუფლება.....	65
1. უფლებრივი საფუძველი.....	65
2. პრეზიდენტი რესპუბლიკისა.....	66

3. შინაარსი აღმასრულებელ ხელისუფლებისა	68
ა) კანონმდებლობაში	68
ბ) მმართველობაში	71
გ) მსჯავრმდებლობაში	73
4. ორგანიზაცია აღმასრულებელ ხელისუფლებისა. კაბინეტური სისტემა ..	74
5. პასუხისმგებლობა მინისტრებისა	76
6. საზღვარი აღმასრულებელი ხელისუფლებისა	79
ნაწილი მეოთხე	81
მსჯავრმდებელი ხელისუფლება	81
1. უფლებრივი საფუძველი	81
2. ფუნქცია მსჯავრმდებელი ხელისუფლებისა	83
3. პრინციპები მართლმსაჯულებისა	84
4. კონტროლი მსჯავრმდებელი ხელისუფლებისა	86
ნაწილი მეხუთე	89
1. კონტროლი ერისა	89
2. გადასინჯვა კონსტიტუციისა	91
ნაწილი მეექვსე	93
1. თავისუფლება	93
2. თანასწორობა	96
3. საზღვარი თავისუფლებისა	98
4. შეზღუდვა თავისუფლებათა	101
5. გარანტია თავისუფლებისა	106
ა) სასამართლო, როგორც გარანტია თავისუფლებისა	106
ბ) საკონსტიტუციო გარანტია	110

მეორე გამოცემის წინათქმა

ქართულენოვანი სამართლებრივი ლიტერატურა რომ ძალზე მწირია, სიახლე ნამდვილად არაა. ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს, თუმცა დაუშვებელია რაოდენობით განისაზღვრებოდეს ლიტერატურის ხარისხი. რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევაში სწორედ რაოდენობრივი სიმრავლე განაპირობებს ხარისხობრივ მატებასაც, თუმცა მწირ ბიბლიოთეკაშიც ყოველთვის მოიძებნება მაღალი ხარისხით გამორჩეული წიგნები.

სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდმა სერიოზულად დააზარალა მეცნიერების მრავალი დარგი, რომელიც მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში წარმატებულად ვითარდებოდა საქართველოში. მათმა ნაწილმა არათუ პროგრესი, არამედ რეგრესი განიცადა ან საერთოდ აიკრძალა. როგორც ცნობილია, კომუნისტები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ სახელმწიფოსა და სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ კონსტიტუციონალიზმი, მისი კლასიკური გაგებით, საბჭოთა კავშირში ფაქტობრივად არ არსებობდა.

გიორგი გვაზავას „ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა“ (1920 წ.) ქართული სამართლის კლასიკისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. სამწუხაროდ, წიგნი გამოცემიდან სულ რამდენიმე წელში აკრძალულ ლიტერატურად იქცა. საბჭოთა საქართველოში არავის სჭირდებოდა კონსტიტუციონალიზმის სფეროში სერიოზული გამოკვლევა, რომლის ავტორიც ეროვნული მოძრაობის წევრი გახლდათ.

„ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა“ ძალზე საინტერესო, იმდროინდელი საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერების თეორიითა და პრაქტიკით გამყარებული ნაშრომია, რომელიც დღემდე გამოდგება როგორც საკვლევი, ისე საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ავტორის მიერ შესანიშნავადაა გადმოცემული გასული საუკუნის ათიანი წლების ბოლოსთვის არსებული ცოდნა სახელმწიფო მოწყობისა და ადამიანის უფლებების შესახებ. გიორგი გვაზავა მსჯელობას შედარებით სამართლებრივი მეთოდით ამყარებს და იმავდროულად, არ გაურბის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სამართალსა და მის პრობლემებზე საუბარს. ამ მხრივ, მისი მოსაზრებები განსაკუთრებით ყურადსაღებია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებელი კომისიის წევრი იყო.

მართალია, ნაშრომში ბევრია სტილისტური თუ გრამატიკული ხარვეზი (რომელთა უმრავლესობისთვისაც ხელი არ გვიხლია და მაქსიმალურად შევეცადეთ რედაქტორებისას შეგვენარჩუნებინა ძირითადი ტექსტი), რომელიც მკითხველს ერთგვარ დისკომფორტს შეუქმნის, თუმცა მისი შინაარსობრივი მხარე, იმ დროისათვის ნოვაციად მიჩნეული ინსტიტუტების კვლევა და ავტორისეული დასკვნები ნამდვილად დაძლევეს ნებისმიერ უხერხულობას.

ნაშრომი შინაარსობრივად იმდენად მაღალი დონისაა, რომ იგი თანაბრად საინტერესო აღმოჩნდება როგორც იურისტების, ისე საზოგადოებრივი და პოლიტიკური მეცნიერების პროფილის წარმომადგენელთათვის.

სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი ის არაჩვეულებრივი ნაშრომები, რომლებიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამართლის კლასიკას წარმოადგენს. გიორგი გვაზავას „ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა“ სწორედ მსგავსი წიგნია და იმსახურებს პირველი გამოცემიდან 93 წლის შემდეგ კვლავაც ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის. ნაშრომი კიდევ ერთხელ დაარწმუნებს მკითხველს, რომ ქართული სამართალი თვისობრივად ევროპულია, საქართველო და ქართული საზოგადოება კი ისტორიულად გააზრებულად ისწრაფვოდა ევროპული ფასეულობების დასამკვიდრებლად.

მეორე გამოცემა მოამზადა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო, რარიტეტული და პერიოდული გამოცემების ჯგუფმა: ანი თოხაძე, მონიკა გაბუნია, ნინო ფიროსმანაშვილი, ნათია დორეული, ალექსანდრე მეტრეველი და მარიამ სხულუხია.

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი კვლავაც გააგრძელებს რარიტეტული გამოცემებისა და „ქართული სამართლის კლასიკის“ სერიას. იმედს ვიტოვებ, კიდევ მრავალი ნაშრომი იხილავს დღის სინათლეს ხელმეორედ და გაამდიდრებს თანამედროვე ქართულ სამართლებრივ ლიტერატურას.

დიმიტრი გვეგნავა

დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის დირექტორი,
ასისტენტ-პროფესორი

2014 წლის მაისი, სენაკი

შესავლის მაგიერ

ნათქვამია: ყოველი ერი ღირსია მხოლოდ იმ მთავრობის, რომელიც იმას ჰყავსო. სრულებით ჭეშმარიტი აზრია. რა ჭკუა იქნება მართლა, რომელიმე ველურ ხალხს მოახვიოთ თავზე დემოკრატიული რესპუბლიკა, ან რომელიმე დაწინაურებულ სახელმწიფოს, შვეიცარიას ან საფრანგეთს, მეფედ დაუსვათ ვინმე აშანტიელი ან ზულუსელი თავადი? ასეთი ექსპერიმენტი, რასაკვირველია, შეუძლებელიც არის. მთავრობა და საზოგადოდ, უფლებრივი წესწყობილება პირდაპირი შედეგია ეროვნული განვითარების, საზოგადო კულტურისა და შეგნების, და არა პიროვნულ სურვილისა და ფანტაზიების.

საქართველოს მარჯვნივ და მარცხნივ დაინგრა ორი დიდი იმპერია – რუსეთი და ოსმალეთი. ამ ორი იმპერიის შუა იყო იგი გაჭყლებილი, მოსპობილი პოლიტიკურად და თითქმის გადაგვარებული კულტურულად. დაინგრა ეს ორი იმპერია და საქართველო თავისთავად, სრულებით ბუნებრივად, წამოდგა და უნდა წამომდგარიყო კიდეც. წამოდგომა ერისა ჰნიშნავს მის სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამყარებას. საქართველოც შეუდგა ამ დიად საქმის განხორციელებას.

აქ იბადება დიდი საკითხი: როგორი მთავრობა, ან უკედ რომ ვსთქვათ, როგორი ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა უფრო სასარგებლოა, უფრო სასურველი და მიზანშეწონილი დღევანდელ საქართველოსთვის? ამისთანა საკითხს სწვევებს თვითონ ცხოვრება ჩვენდა დაუკითხავად, მაგრამ წინასწარ მისი გაშუქებაც არ არის მეტი. ეხლანდელი ჩვენი მთავრობა წარმოიშვა რევოლუციისაგან, რევოლუციის დროს კი ყოველნაირი მთავრობაც შესაძლებელია, ამიტომ ფაქტიურ მთავრობის მიხედვით ხშირად შეუძლებელია ერის განვითარების და მის კულტურულ ღონეზე ლაპარაკი. საჭიროა ცოტა შორი პერსპექტივები, რომ გამოვიყვანოთ უფრო სამართლიანი და მისაღები დასკვნა.

საქართველო არ არის ახლად დაბადებული ერი. იმას თან მოაქვს ოცი საუკუნის კულტურა, სახელმწიფოებრივი შეგნება და იდეალები. ქრისტიანობის გავრცელებამ იგი ფაქტიურად შემოუერთა ხმელთაშუა ზღვის კულტურას და დაამყარა მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური კავშირი ამ კულტურის უდიდეს ცენტრებთან: ათენა, რომი, ეგვიპტე, ბიზანტია – აი, უმთავრესი მსოფლიო კერა, რომელიც ანათებდა მაშინ და იკრებდა

ირველივ მოწინავე კაცობრიობას. ამ კულტურის ზეგავლენით საქართველოც დაადგა სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენის გზას. იყო საუკუნეთა განმავლობაში შრომა და ბრძოლა. ჩვენ ბევრი გვაქვს ნაშთი გენიალურ შემოქმედებისა. გადაშალეთ რუსთაველი და თქვენ გაგიტაცებთ მხურვალე მობერვა საიდუმლო სულისა; დაუკვირდით თფილისს, რომელიც ერთ და იმავე დროს იცავს კახეთის ფლანგს, ქართლის ფრონტს, მცხეთის ქედს, – და თქვენ განცვიფრებული დარჩებით მისი დამაარსებლის გენიალურ გამჭრიახობით; შეისწავლეთ ნაშთი ჩვენი ეკლესიების და მონასტრებისა და მიხვდებით, თუ რა იყო ჩვენი ხუროთ-მოდღვრება; შეისწავლეთ სხვა და სხვა ომი, რომელსაც აწარმოებდა საქართველო, და დარწმუნდებით, რომ ბევრი იყო სტრატეგიული შედეგური სამხედრო ხელოვნებისა... რა უნდა ჩამოვთვალო? ყველგან სცემდა ნიჭი და შემოქმედებითი ძლიერება. წარმოდგინეთ, თამარ მეფის დროს, როგორც გვარწმუნებენ ჩვენი ისტორიკოსები, ყოფილა დიდი პოლიტიკური მოძრაობაც საკონსტიტუციო წყობილების დასამყარებლად. გესმით? კონსტიტუციონალიზმი – მაშინ, როცა ინგლისსაც კი არა ჰქონდა თავისი ცნობილი Magna Carta Libertatis! განა აშკარა არ არის, რომ შეიძლებოდა საქართველო მოქცეულიყო კაცობრიობის სათავეში და თვითონ პირველად წამოენთო კერა მსოფლიო კულტურის და განვითარების? სამწუხაროდ, მონგოლთა შემოსევამ, განუწყვეტელმა ომმა დაამხო ეს შესაძლებლობა და ბოლოს, 1453 წელს, ბიზანტიის აღებით და ოსმალეთის იმპერიის დამყარებით, საქართველო მოწყდა სულ ხმელთაშუა ზღვის კულტურას. შედეგი ამ დიადი ისტორიული მომენტისა იყო – გაფრენა საქართველოს ეროვნულ სხეულისა: ერთი ნაწილი გამაჰმადიანდა და შემოუერთდა ოსმალეთს, მეორე – ძალაუნებურად გადაიზნიქა ჩრდილოეთისაკენ და იძულებული გაჰხდა შეერთებოდა რუსეთს. ეხლა, როცა მსოფლიო ომმა დაამხო ორი დიდი იმპერია – რუსეთი და ოსმალეთი, საქართველო უნდა დაუბრუნდეს თავის ისტორიულ გზას, თავის ბუნებრივ განვითარებას. ლოგიკური და აუცილებელი დასკვნა ამ ისტორიულ პროცესისა არის საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფალი შესვლა მისი „ხმელთაშუა ზღვის კულტურაში“ ან (თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ) – საერთაშორისო ოჯახში.

ეს – რაც შეეხება საერთაშორისო ორიენტაციას.

აქედან ბევრი რამ საგულისხმო დასკვნა გამოდის. ჯერ ერთი, რუსეთთან უნდა შეწყდეს სამუდამოდ ყოველი დამოკიდებულებითი განწყობილება, იგი – მისთვის, ჩვენ – ჩვენთვის. ამიტომ, ბოლშევიზმი იქნება იქ, თუ მონარქიზმი ეს ჩვენ არ შეგვეცხება. ჩვენი ისტორიული გზა გამოკვეთილია და განათებული მთელი ისტორიული პროცესით.

ჩვენ წინააღმდეგი კი არა ვართ კეთილგანწყობილების და საერთაშორისო სოლიდარობისა, მხოლოდ დარწმუნებული ვართ, რომ ეს სოლიდარობა და კეთილგანწყობილება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების და თანასწორობის ნიადაგზე. საქართველო უნდა იყოს თავისუფალი და თანასწორი, ე.ი. სრულყოფილებიანი წევრი საერთაშორისო განწყობილების. ეს პრინციპი უნდა იწამოს რუსეთმა და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მასთან კეთილგანწყობილების დამყარება. ჩვენი გზა არასოდეს არ შეერთდება: იგი შეიძლება იქმნეს მხოლოდ პარალელური.

მეორე: საერთაშორისო ოჯახში შესვლა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივის სახით. იქ ერი გამოდის, როგორც საერთაშორისო პიროვნება, როგორც სუბიექტი უფლებათა და ვალდებულებათა. აქედან თავისთავად ცხადია: ან სულ ხელი უნდა ავიღოთ ეროვნულ თავისუფლებაზე, ან აუცილებლად მივიღოთ და დავემორჩილოთ იმ ნორმებს, რომელსაც ჰქვია საერთაშორისო უფლება. შეუძლებელია მოვითხოვოთ შესვლა საერთაშორისო ოჯახში და ამავე დროს უარვყოთ ის წესი და კანონები, რომელზედაც დამყარებულია საერთაშორისო უფლებრივი წყობილება. საქართველო ახლად დაბადებული სახელმწიფოა, ჯერ ცნობილიც კი არ არის რიგიანად როგორც სახელმწიფო; ამიტომ ევროპასა და ამერიკასთან დავის და ბრძოლის თავი კი არა გვაქვს. დაუტოვოთ ჩვენებურ ფანტაზიორებს მსოფლიოს გარდაქმნა, ჩვენ კი უნდა ვიმოქმედოთ სიფრთხილით და მიზანშეწონილად, რომ გამოვიდეთ გამარჯვებული. ეს გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ერთის პირობით: თუ მივიღებთ და გავატარებთ ცხოვრებაში იმ პრინციპებს, რომლებზედაც აგებულია სახელმწიფოებრივი ცხოვრება სხვა მოწინავე ქვეყნებისა. ეს პრინციპებია: პიროვნული თავისუფლება და კერძო საკუთრება.

სწორედ ამ ორ პრინციპს ებრძვიან უკიდურესი სოციალისტები, მაგრამ ამ ბრძოლაში ხშირად ისე სასაცილო გამოდინან, როგორც ის დათვი, რომელიც სცდილობს ამოსვლიაოს ხიდან თაფლი, მაგრამ ტოტზე ჩამოკიდებული კუნძი ხელს უშლის: რამდენად მაგრად წაჰკრავს – იმდენად უფრო

გაქანებული კუნძი უბრუნდება და ეხეთქება დათვს... აი, ეხლაც ბევრსა ლანძღავენ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს: – „სოციალიზმი დაავიწყდათ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებენო“, მაგრამ ავიწყდებათ საერთაშორისო პირობები: შეუძლებელია სახელმწიფოს აშენება, თუ უარყოფილ იქმნება პიროვნული თავისუფლება და კერძო საკუთრების პრინციპები. ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმაც ბევრი უქაჩავეს ამ ორ კუნძს, მაგრამ თავის ზურგზე მალე იგრძნეს სამწუხარო შედეგები ამ ქაჩაობისა. ბოლოს სხვა ღონე აღარ იყო, გამოაცხადეს: „ჯერ დემოკრატიზმი, მერე – სოციალიზმი!“

ასეთია ლოლიკა ცხოვრებისა. ბავშვი მიუშვი ნებასა, თვით ჩავარდება სნებასაო...

დემოკრატიზმის წინააღმდეგი, რასაკვირველია, არავინ არის. მხოლოდ დემოკრატიზმი და სოციალიზმი დიამეტრულად მოწინააღმდეგე შემეცნებაა: ერთი ჰგულისხმობს პიროვნულ თავისუფლებას და კერძო საკუთრებას, მეორე – უარჰყოფს ორივეს. მათი შერიგება შეიძლება მხოლოდ მათი განცალკევებით: ჯერ დემოკრატიზმი, და მერე...

მაგრამ იბადება ახალი კითხვა: რამდენად სასურველია და ხელსაყრელი ჩვენთვის დემოკრატიული წყობილება? შეიძლება რაიმე სხვა ფორმა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა უფრო სასარგებლო იყოს ჩვენთვის?

წარსულ ხანებში ჩვენ გვქონდა მონარქიული ფორმა წესწყობილებისა. მეფე იყო კანონმდებელი და უმაღლესი გამგე ქვეყნისა. ისტორიულ პროცესში ეს იყო პროგრესული მოვლენა. მეფე იყო განსახიერება ეროვნული მთლიანობისა და მისი სამსახურისა – სამსახური ერისა და ქვეყნის წინაშე. „ვინცა მოკვდეს მეფისათვის, სულნი მათნი ზეცას ჰრბიან“, ამბობს რუსთაველი და უკედ გამოთქმა იმ რწმენისა – მეფისადმი, რომელიც იყო მაშინ ხალხის შეგნებაში – შეუძლებელია. მეფის სახელით ჰკეთდებოდა შინაური საქმე, მეფის ბრძანებით ჰგროვდებოდა ჯარი და იცავდნენ საზღვრებს გარეშე მტრისაგან. მეფე იყო მამოძრავებელი ძალა ეროვნული ენერჯისა, მაგრამ ეს ძალა დროთა ვითარების გამო მაინც იყო სუსტი, იგი ვერ სწვდებოდა მთელს ტერიტორიას: ნაკლები იყო მისვლა-მოსვლა, აზრის გაცვლა-გამოცვლა, მთლიანობა ეროვნულ შეგნებისა. ფეოდალიზმის ერთი დამახასიათებელი მომენტი არის სისუსტე ცენტრალურ მთავრობისა ან დაფანტულობა ხელმწიფობისა.

მაგრამ, თუ მოვიგონებთ იმ რასობრივ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა ერი წარსულ საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენ დავინახავთ, რომ ფეოდალურ ბატონობასაც აქვს თავისი გამართლება ეროვნულ თვალსაზრისით. მაშინ არ იყო რკინის გზები და ტელეგრაფები, რომ პერიფერიიდან შეეტყობინებინათ ცენტრისთვის – აი, მტერი თავს დაგვესხა, გვიშველეთო! სანამ ამისთანა ცნობა მოუვიდოდა ცენტრალურ მთავრობას და სანამ იგი მიიღებდა რაიმე ზომებს, მთელი ნაწილი ეროვნულ ორგანიზმისა შეიძლება მოწყვეტილ ყოფილიყო და ერთიან აკლებული. არა, ეს არ იყო მიზანშეწონილი. საჭირო იყო ერთნაირი დამოუკიდებლობა ცენტრისაგან, ადგილობრივი თაოსნობა, გმირობა და გამჭრიახობა. ამიტომ პროვინციელი ფეოდალი იძულებული იყო თვითონ ემოქმედნა, დაეცვა თავისი თავი და თავისი კუთხე. აქ არის ფსიქოლოგიური მომენტი მისი უფლების განმტკიცებისა. იგი თანდათან გამაგრდა, მისი თაოსნობა გარდაიქცა მემკვიდრეობითი, თვითონ გახდა პატარა მეფე პატარა კუთხისა. ნამდვილი საფუძველი ყველა ამ მოვლენისა არის ამოდრავება ეროვნული ენერჯისა ეროვნული თავდაცვისათვის.

ეხლა ყველაფერი გამოიცვალა. პოლიტიკური აზრი და ეროვნული შეგნება დიდი ხანია გადასცდა მეფის კაბინეტს და მოეფინა მთელს ქვეყანას. უწინ ერთმა სოფელმა არ იცოდა რა ჰხდებოდა მეორე სოფელში, ერთმა ქალაქმა – მეორეში. დღეს ჩვენ შეიძლება უფრო კარგად ვიცოდეთ, თუ რა ჰხდება პარიზსა და ნიუ იორკში. დღეს გვაქვს პრესა, ჟურნალ-გაზეთი, მიტინგები, კრებები. ყოველი ახალი აზრი მყისვე ხდება საგანი საზოგადო მსჯელობისა – ერის ნერვიულ ცხოვრებაში ჰღებულობს მონაწილეობას ყოველი ადამიანი. დღეს ორ-სამ წუთში შეგვიძლია გადავცეთ პერიფერიებს ყველაფერი, რაც ჰხდება ცენტრში, და მივიღოთ განაპირა ქვეყნებიდან ყოველნაირი ცნობა. ერთ-ორ დღეში შეგვიძლია გადავისროლოთ ათი ათასი ლაშქარი საქართველოს ერთი საზღვრიდან მეორეზე... თუ მეფის ან ფეოდალის იდეური გამართლება იმალება ეროვნულ თავდაცვაში და ამისათვის ეროვნულ ენერჯის ამოდრავებაში, აშკარაა, მეფეც და ფეოდალიც დღეს მეტი ბარგია. დღეს თითოეული ადამიანი თვითონ უნდა იყოს მეფე, ე.ი. მატარებელი ეროვნული შეგნების და ეროვნული ენერჯისა. იგი ერთ და იმავე დროს მეფეც არის და ქვეშევრდომიც, კანონმდებელიც და კანონის ამსრულებელიც. აი, ეს არის პრინციპი დემოკრატიზმისა: ყველა თავი-

სუფალია და თანასწორია, ყველა თანაბრად ჰღებულობს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში.

ჩვენც ამ პრინციპებზე უნდა ავაგოთ ჩვენი სახელმწიფო.

წარსულთან შედარებით, დემოკრატიული წესწყობილება, რასაკვირველია, ყველასათვის სასურველია და მისაღები. მაგრამ უბერავს ჩრდილოეთის ბორია – ბოლშევიზმი. იგი იძლევა ყოველნაირი ბედნიერების აღთქმას და მოუშადებელ გონებისათვის მართლა წარმოადგენს საშიშროებას. კომუნისტების სიტყვით, შესაძლებელია ცხოვრება მოეწყოს ისე, რომ ყველას ჰქონდეს ყველაფერი: შამპანიური, სუკი, ყავა, ავტომობილი, პიანინო და სხვა, იმდენი, რამდენიც თითოეულს მოუნდება. აბა, ვინ გიჟი იქნება ამის წინააღმდეგი, თუ ეს არ არის მოტყუება და მართლა შესაძლებელია. სამწუხაროდ, ამ მიზნის მისაღწევად თურმე უნდა გავიაროთ შორი და საშინელი გზა. ამისთვის თურმე საჭიროა დამტკრევა ყოველი სახელმწიფოებრივი აპარატისა, მთელი ძალაუფლების გადაცემა შეიარაღებულ პროლეტარიატის ხელში, გაწყვეტა ბურჟუაზიის და ინტელიგენციისა. ეს ჯერ ცოტაა, ეს არის მხოლოდ პირველი, სარევიოლუციო ხანა. ამის შემდეგ იწყება „გარდამავალი ხანა“, რომლის განმავლობაში ახალ-ახალი მოდგმა თანდათან მიეჩვევა ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მიეჩვევა ძალდაუტანებლად თავის მოვალეობის ასრულებას. აი, მაშინ, როცა ეს ახალი მომავალი მოდგმა აგრე ფსიქიურად და ორგანულად გარდაიქმნება, მაშინ არც სახელმწიფო იქნება, არც დიქტატურა, და დამყარდება ის ბედნიერება, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული.

ჩვენ, ბურჟუაზიურ მოაზროვნეებს, ეს რევოლუციონალური ბარხალა ლენინისა¹ ვერ გავგვიცა და ვერ წარმოგვიდგენია. ჯერ ერთი, რად უნდა „დავამტკრიოთ“ სახელმწიფოებრივი აპარატი? ლენინის აზრით, ეს საჭიროა იმიტომ, რომ ყველა სახელმწიფო არის შედეგი კლასობრივი ინტერესების წინააღმდეგობის და შეურიგებლობისა. – ეს არ არის მართალი, ეს მართალი რომ იყოს, სახელმწიფო არ იქნებოდა. წინააღმდეგობის და შეურიგებლობის შედეგი უსათუოდ იქნებოდა დარღვევა და დაშლა სახელმწიფოსი და არა მისი მთლიანობა და სიმტკიცე. აშკარაა, გარდა კლასთა ბრძოლისა, სახელმწიფოში ჰმოქმედებს კიდევ სხვა ძალა, უფრო ძლიერი და შემოქმედი, ვიდრე იდეა კლასთა ბრძოლისა. ეს ძალა გან-

¹ იხ. მისი Государство и Революция, Учение марксизма о государстве, გვ. 87-98.

ლავეთ კლასთა სოლიდარობა და თანამშრომლობა, ეროვნული ინტერესი, რასობრივი თავის დაცვა. ამას ამტკიცებს მთელი ისტორია კაცობრიობისა, ეხლანდელი ომიც და რევოლუციაც. აიღეთ რაიმე ეროვნული განსაცდელი, და თქვენ აშკარად დაინახავთ, თუ როგორ ირაზმება მთელი ერი განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა. ახლაც ჰყვირიან – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო!“ მაგრამ სწორედ ეს „პროლეტარები“ იარაღით ხელში ჰდგანან საზღვრებზე და გმირულად დახვდებიან უცხო ქვეყნის „პროლეტარებს“, ლენინის იქნება ის თუ ენვერ-ფაშის. აგრე ვიქცევით არა მართო ჩვენ. ყველამ ააფრიალა წითელი დროშა, მაგრამ ბოლოს ყველა ჩამოყალიბდა ეროვნულ სახელმწიფოდ. ასეთია პოლონეთი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და ბევრი სხვა. ამიტომ ყვირილი იმაზე, რომ სახელმწიფო მხოლოდ მონობის და ექსპლუატაციის იარაღიაო, მოკლებულია აზრს და სიმართლეს. მართალია, ასეთი სახელმწიფო იყო რუსეთი, იგი დასანგრევი იყო და დაინგრა კიდეც, მაგრამ როგორ შეიძლება ეს ითქვას ხალხოსნურ სახელმწიფოზე, სადაც ხელმწიფობა ეკუთვნის მთელს ერს და არა რომელიმე მის ნაწილს?! აი, სწორედ ამიტომ არის დემოკრატიული წყობილება ყველაზე უფრო მისაღები და სასურველი.

ბ-ნ ლენინს, როგორც მართლმადიდებელ მარქსისტს, არ მოსწონს დემოკრატია. დემოკრატია ვითომდა არის უმცირესობა და როგორც ფორმა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ისიც უნდა მოისპოს. იგი პირდაპირ ამბობს: „დემოკრატია უმნიშვნელო უმცირესობისთვის, დემოკრატია მდიდრებისთვის, აი, რა არის დემოკრატიზმი კაპიტალისტურ საზოგადოებაში“. ეს დებულებაც აშკარა სიცრუეა. დემოკრატიზმი, ვიმეორებ, თავისუფლება და თანასწორობაა ყველასი და თანასწორად მონაწილეობა ყველასი პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ლენინსაც ძალიან კარგად ესმის და თუ განგებ იჩენს ამისთანა უმეცრებას, ეს აიხსნება მისი უმთავრესი მიზნით, რომლის დამტკიცებაც შეუძლებელია, თუ არ ჩააფუჩჩენა სიმართლე და ჭეშმარიტება. მისი უმთავრესი მიზანია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, რომელიც ვითომდა იხსნის ქვეყნიერებას ყოველ უბედურებისაგან. თვითონ ლენინი ამბობს², რომ გერმანიაში 15 მილიონი დაქირავებული მუშა არისო. ეს ციფრი ძალიან გაზვიადებული არის, მაგრამ თუნდაც რომ მართალი იყოს, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ გერმანიის მცხოვრებთა რიცხვი

² იხ. იქვე, გვ. 83.

აღმატება 70 მილიონს. სად არის აქ პროლეტარიატის უმრავლესობა?! მერე, თუ პროლეტარიატი უმრავლესობას წარმოადგენს, განა მისი გამარჯვება აუცილებელი არ იქნება დემოკრატიული გზით, საყოველთაო პოლიტიკური არჩევნებით? მაგრამ სულ ეს მოსაზრება ლენინმა ჩააფუჩქნა და არ შეეძლო ჩაეფუჩქნებინა, რადგან იგი პირდაპირი მტერია დემოკრატიზმისა და მამასადაბე, არა მარტო კერძო საკუთრების პრინციპის, არამედ თვით თავისუფლებისა. იგი ხელახლა გაიძახის კაპიტალისტებისა და საზოგადოდ მესაკუთრეების წინააღმდეგ: „ჩვენ უნდა ივინი მოვსპოთ, მათი წინააღმდეგობა გავანადგუროთ ძალით; აშკარაა, იქ სადაც არის მოსპობა, სადაც არის ძალდატანება, იქ არ არის თავისუფლება, არ არის დემოკრატია“³. აი, რა ყოფილა კომუნიზმი ან ბოლშევიზმი! ამას აღიარებს თვითონ ლენინი, ეს საოცარი ისტორიული ფიგურა, საოცარი თავის ველურობით, ჯალათობით და ვანდალიზმით. ეს მუქარა ლენინმა მართლა სისრულეში მოიყვანა: თავისუფლება პრესის, სიტყვის, კრების და სხვა ამისთანა აუცილებელი პირობა ადამიანის ადამიანურად ცხოვრებისა, მან გააუქმა, მუსრი გაავლო ბურჟუაზიასა და ინტელიგენციას და მართლა დაარსა დიქტატურა პროლეტარიატისა – მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები.

ლენინის თეორიით, ამით რუსეთში დაიწყო პირველი ხანა კომუნიზმისა. ამ ხანაში სახელმწიფო აპარატი, როგორც ძალადობის იარაღი, კიდევ უნდა არსებობდეს ყოველი რეაქციის დასამხობლად და სახელმწიფოებრივ მასშტაბით შრომის მოსაწყობად. მაგრამ რამდენ ხანს გასწევს ეს ხანა? ერთს წელიწადს, ორს, თუ... რა ბრძანებაა? ეს ხანა, ეს დიქტატურა პროლეტარიატისა, უნდა არსებობდეს მანამ, სანამ ხალხი თანდათან არ მიეჩვევა საზოგადოებრივ მოთხოვნილებების ასრულებას თავისუფლად და ძალადაუტანებლად, სანამ ინსტიქტად, ბუნებად არ გადაიქცევა მაღალი მოძღვრება მორალის, ძმობის და სიყვარულისა... როდის მოხდება ასეთი გარდაქმნა ადამიანის ბუნებისა?

ჩვენ დაწვრილებით ვიცით ბუნება, ხასიათი და მიდრეკილება ძველი ბერძნებისა. გვაქვს მათი ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, ყველაფერი, რასაც კი შეუძლიან წინ გადაგვიშალოს მთელი ზნეობრივი სახე ძველი საბერძნეთის მოქალაქისა. შევადაროთ იგი ესლანდელ მოქალაქეს

³ იხ., იქვე, გვ. 84.

და გულახდილად ვაღიაროთ: ძალიან წინ წავიდა ეხლანდელი მოქალაქე ზნეობრივ იდეალების განხორციელებაში?! აშკარაა, ოცი და ოცდახუთი საუკუნე მხოლოდ წამია მსოფლიო ევოლუციაში. ასეთ პატარა ხანში ვერა ჰხდება ვერავითარი გარდაქმნა კაცის ბუნებისა. ამისთვის საჭიროა ასი და ათასი საუკუნოები. დრო იყო, როცა ადამიანი სახით და ზნეობით ძალიან ახლო იდგა მაიმუნებთან, გავიდა ასი თუ ათასი საუკუნე და ეხლა სულაც სულ არ არის წაშლილი ჩვენი ნათესაობა ამ ცხოველთან, არც ფიზიკურად და ზოგჯერ არც ზნეობრივად. რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლენინის „მუშათა საბჭოები“ დააჩქარებენ ამ მსოფლიო ევოლუციას და გარდაქმნიან კაცის ბუნებას ხუთ ან ათ საუკუნის განმავლობაში?! ეს – ჭკუაზე შემცდარი ადამიანის ბოდვაა.

მერე რა მდგომარეობა იქნებოდა ამ ხნის განმავლობაში? ამ ხუთის, ათის თუ ას საუკუნის სივრცეში? ამ ხნის განმავლობაში „ყველა მოქალაქე უნდა გახდეს დაქირავებული მუშა სახელმწიფოსი, ე.ი. შეიარაღებული მუშებისა. ყველა მოქალაქე უნდა გახდეს მსახური და მუშა ერთის ხალხოსნურ სახელმწიფოებრივ სინდიკატისა“. მდაბიო ენით რომ ვთქვათ, გამოდის ძალდატანებითი მუშაობა ყველასი შეიარაღებულ მუშების მათრახის ქვეშ, ე.ი. რაიმე უფრო უარესი და საზარელი, ვიდრე ბატონყმობა ან მონობა.

ასეთია იდეოლოგია ლენინისა.

თუ ეს ასეა, შეიძლება მკითხოს ვინმემ, როგორ მოხდა ეს გამარჯვება ბოლშევიკებისა? რომელი გამარჯვება? სად გაიმარჯვა ბოლშევიკობამ? მხოლოდ რუსეთში! ეს კი ჰოხოულობს თავის ახსნას.

რუსეთი დაინგრა ომის დროს. მისი უზარმაზარი სივრცე დაიბზარა ეროვნულ იდეის სიცოცხლისმყოფელ ზედგავლენით, ჩამოშორდა რუსეთის ფინეთი, პოლონეთი, ესტონეთი, საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი. მაშინ იფეთქა ეროვნულ ინსტიტუტმა მთელი რუსეთისამ: მან იგრძნო, რომ ლუკმა ჰხდებოდა ინგლისის და მთელი ევროპის და ამერიკისა. საჭირო იყო შენჯღრევა და დამხობა ამ ქვეყნებისა – პროლეტარიატის აჯანყებით და ანარქიით. იმავე გზით და მეთოდით შესაძლებლად მოსჩანდა რუსეთის აღდგენაც ძველ საზღვრებში. მართლაც, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველგან მოეწყობოდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამისთანა თვითგამორკვევას. პრო-

ლეტარიატს, როგორც ვიცით სოციალისტურ მოძღვრებისაგან, სამშობლო არა აქვს, უნდა შეერთდეს ყველა ქვეყნის პროლეტარები, მაშასადამე, რუსეთის პროლეტარებისათვისაც ღია უნდა ყოფილიყო საზღვრები. ამ გზით ყველა განთავისუფლებულ ერების ტერიტორია, იმათ შორის საქართველოც, სწრაფად აივსებოდა რუსებით, მთელი ძალაუფლება ისევ გადავიდოდა რუსების ხელში და საქართველო ჩამოეკიდებოდა ისევ რუსეთის სახრჩობელას. საბედნიეროდ, ეს იმედი გაცრუვდა. არც ერთი, ცოტად თუ ბევრად შეგნებული ერი ამ ანკეს არ წამოჰგებია. სწორედ პროლეტარიატი განთავისუფლებულ ერებისა წამოდგა, აისხა იარაღი, დაადგა თავის სამშობლოს საზღვარზე და მოჰცხო ბოლშევიკებს.

დემოკრატიული ევროპა და ამერიკა კი მშვიდობიანად განაგრძობენ თავის კულტურულ მუშაობას. ბოლშევიზმი, როგორც ამბობს საფრანგეთის ერთი პუბლიცისტი, ბოლოს გამოდგა მხოლოდ “Vehicule panrusse”. ესპანურ-რუსული ფურგონი ეხლა დახრიგინობს მხოლოდ რუსეთში. რა ბედნიერებაც მოუტანა იმან რუსეთს, ეს ჩვენ ვნახეთ და ბევრს კიდევ დავინახავთ.

ამნიარად, ერთადერთი პრინციპი, რომელზედაც უნდა იქმნეს აგებული ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, არის დემოკრატიზმი.

ეს ლოგიკური შედეგია მთელი ისტორიული პროცესის და დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობისა.

*

ჩვენც ამ დემოკრატიულ თვალსაზრისით დაფასებული გვაქვს ამ წიგნაკში – „ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა“.

ნაწილი პირველი

1. სახელმწიფო

სახელმწიფოსათვის აუცილებელია სამი ელემენტი: **ტერიტორია, ხალხი და ხელმწიფობა** ან უზენაესი ხელისუფლება. ასეთია საზოგადოდ შეხედულება, იგი ეთანხმება სინამდვილეს, მაგრამ სრულებით საკმარისი არ არის. ადამიანიც შესდგება ძვალის, ხორცის და სისხლისაგან, მაგრამ ამისთანა განმარტება სრულებით ვერ გვაძლევს სწორს და ნამდვილ შემეცნებას იმაზე, თუ რა არის ადამიანი. სახელმწიფოც დიდად რთული მოვლენაა. მის გასაგებად საჭიროა უფრო შორი პერსპექტივები და უფრო ღრმა ჩაკვირება. მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ ტერიტორია, ხალხი და ხელმწიფობა მხოლოდ გარეგან ნიშნებით სრულებით გამოუმჟღავნებელი და გაუშუქებელი რჩება. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აქ მოკლედ მოვიყვანოთ მეცნიერული აზრის სხვადასხვა მიმდინარეობა შესახებ სახელმწიფოს ბუნებისა და მისი განვითარების კანონებისა.

მთელი გონებრივი მოძრაობა ამ საკითხის შესახებ, შეიძლება ითქვას, დანაწილებული აქვს სამს მიმდინარეობას. საკვირველია სამმა დიდმა ერმა მოგვცა ეს სამი მიმდინარეობა, თითქოს თვითიული მათგანი ცდილობდა თავისი განსაკუთრებული წვლილი შეეტანა მსოფლიო ევოლუციაში: საფრანგეთმა მოგვცა **იდეალისტური** სკოლა, დაარსებული ჟან-ჟაკ რუსოს მიერ; გერმანიამ – **ისტორიული**, რომლის სათავეში სდგას სახელგანთქმული სავინი; და ინგლისმა – **ნატურალისტური**, დიდი ფილოსოფოსის, ჰერბერტ სპენსერის მეთაურობით.

განვიხილოთ მოკლედ სამივე.

ა) იდეალისტური სკოლა

ძირითადი დებულება ამ მიმართულებისა ის არის, რომ ყოველი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ემყარება და უნდა ემყარებოდეს მოქალაქეთა თავისუფალ ნებისყოფას. გარეგანი ფორმა ამ ნებისყოფისა არის შეთანხმება ან ხელშეკრულება.

არ არის შეთანხმება იქ, სადაც არ არის თავისუფლება და არ არის თავისუფლება იქ, სადაც არ არის თანასწორობა თავისუფლებისა, – ეს

ძირითადი იდეა რუსომ გადაიტანა წარსულ საუკუნეებში და მონღოლმა იმით აესხნა თვითშექმნა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. მისი აზრით, სახელმწიფო დაიბადა შეთანხმებით და ხელშეკრულებით. ეს იყო შეცდომა. უდაბნოში მიმავალი მგზავრი ხშირად ჰხედავს მირაჟებს, იფურება უკან და ელანდება ოაზისი. რუსოს მოძღვრებას უფრო ადვილად გაგივებთ, თუ მოვატრიალებთ მას და მივაქცევთ მომავლისაკენ. თავისუფლების განხორციელება წარსულში კი არ უნდა ვეძებოთ. თავისუფლება იდეალია და, როგორც იდეალი, ანათებს მხოლოდ კაცობრიობის მომავალ შარას.

ეს შარა ისტორიულ პროცესში თანდათან უფრო აშკარა და ნათელი ხდება. ბრძოლა არ არის მუდმივი და განუწყვეტელი კანონი ცხოვრებისა. უფრო მუდმივია ადამიანთა შორის შეთანხმება, ხან ჩუმი, ხან გამოთქმული. ორი ადამიანი რომ შეიპყრონ, კი არ ეცემიან ერთმანეთს საჩხუბრად და გასაჟღელტად. ისტორია, მართალია, სავსეა ჩხუბით და ომით, მაგრამ ყოველი ჩხუბი და ომი ბოლოს თავდება ისევ შერიგებით და შეთანხმებით. ეს შერიგება ყოველთვის არა ყოფილა სამართლიანი და სწორი, მაგრამ ყოველ შერიგებაში ყოველთვის არის ტენდენცია სამართლიანობისაკენ. სამართლიანობა კი სავსებით დაცულია მაშინ, როცა ეს შერიგება შედეგია არა ძალდატანების, არამედ თავისუფალ ნებისყოფისა.

ავიღოთ ყოველდღიური ცხოვრების მოვლენანი. ყოველ სამოქალაქო აქტს საფუძვლად უდევს თავისუფალი შეთანხმება. თუმცა ოჯახი ხშირად დაარსებულია ძალდატანებით, მაგრამ საზოგადო კანონი კი არის შეთანხმება. ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენია ძალდატანებით ქორწინება. ვაჭრობა, ალებ-მიცემობა, იჯარა, დაქირავება, – სუყველაფერი დამყარებულია შეთანხმებაზე. სადაც თავისუფალი შეთანხმება არ არის, იქ ყოველი აქტი მოკლებულია უფლებრივ ძალას.

ავიღოთ თვითონ კანონი. იგი სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როცა შედეგია საერთო შეთანხმებისა. აქეთკენ მიდის კაცობრიობა. წარსულში ეს ასე არ იყო. ხშირად ნებისყოფა ერთი ადამიანისა (მეფის, იმპერატორის) იყო კანონი; ეხლა კანონის შესაქმნელად ყოველ განათლებულ ქვეყანაში არის ერთნაირი ორგანიზაცია, შედეგი საერთო ნებისყოფისა – პარლამენტი. საერთო არჩევნები არის პირდაპირი დაკითხვა ყოველ მოქალაქეთა მისი სურვილის და ნებისყოფის გამოსარკვევად. პარლამენტში, თუ იგი სწორედ არის მოწყობილი, წარმოდგენილია ყველა სხვადასხვაობა ინტე-

რეისი და მიმართულებისა. პარლამენტი შემცირებული სახეა მთელი სახელმწიფოსი, ამიტომ ყოველი კანონის შემუშავების დროს აქ იწყება ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს უნდა გათავდეს ესეთი შეთანხმებით ან კომპრომისით, რომელიც მოეწონება და მიღებულ იქნება პარლამენტის უმრავლესობის მიერ მაინც. ეს იქნება კანონი. ამნაირად, თუმცა ირიბად, მაგრამ მაინც მის შექმნაში მონაწილეობას იღებს ნებისყოფა ყველა მოქალაქესი.

იმ ქვეყნებში, სადაც არის ორი პალატა, ხშირად კანონი, მიღებული ქვედა პალატის მიერ, წინააღმდეგობას ჰხვდება ზედა პალატაში. ამ შემთხვევაში ირჩევენ საგანგებო კომისიას, რომელსაც „შეთანხმების კომისია“ ჰქვია. მისი დანიშნულებაა როგორმე შეათანხმოს ორივე პალატა და გამოძებნოს ისეთი შინაარსი თუ ფორმა კანონისა, რომ მისაღები გახდეს ორივე პალატისათვის. საკმარისია ეს მაგალითებიც. შეთანხმება აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

იგივე პრინციპი მოქმედებს საერთაშორისო განწყობილებაში. რაც დღე მიდის უფრო და უფრო ხდება ათასნაირი შეთანხმება სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის: პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო-სამრეწველო, საბაჟო, სარკინიგზო, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა და სხვა. ეჭვი არ არის, მთელი კაცობრიობა აქეთკენ მიილტვის და თუმცა ჯერ კიდევ ბევრია მორიგებით გადაუჭრელი საკითხები, ჯერ კიდევ ბევრჯერ შეიღებება დედამიწა სისხლის ღვარით, მაგრამ შეგვიძლია, მაინც გავჭვრიტოთ შორი მომავალი კაცობრიობისა: ეს უნდა იყოს მსოფლიო შეთანხმება და მასზე დამყარებული სამართალი.

რუსო ამბობს, რომ ადამიანი დაბადებითვე თავისუფალია და თანასწორიო, სახელმწიფო – კი არის „სოციალური ხელშეკრულება“. ჩვენ კი უნდა ვსთქვათ, რომ ადამიანი **უნდა იყოს** თავისუფალი და თანასწორი, სახელმწიფო – კი **უნდა იყოს** სოციალური ხელშეკრულება. ის, რასაც რუსო ამბობს, იდეალია, მისი საესებთ განზოციელება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა, მაგრამ უამისოდ მაინც საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია. ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, საზოგადოებრივი ცხოვრება – შედეგი თავისუფალ ნებისყოფისა, ე.ი. დამყარებული შეთანხმებაზე. ეს არის ხელმძღვანელი იდეა ყველასათვის, ვისაც კი უნდა დაამყაროს სოციალური ცხოვრება, ლამაზი და მტკიცე. საფრანგეთის ფილოსოფოსი ალფ. ფულლიე, რომელიც ზოგიერთ შესწორებით სრულებით იზიან-

რებს იდეალისტურ სკოლის მოძღვრებას, დასკვნის: „წარმოდგინეთ გამოუცდელი პირები, რომლებსაც სწადათ გააკეთონ ხიდი, აწყობენ ქვებზე, მაგრამ ჰხედავენ, რომ ააწყობენ თუ არა ცოტათი, მაშინვე ჩამოენგრევათ. ინჟინერს შეუძლია მათ უთხრას: ის, რასაც თქვენ ეძებთ, არის ერთნაირი გეომეტრიული ხაზი; მხოლოდ მას შეუძლია თქვენ ქვებს მისცეს სიმეტრია და სიმაგრე და გადააწაფოს ერთ ნაპირიდან მეორეზე. ეს არის – მრუდე ხაზი. აგრეთვე ფილოსოფოსს შეუძლია უთხრას მათ, ვინც ცდილობს ააგოს სოციალური ცხოვრება ლამაზი და მტკიცე; ის იდეა, რომელიც თქვენ გინდათ განახორციელოთ, არის საერთო შეთანხმება“.

როგორც ვხედავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ მოძღვრებაში ეძლევა თავისუფლებას, რადგან შეთანხმება მხოლოდ აქტია თავისუფალ ნებისყოფისა.

ბ) ისტორიული სკოლა

იდეალისტურმა სკოლამ დიდი როლი ითამაშა განსაკუთრებით საფრანგეთში, დიდი რევოლუციის დროს. ბევრი იყო გატაცებული იმ აზრით, რომ შეიძლება რევოლუციის შემწეობით სრულებით გადასხვაფერდეს ცხოვრება და დამყარებული იქნას ისეთი წესწყობილება, რომელიც უფრო სასურველია და უფრო ეთანხმება იდეალს. ამ გატაცების წინააღმდეგ გერმანიაში დაიწყო რეაქცია. სავინი და მისი სკოლა ამტკიცებდა, რომ პიროვნულ შემოქმედებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა უფლების შექმნაში. წყარო უფლებისა, ამბობს იგი, არის არა აქტი თავისუფალი ნებისყოფისა, არამედ მთელი ერი, მისი უფლებრივი შეგნება. ეს შეგნება რთული შედეგია უფრო რთული ისტორიული ზეგავლენისა. უფლება აღმოცენდება ხოლმე ეროვნულ შეგნების ნიადაგზე და იზრდება ბუნებრივის თანდათანობით. მისი პირველი გამოხატულება ზნე-ჩვეულება და ადათი, ხალხია. ყოველი კანონი, რომელიც არ ეთანხმება ხალხის უფლებრივ შეგნებას, უნადავო ზედნაშენია და ამიტომ მავნებელი. რევოლუცია ბევრს რასმე ანგრევს და სპობს, მაგრამ არა აქვს ღონე შექმნას ისეთი რამ, რაც არ ეგუება ხალხის შეგნებას. ყოველი ცდა, რომ ხალხს მოახვიო ახალი კანონები და წესები, წინდაწინვე დაკარგულია: ეს მხოლოდ იწვევს შფოთს და არეულობას და ბოლოს ცხოვრება ისევ უბრუნდება იმ წერტილს, საიდანაც დაიწყო რევოლუცია, რომ დაადგეს მშვიდობიანს და თანდათანობით

განვითარებას. კონსტიტუცია შეიძლება ერთ საღამოს დაიწეროს, მაგრამ იგი უძლეური იქნება თავიდანვე. იმისთვის კი, რომ კონსტიტუცია იყოს სწორი და ხანგრძლივი, მარტო ლოგიკურ მსჯელობას კი არ უნდა მივმართოთ და მარტო იდეალებს კი არ უნდა ვუყურებდეთ: საჭიროა შესწავლა ერის ცხოვრებისა, მისი ისტორიის, ადათის, ჩვეულების, ენის, ლიტერატურის, მისი ეკონომიკური და კულტურული განვითარების; საჭიროა შესწავლა მისი მიდრეკილების და სულისკვეთების. ყველა ამ მასალის დაგროვების და შესწავლის შემდეგ მხოლოდ შესაძლებელია დაიწეროს ძირითადი კანონები სახელმწიფოსთვის. ამისთანა კანონებს ექნება ღრმად გაშლილი ფესვები ხალხის შეგნებაში და მჭიდროდ დაკავშირებული იქნება მასთან. ამისთანა კანონიც არ იქნება მუდმივი და სამუდამო; იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდება სხვადასხვა მხარე ეროვნული ცხოვრებისა, იცვლება აგრეთვე მიღებული კანონებიც, მაგრამ იცვლება თანდათანობით და ბუნებრივად. როგორც ხეს ბუნებრივად ჩამოახშება ხან ერთი ტოტი, ხან მეორე, ისე კანონმდებლობას ბუნებრივად ჩამოშორდება ხან ერთი დებულება, ხან მეორე. ამისათვის საჭირო არ არის რევოლუციური ქარიშხალი.

გ) ნატურალისტური სკოლა

ნატურალისტურმა სკოლამ გადმოიტანა ბიოლოგიური კანონები სოციალურ არეში. იგი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო, როგორც ადამიანთა საზოგადოება, არის ორგანიზმი, ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ცხოველი და მცენარე არის ორგანიზმი. მიწა, ქვა, ქვიშა, – არ არის ორგანიზმი. აქედან სჩანს, რომ პირველი და უმთავრესი ნიშანი ორგანიზმისა არის ფუნქციათა დანაწილება და თანამშრომლობა, ან სოლიდარობა მუშაობისა. ავიღოთ მცენარე: ფესვი, ძირი, ფოთოლი – სულ ეს ნაწილია მცენარისა, თითოეულ ნაწილს აქვს თავისი განსაკუთრებული საქმე და სამუშაო და ყველა ერთად ჰქმნიან იმას, რასაც ჰქვიან მცენარე. ავიღოთ ცხოველი: ყოველ ცოცხალ ორგანიზმს აქვს სამი უმთავრესი სისტემა ორგანოებისა: ა) ხელმძღვანელობისა – ტვინი და ნერვები, ბ) სარჩოს მომზადებისა – სტომაქი, კუჭი და სხვა, და გ) სარჩოს დანაწილებისა – გული და სისხლი. ის, რასაც აკეთებს თავი, შეუძლებელია გააკეთოს გულმა, ან სტომაქის მუშაობა იკისროს სხვა რომელიმე ორგანომ. აქაც ჩვენ ვხედავთ

ფუნქციათა დანაწილებას და ორგანოთა შორის სოლიდარობას და მათს თანამშრომლობას.

ყოველი ცოცხალი ორგანიზმი შესდგება ცოცხალი ნაწილებიდან ან უჯრედებიდან. კაცობრივი საზოგადოებაც შესდგება ცოცხალი უჯრედებიდან: ადამიანი უჯრედია სოციალურ ორგანიზმისა.

ყოველ უჯრედს ატყვია მცირედენი ჩანასახი თვითმოქმედებისა, ე.ი. ზრდისა და განვითარებისა. ადამიანის ზრდა და განვითარება ხომ ეჭვს გარეშეა. აქ ყველგან მოქმედობს ზოგადი კანონი ბიოლოგიისა – ევოლუცია.

მართალია, ყოველ ცოცხალ ორგანიზმში ერთი უჯრედი მეორეს აკრავს, ისინი შეზრდილნი და შეწყებულნი არიან, მაგრამ სიმორეს თუ სიახლოვეს არა აქვს მნიშვნელობა. ერთი და იგივე მანძილი საშინლად დიდია ან საშინლად პატარა იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისით ვუყურებთ იმას. ჩვენ ვამბობთ, რომ კაცობრივი საზოგადოება ორგანიზმია და არა უსათუოდ ორგანიზმი ხერხემლიანი ცხოველისა. ჩვენ ვიცით, რომ ორგანიზმი ბუნებაში ბევრნაირია. არის ისეთი ორგანიზმიც, რომელიც შეიძლება გაიჭრას შუა, მაგრამ ამით კი არა კვდება: თითოეული ნახევარი თავისთვის განაგრძობს ცხოვრებას. მაშასადამე ყოფილა ისეთი ორგანიზმიც, რომლის უჯრედები არც ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და შეიძლება მისი დაყოფა რამოდენიმე ნაწილად. ასეთია კაცობრივი საზოგადოებაც.

ჰერბერტ სპენსერს იმოდენა გასაოცარი მაგალითები მოჰყავს, რომ სრულებით ეჭვი არა რჩება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ფიზიოლოგიურად მართალია წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს.

ფსიქოლოგიურად ცოცხალი ორგანიზმი ხასიათდება ერთნაირი დელეგაციით. ყველა ორგანო გარეგან განწყობილებისა ემორჩილება ერთ ცენტრს. თვალი, ყური, ხელი, ფეხი – ასრულებენ იმას, რასაც მოითხოვს ეს ცენტრი, რომელიც მოთავსებულია ტვინში. იქ იკვანძება ყოველი ძაფი შეგნებისა. ბუზიც რომ შეეხოს თმასა, თმა მაშინვე შეირხევა, შეარხევს თავის ძირს, ძირი – ნერვულ ძაფს, და ეს თავისებური ტელეგრამა მიუღის ცენტრს, რომელიც მაშინვე ბრძანებას აძლევს ხელს ან რომელიმე სხვა გარეგან ორგანოს, მოიგერიოს ეს მახეზარი სტუმარი. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ცოცხალი ორგანიზმის ნებისყოფა არ არის უბრალო და მარტივი მოვლენა; იგი მეტად რთულია, იგი შედგება სხვა და სხვა

გამოხმაურებისაგან, რომელიც მოსდის ცენტრს ორგანიზმის სხვა და სხვა კუთხეებიდან. ადამიანის სურვილი ჩვენა გვეგონია სრულებით მარტივი მოვლენა, მაგრამ ნამდვილად კი იგი მეტად რთულია. ორგანიზმში ბევრია სრულებით ავტონომიურად მოწყობილი ნაწილები; ისინი თავისთვის ცხოვრობენ, აქვთ თავისი სიხარული, თავისი სევდა, თავისი სურვილი, თავისი ტკივილები. მაგრამ ყველა ეს პროცესი ხდება სიბნელებში, იგი არ არის გამაშუქებელი ჩვენი შეგნებისათვის, იქიდან მხოლოდ მოდის გამოძახილი, იკრიბება ჩვენს ტვინში და ეს ახლართული კვანძი სხვადასხვა ხმებისა ჰქმნიან ამა თუ იმ სულიერ განწყობილებას.

იგივე ჰხდება სოციალურ ორგანიზმში. მთავრობა არის ცენტრი, რომელიც ჰმართავს და განაგებს სახელმწიფოს. სახელმწიფოს ნებისყოფა არის კოლექტიური, იგი შენდება ყველა ინდივიდუალურ ნებისყოფისაგან. რასაკვირველია, აქ არის დიდი გრადაცია, იმის მიხედვით, თუ რამდენად არის კულტურულად და კოლექტიურად და პოლიტიკურად თვითონ სახელმწიფო განვითარებული. თუ სახელმწიფო ჩამორჩენილია, მისი ნების გამომსახველია ხშირად ერთი ადამიანი – მეფე ან იმპერატორი; მაგრამ თანდათან, როგორც ვითარდება სახელმწიფო, ისე უფრო მეტი რიცხვი მოქალაქეთა ღებულობს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ბოლოს მთელი ხალხი ჰქმნის სათანადო ორგანოებს – თავის ნებისყოფის გამოსახატავად. ეს ნებისყოფაა მაშინ ნებისყოფა სახელმწიფოსი.

უფრო დაწვრილებით გადმოცემა ნატურალისტურ თეორიისა საჭიროდ არ მიგვაჩნია. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია ვიცოდეთ მხოლოდ: ა) რომ სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია და ბ) მას აქვს თავისი ნებისყოფა. მაშასადამე, სახელმწიფო – პიროვნებაა, იგი შეიძლება იყოს სუბიექტი უფლებებისა: შეიძინოს უფლებანი და მიიღოს თავის თავზე ვალდებულებანი.

ამნაირად, სამმა დიდმა ერმა მოგვცა სამი უმთავრესი თეორია შესახებ სახელმწიფოს ბუნებისა და მისი არსებობის ძირითადი პრინციპებისა. ეს გახლავთ, როგორც უმთავრესი დავინანეთ – საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი. პირველმა, როგორც უმთავრესი პრინციპი, დავვისაზნა თავისუფლება, მეორემ – ისტორიული თანდათანობა, მესამემ – ბიოლოგიური განვითარება. რომელია მართალი ამ სამი მოძღვრებიდან? ჩვენ გვეგონია, სამივე ჭეშმარიტია. მართალია, მეცნიერული აზროვნება ვერ ურიგდება სამნაირს, თითქმის მოწინააღმდეგე ღებულებას, იგი მოითხოვს

მათ შერიგებას, უკანასკნელ სინთეზს, მაგრამ ასეთი სინთეზი ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენ ვერ შევიჭრებით ფილოსოფიაში. ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ თავისუფლება უაღრესი მიზანია სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა, მაგრამ ამავე დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თავისუფლებასაც აქვს საზღვარი ისტორიულ და ბიოლოგიურ კანონებში.

ამნაირად, შემოიფარგლა ჩვენი ამოცანაც. თუმცა ხალხი და ტერიტორია აუცილებელი ელემენტია სახელმწიფოსი, მაგრამ ჩვენ ის არ შეგვეხება, ჩვენ გვინტერესებს მესამე ელემენტი სახელმწიფოსი – **ხელმწიფობა** და მისგან გამომდინარე სახელმწიფოებრივი ხელისუფლებანი. თუ მიზანი სახელმწიფოსი არის თავისუფლება, მისი დამყარება და განვითარება, სახელმწიფოებრივი აღნაგებაც უნდა იყოს შეწონილი მიზანთან და მიზანი უზრუნველყოფილი ამ აღნაგებით.

ეს არის საგანი საკონსტიტუციო უფლებისა, რომლის განხილვასაც ეხლა შევუდგებით.

2. ხელმწიფობა

რა არის ხელმწიფობა და ვის ეკუთვნის იგი?

ისტორია გვაძლევს ბევრს საინტერესო მაგალითებს ხელმწიფობის გარეგან ფორმისას, იყვნენ სახელმწიფონი თეოკრატიული, ავტოკრატიული, არისტოკრატიული, დემოკრატიული და ოხლოკრატიული.

თეოკრატიულ სახელმწიფოში აღიარებულია ის პრინციპი, რომ ხელმწიფობა ეკუთვნის ღმერთს, რომელიც განაგებს სავსებით მთელ მიწიერ ცხოვრებას. ასეთი იყო ებრაელების სახელმწიფო ძველად, რომის პაპის სამფლობელო საშუალო საუკუნეებში, და ბევრი სამუსულმანო ქვეყნები დღესაც. მოსე წინასწარმეტყველმა ძირითადი კანონი სახელმწიფოსი მიიღო პირდაპირ ღვთისგან, რომის პაპი ითვლებოდა ქრისტეს მოადგილედ და პირდაპირ მემკვიდრედ პეტრე მოციქულისა; ხალიფატიც მემკვიდრეობაა მოჰომედისა. ყველა ამ სახელმწიფოებში უკანასკნელი უფლებრივი საფუძველი ხელმწიფობისა ან უმაღლესი ხელისუფლებისა არის ბრძანება ღვთისა.

ავტოკრატიული სახელმწიფოც ხშირად ემყარება რელიგიას. აქ ხელმწიფობა ეკუთვნის მეფეს, რომელიც უმაღლესი გამგეა და კანონმდებელი მთელ სახელმწიფოში.

არისტოკრატია ნიშნავს მცოდნე და განათლებულ პირთა პოლიტიკურ ბატონობას. – ეს არის უმცირესობა, მაგრამ შერჩეული და მომზადებული სახელმწიფო კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობისთვის.

ყველაზე უფრო მაღლა სდგას დემოკრატია. აქ პოლიტიკური უფლება აქვს ყოველ ადამიანს, ყველა თანასწორად ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების წარმოებაში. აქაც კანონმდებლობას და მართვა-გამგეობას ახორციელებენ შერჩეული პირები, მცოდნენი და მომზადებულნი, მხოლოდ ეს შერჩევა ჰხდება ფაქტიურად, ნამდვილ შეფასებით პოლიტიკურ მოღვაწეებისა და მათი არჩევნებით, ე.ი. საყოველთაო ხმის მიცემით. აქ ხელმწიფობა ეკუთვნის მთელ ერს.

სამწუხაროდ, დემოკრატია აქვს ერთნაირი ტენდენცია გადაგვარებისა. გადაგვარებული დემოკრატია არის ოხლოკრატია, ბატონობა ქუჩის, უხეში ძალის და უმეცრებისა. სახელმწიფოებრივ აზრის მაგიერ აქ იმარჯვებს დემაგოგია და სახელმწიფოც ირღვევა და მალე ეღება ბოლო.

მიუხედავად ამ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ფორმისა, ხელმწიფობა ყველგან არის, ყველგან არის უმაღლესი მბრძანებლობა და ხელისუფლება. ხელმწიფობის შემეცნებაში შედის ორი ძირითადი ელემენტი: ერთია – ნებისყოფა, მეორე – მატერიალური ძალა მისი განხორციელებისა. ნებისყოფა შეიძლება მიეწეროს ღმერთს, ეკუთვნოდეს მეფეს ან უმცირესობას, ან უმრავლესობას, ამით არსებითად არ იცვლება-რა; იცვლება მხოლოდ გარეგანი ფორმა გამოხატულებისა; ნებისყოფა კი, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტი, რჩება შეუცვლელად, ინდივიდუალურია იგი თუ კოლექტიური. თუ ამ ნებისყოფას შესწევს მატერიალური ძალაც თავის განსახორციელებლად ცხოვრებაში, იგი ჰხდება ხელმწიფობა ან სუვერენობა სახელმწიფოში.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ეხლანდელ დროში **ხელმწიფობა არის ეროვნული ნებისყოფა**, იგია წყარო და საფუძველი ყოველ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებისა და უმაღლესი მეთვალყურე იდეალისტური სკოლისა.

ნატურალისტური სკოლა ცოტა სხვანაირად უყურებს ამ საკითხს. როგორც ვიცით, მისი შეხედულებით სახელმწიფო – ცოცხალი ორგანიზმია, იგი იზრდება და ვითარდება როგორც ადამიანი. აქ თუ შედარება შესაძლებელია, შეიძლება ვიკითხოთ: როდის აქვს ადამიანს თავისი, პიროვნული ხელმწიფობა? როდის არის უფლებოსანი, რომ

განამტკიცოს თავისი ნებისყოფა? ჩვენ ვიცით, რომ ბავშვებს აქვს უფლებები, მაგრამ არ არის სამოქმედოდ უფლებოსანი და დამოუკიდებელი. როცა მას შეეძლება შეგნება თავის ინტერესებისა და ექნება საკმარისი გონებრივი და ფიზიკური ძალა, რომ განამტკიცოს თავისი თავი და დაიცვას თავის ინტერესები, – აი, მაშინ იგი ჰხდება სრულუფლებიანი, მას ეკუთვნის პიროვნული „ხელმწიფობა“ მის პიროვნულ საქმეებში. საზოგადოდ მიღებულია, რომ ოცი ან ოცდაერთი წელიწადი უნდა შეუსრულდეს ადამიანს, რომ მიაღწიოს საკმარის განვითარებას, ფიზიკურსა და გონებრივს; რომ ითქვას, რომ იგი უკვე მომწიფებულია და შეუძლიან თავის საქმეების წარმოება და თავის უფლებების დაცვა.

ასეთივეა სახელმწიფოს მდგომარეობაც. მისი ხელმწიფობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეს სახელმწიფო ორგანიზმი განვითარებულია, რამდენად მოღონიერებული, რამდენად აქვს იმას შეგნება თავის უფლებებისა და რამდენად შეუძლიან ამ უფლებების დაცვა. თუ ის საკმარისად განვითარებულია, მოწყობილი და ძლიერი; იგი ჰხდება სუვერენული სახელმწიფო, მას ანგარიშს უწევენ ყველა სხვა სახელმწიფოები და იძულებული ჰხდებიან აღიარონ იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. როგორც ადამიანის სიცოცხლეში, ისე ეროვნულ ცხოვრებაში არის გარდამავალი ხანაც, როცა ხალხი არც ისე სუსტია, რომ უარვეთ მისი ხელმწიფობა და არც ისე ძლიერი, რომ თვით დაიცვას და შეინარჩუნოს იგი, ამისთანა შემთხვევაში საჭირო არის ერთიანი მფარველობა და მზრუნველობა. ის გამოინატება იმ მფარველობაში, რომელსაც საერთაშორისო უფლებაში ჰქვია პროტექტორატი. თუ ეროვნული ორგანიზმი მოღონიერდა ამ მფარველობის ქვეშ, იგი მალე მოიცილებს თავიდან პროტექტორატს და ჰხდება სუვერენული სახელმწიფო, თუ არა და – მსხვერპლი ჰხდება სხვა სახელმწიფოსი, უფრო ხშირად მისი, ვინც უწევდა ამ მფარველობას.

ამნაირად, ხელმწიფობა არის **განამტკიცება ეროვნულ პიროვნების საერთაშორისო განწყობილებაში.**

ჩვენის აზრით, ორივე თეორია სწორია; მხოლოდ ეხებიან ერთ და იმავე მოვლენის ორ სხვადასხვა მხარეს: ერთი – ფსიქოლოგიურს, მეორე – ფიზიოლოგიურს. მაგრამ, მდაბიურად რომ ვთქვათ, სული და ხორცი ისე შეკავშირებულია ერთმანეთთან, რომ მათი განცალკევება ყოველად შეუძლებელია. ეს ორი ძალა მიდიან და ვითარდებიან პარალელურად.

სახელმწიფო წარმოუდგენელია, თუ არ არის რაიმე უფლებრივი წყობილება, სულერთია – თეოკრატიული, მონარქიული, დემოკრატიული, თუ სხვა. თუ კი არის წყობილება – არის ერთნაირი აქტივ ნებისყოფისა. ნებისყოფა მოთავსებულია ადამიანის ბუნებაში და თან სდევს თითქმის ყოველთვის მის ზრდას და განვითარებას, მის ევოლუციას. ამიტომ ზრდა და განვითარება ადამიანის ისე, როგორც საზოგადოებისა ან სახელმწიფოსი, აუცილებელი პირობაა თვითშეგნების ზრდის და ნებისყოფის სიმტკიცის. ეს ერთი და იგივე მოვლენაა, მხოლოდ ერთსა აქვს სახეში სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფსიქოლოგიური მომენტი, მეორეს – მისი ეკონომიკური განვითარება და მილიტარული ძალა.

თუ გადავხედავთ ცხოვრებას, მაგალითებისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. აი, ჩვენ თვალწინ იბადებიან რამოდენიმე ახალი სახელმწიფო: პოლონეთი, ფინეთი, საქართველო და სხვა. რა არის საჭირო მათი ხელმწიფობის დასამყარებლად? – ერთი – გადაწყვეტილი ნებისყოფა ერისა თავისუფლების მოსაპოვებლად, და მეორე – საერთაშორისო ცნობა ამ ნებისყოფისა. მაგრამ სულ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი მოლონიერებულია და შეგნებული იმდენად, რომ განამტკიცოს თავისი პიროვნება საერთაშორისო განწყობილებაში.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან შევაერთოთ ორივე განმარტება: **ხელმწიფობა არის უმაღლესი ნებისყოფა სახელმწიფოსი, როგორც საერთაშორისო პიროვნებისა.**

ამ განსაზღვრაში მოქცეულია ყველა საჭირო ნიშანდობილებანი: ა) ხელმწიფობა არის ნებისყოფა **სახელმწიფოსი** და არა რომელიმე წრის, პარტიის ან კლასის; ბ) იგი არის **უმაღლესი**, მამასადამე, დამოუკიდებელია საერთაშორისო განწყობილებაში.

3. დანაწილება ხელმწიფობისა

იმ კულტურულ დონის მიხედვით, რომელზედაც სდგას ეხლა მოწინავე კაცობრიობა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელმწიფობა ეხლა ეკუთვნის ხალხს, მთელ ერს, არა მარტო თეორიულად, არამედ ფაქტიურადაც. ბევრს მოწინავე სახელმწიფოში დემოკრატიული წესი დიდი ხანია, რაც დამკვიდრდა. იქ, სადაც კიდევ დარჩენილი იყო მონარქიული წყობილება, ჰხდება რევოლუცია, ინგრევა ტახტი და თანდათან ხელმწიფობა გადადის

ხალხის ხელში. ესლა ლაპარაკი მონარქიაზე ან არისტოკრატიაზე შეუძლებელია: ამას ექნება მნიშვნელობა მხოლოდ ისტორიული და ჩვენი საგნისთვის ზედმეტია. ჩვენ სახეში გვაქვს გამოვარკვიოთ და გავაშუქოთ ძირითადი პრინციპები თანამედროვე სახელმწიფოებრივ აღნაგებისა, ე.ი. იმ დროისა, როცა ერთად ერთი ძალი და გამომჟღავნებელი თავის ცხოვრების სახელმწიფოებრივ ფორმისა არის ეროვნული ნებისყოფა. რასაკვირველია, ჩვენ როლი დემოკრატის ან ეროვნულ ნებისყოფისა ძალიან არ უნდა გავაზვიადოთ. მასაც აქვს თავისი საზღვარი. ეს აშკარად მტკიცდება არა მარტო თეორიულად, რომელზედაც წინეთ გვქონდა ლაპარაკი, არამედ რეალურ ცხოვრებითაც. ყველგან დემოკრატიული წესწყობილება ჩამოყალიბდა თითქმის ერთნაირად, ყველგან ფორმა აღნაგებისა თითქმის ერთი და იგივეა. მართალია, ეს, ერთის მხრით, მიბაძვით და საერთაშორისო მაგალითების ზეგავლენით, მაგრამ მეორე მხრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისუფალ შემოქმედებასაც აქვს საზღვარი: ფეხს იკიდებს მხოლოდ ისეთი ფორმა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა, რომლისთვის არის ისტორიული ევოლუციით მომზადებული ნიადაგი. საფრანგეთის რევოლუციამ რაღაც ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში შეიმუშავა და დაამტკიცა სამი კონსტიტუცია, მაგრამ ყველა გამოდგა უდღეური და თავისთავად ჩაიფუშა ცხოვრების ტალღებში. ეს ამტკიცებს, რომ ხშირად ეროვნული ნებისყოფა წინ მიიღტვის, არ უწევს ანგარიშს ისტორიულ პირობებს და ცდილობს შეჰქმნას ისეთი წესწყობილება, რომელიც მოსწონს აღფრთოვანებულ გონებას, მაგრამ არ ეგუება ისტორიით მომზადებულ ნიადაგს.

საქართველო ამ მხრივ მომზადებულად უნდა ჩაითვალოს. აქ ფეოდალური ნაშთი არ იყო ძლიერი და ისიც, რაც დარჩა, სრულებით აღგვიღია უკანასკნელი რევოლუციის ქარტახილით. რუსეთის აბსოლუტიზმი და თვითმპყრობელი ბიუროკრატია არასდროს არ ეგუება საქართველოს ეროვნულ სულს და მის მიდრეკილებას. მის უტყუარი ნიშანია გაცხოველებული პოლიტიკური და პარტიული მუშაობა. ხალხი ეძებს გამოსავალს იმ უუფლებო მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი იმყოფება, და შეგნებულად ირაზმება ამა თუ იმ პარტიის გარშემო. უფრო ღირშესანიშნავია ის, რომ იდეა, რომლის ირგვლივ ჰხდება ეს ეროვნული კრისტალიზაცია, არ არის არცერთი რეაქციონული ან დემოკრატიზმის უარის მყოფელი. ჩვენში ბრძოლა გამწვავებულია უფრო არა

დემოკრატიზმის წინააღმდეგ, არამედ თვით გეგმის და მეთოდის ირგვლივ ამ დემოკრატიზმის დასამყარებლად. გარდა ამისა, ჩვენა გვაქვს უკვე ჩვენი დადებითი კანონმდებლობა ჩვენი ხალხის ხელმწიფობის შესახებ. პირველივე მუხლი „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა“ ამბობს: **„ამერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელიაო“**: ეს კანონი არ არის შემთხვევითი, ეს არის ერთხმად და უდავოდ მიღებული მთელი დამფუძნებელ კრების მიერ (1919 წლის 12 მარტს): მასასადამე, პირდაპირ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მას აქვს ღრმად გადგმული ფესვები ხალხის შეგნებაში, არის შედეგი ამ შეგნებისა და არა მარტო რევოლუციონური აქტი გატაცებულ ნებისყოფისა.

ხელმწიფობა – განყენებული შემეცნებაა. იმას უნდა ერთნაირი მოწყობა, ერთნაირი ორგანიზაცია, რომ გახდეს შემოქმედ ძალად. როგორ უნდა მოხდეს ეს ორგანიზაცია, რომ უზრუნველყოფილ იქმნას თავისუფლება? ეს არის ძირითადი საკითხი.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ეროვნული ხელმწიფობა შესდგება ორ უმთავრეს ელემენტისაგან: ეს არის ეროვნული ნებისყოფა და მატერიალური ძალა. ახლა ჩვენ უნდა ჩავუკვირდეთ პირველს – ეროვნულ ნებისყოფას – და გამოვარკვიოთ ფორმა მისი უმთავრესი მიმდინარეობისა. ეს საბუშაო შეასრულა პირველად დიდმა არისტოტელემ ძველ საბერძნეთში, ხოლო მეცნიერული განვითარება და დასაბუთება მისცა მას საფრანგეთის მეცნიერმა მონტესკიემ XVIII საუკუნეში.

მონტესკიე, როგორც ჟან-ჟაკ რუსო, გატაცებული იყო ერთ უდიდეს პრობლემით: როგორ შეიძლება დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანმა მისი თავისუფლება?! მონტესკიემ დაამტკიცა, რომ არც ერთი ფორმა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა ამის გარანტიას არ იძლევა. ხელმწიფობა ერისა კიდევ არ ნიშნავს თავისუფლების განმტკიცებას, უმრავლესობაც ნშირად ისე ტირანულია, როგორც უმცირესობა, თუ მან ჩაიგდო ყველა სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. ინგლისი მაშინაც თავისუფლების ქვეყნად ითვლებოდა: მონტესკიემ მიჰმართა მის ისტორიის და კონსტიტუციის შესწავლას და ბოლოს მივიდა დასკვნამდე, რომ უმთავრესი გარანტია თავისუფლებისა არის ხელმწიფობის დანაწილებაში სხვადასხვა სახელმწიფოს ორგანოთა შორის. მისი აზრით, ხელმწიფობას აქვს სამი უმთავრესი ფორმა მიმდინარეობისა: ეს არის ხელმწიფობა ან ხელისუფლება: ა) კანონმდებელი, ბ) აღმასრულებელი, და გ)

მსჯავრმდებელი. ამ სამი უმთავრესი ფუნქციებისათვის უნდა იყოს სამი, ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელი ორგანო: პარლამენტი, მთავრობა და სასამართლო. თითოეული იმათგანი უნდა ასრულებდეს მხოლოდ თავის ფუნქციას და არ უნდა ერეოდეს მეორის საქმეში, მაგრამ თითოეულს მათგანს აქვს მაინც ერთნაირი კონტროლის უფლება, არა იმისთვის, რომ ჩაერიოს მეორის მუშაობაში და ხელი შეუშალოს, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩააყენოს მეორე მის კომპეტენციის ფარგლებში, თუ ვინიცოცხა იგი გადაცდა ამ ფარგალს. მაშინ მივიღებთ ასეთ მდგომარეობას: ერთი იმუშავეს კანონებს, მაგრამ არა აქვს მისი ასრულების ნება; მეორეს სისრულეში მოჰყავს ეს კანონები, მაგრამ არა აქვს ნება გადაასხვაფეროს იგი ან გამოსცეს ახალი კანონი; მესამე ჯრის იმ დავას და უთანხმოებას, რომელიც შეიძლება ატყდეს ან კანონის ასრულების დროს, ან სხვადასხვა კერძო თუ საერთო ინტერესების შეჯგახებით. ამ გზით თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქმნას. რათა? იმიტომ, რომ კანონმდებელს არა აქვს ნება ემსახუროს საერთო ინტერესებს და არა რაიმე პირად სარგებლობას; მთავრობა ასრულებს კანონს, მაგრამ ღონე არა აქვს გაატაროს თავისი სურვილი. თვითნებობას ეღება ბოლო. თუ სადმე თვითნებობამ იჩინა თავი, დარაჯად დგას სასამართლო: მას შეუძლიან აღადგინოს დარღვეული უფლება. აქ არის ერთნაირი სწორწინაობა ამ სამ უმთავრეს ორგანოთა შორის: ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად, მაგრამ სოლიდარულად. ერთის მუშაობა საჭიროა მეორისათვის, მეორის მესამისთვის და სამივე ერთად ჰქმნიან უფლებრივ წყობილებას სახელმწიფოში. ტირანიის თუ მონარქიის უბედურება ის არის, რომ იქ ერთი და იმავე ორგანოში ხშირად თავმოყრილია ყველა ხელისუფლება – კანონმდებელი, აღმასრულებელი, მსჯავრმდებელი. ტირანი თვითონ არის სუვერენობის მატარებელი, თვითონ სცემს კანონს, თვითონ ასრულებს და თვითონ იძლევა განაჩენს. ეხლა, როცა ტირანიამ თუ მონარქიამ მოსჭამა თავისი დღე და სუვერენობა გადავიდა დემოკრატიის ხელში, იმან უნდა მოაწყოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისე, რომ შეუძლებელი გახდეს ყოველი თვითნებობა და უზრუნველყოფილი – სამოქალაქო თავისუფლება. ამისთვის საჭიროა მისი ხელმწიფობის დანაწილება სხვადასხვა ორგანოთა შორის. მაშინ თითოეულ ორგანოს აქვს მხოლოდ ერთი ელემენტი სახელმწიფობისა, ერთი

რომელიმე უმაღლესი ხელისუფლება და ისიც ისეა მოწყობილი, რომ არა აქვს გასაქანი გარეშე თავისი კანონით განსაზღვრულ კალაპოტისა.

ეს არის ძირითადი დებულება მონტესკიესი. მას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა (ლორენც-შტეინი, ბლუნჩი და სხვები). მაგრამ ეს წინააღმდეგობა უფრო გაუგებრობაზეა დამყარებული. სრული გამოყოფვა ერთის ხელისუფლებისა მეორისაგან, სრული მისი დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, შეუძლებელია. პარლამენტი თუ მთავრობა, როგორც სასამართლო, მხოლოდ ორგანოა ერთ დიდ ორგანიზმისა, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო. ორგანო ასრულებს მხოლოდ განსაკუთრებულ ფუნქციას, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ორგანო გამოყოფილია და ჩამოშორებული თვითონ ორგანიზმს. თავი ასრულებს თავის ფუნქციას, ხელი – თავისას, მაგრამ ჩამოშორებულნი კი არ არიან მთელი ტანიდან. ორივე ნაწილია ერთი და იმავე ტანისა, ორივეს ასაზრდოებს ერთი და იგივე სისხლი, ორივე აღმოცენებულია ერთ და იმავე ნიადაგზე, მაგრამ ეს სრულებით ხელს არ უშლის იმას, რომ ერთს ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია და მეორეს – თავისი.

ამიტომ მონტესკიეს თეორია ჩვენ სრულებით არ მიგვაჩნია მიუღებლად. პირიქით, ცხოვრებამ უკვე დაამტკიცა მისი სრული ჭეშმარიტება. ყველგან, ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში, უკვე გატარებულია მისი პრინციპები, ზოგან – მკაცრად, ზოგან – ცოტა შერეულად, და თითქმის ყველგან გაამართლა წინასწარი იმედები. ამერიკის კონსტიტუცია კი პირდაპირ აგებულია ამ პრინციპებზე.

ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ.

ნაწილი მეორე

კანონმდებელი ხელისუფლება

1. წარმომადგენლობა

ყოველ სახელმწიფოს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, უნდა ჰქონდეს შესაფერისი ორგანოები. თავდაპირველად ის, რომელიც წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმის ტვინს და საზოგადოდ ნერვულ სისტემას – ე.ი. პარლამენტი და მთავრობა, და მათი უფრო მცირე ნერვული კვანძები – ადგილობრივი თვითმმართველობანი.

ამ ორგანოების შექმნა ხდება არა მარტო ფიზიოლოგიურის ზრდით, როგორც ცოცხალ ორგანიზმებში, არამედ აგრეთვე ადამიანთა შეგნებულ ნებისყოფის გეგმით და ზეგავლენით. აქ შეგნებული ნებისყოფა თამაშობს შემოქმედ როლს. ამიტომ ხალხს თვითონ შეუძლია უშუალოდ აწარმოოს ზოგიერთი სახელმწიფოებრივი საქმეები. ამისთვის საჭიროა მხოლოდ მოახდინოს ყრილობა, იქონიოს მსჯელობა ამა თუ იმ საქმეზე და გადაწყვიტოს იგი უბრალოდ ხმის უმეტესობით. ეგრე ხდებოდა ძველ საბერძნეთის პატარა-პატარა ქალაქ-სახელმწიფოებში, აგრეთვე ხდება ესლაც შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში. წარმომადგენლობაც საჭირო არ არის.

მაგრამ ესლანდელი სახელმწიფოები არ არის პატარა-პატარა ერთეულები. რამდენიმე მილიონი და ათეულ მილიონი შეადგენს მცხოვრებთა რაოდენობას. მათი შეყრა ერთად და უსაშუალოდ საქმეების წარმოება ფიზიკურად შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელი გახდა წარმომადგენლობა.

აქედან აშკარაა, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა ეს ინსტიტუტი. ერთის მხრივ, ვინაიდან ხელმწიფობა ეკუთვნის ერს და ყოველ სახელმწიფოებრივ საქმეში უნდა სცემდეს, ცოტად თუ ბევრად, ეროვნული ნებისყოფა, და, მეორეს მხრივ, ვინაიდან ფიზიკურად შეუძლებელია ყოველთვის თავის მოყრა მთელი ერისა და მისი დაკითხვა, აუცილებელი გახდა **ხელოვნური ორგანიზაცია ეროვნული ნებისყოფისა**. ხალხი ირჩევს წარმომადგენლებს ან დეპუტატებს, ამ წარმომადგენლების კრებული არის პარლამენტი.

ამნიარად პარლამენტი ხდება ორგანო ეროვნული ნებისყოფისა, მაგრამ *არა სავსებით* და *არა სამუდამოდ*.

სავსებით რომ ყოფილიყო ეროვნული ნებისყოფა გადაცემული, მაშინ გადაცემული იქნებოდა ეროვნული სუვერენობაც და ხალხი დარჩებოდა ისევ უფლებათაზე, როგორც ის იყო მონარქიის ბატონობის დროს. პარლამენტზე გადადის მხოლოდ ერთი ელემენტი სუვერენობის – კანონმდებელი ხელისუფლება. ეს უფლება დიდია და ამიტომ საშიშარიც. კანონმდებელ ხელისუფლებამ შეიძლება შექმნას ისეთი კანონი, რომელიც სულ გააქარწყლებს ერის ხელმწიფობას. ამიტომ ყოველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში პარლამენტი უმთავრეს და უდიდეს საკითხებში შეზღუდულია. ერი თვითონ ინარჩუნებს ამ საკითხების შესახებ უზენაეს ხელისუფლებას. ეს შესაძლებელია, ვინაიდან ამისთანა საკითხები ბევრი არ არის, შეეხება უფრო მიღებულ კონსტიტუციის შეცვლას და ადვილი მოსახდენიცაა. ამაზე დაწვრილებით შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

გარდა ამისა, პარლამენტი, როგორც ხელოვნური ორგანიზაცია ეროვნულ ნებისყოფისა, არ არის მუდმივი თავის შემადგენლობით. ნებისყოფა ცოცხალი ძალაა. იგი იცვლება, მისი მიმართულება დამოკიდებულია სხვადასხვა საერთაშორისო თუ შინაგან გარემოებათა ზედგავლენებისაგან. იცვლება აგრეთვე ეროვნული ნებისყოფაც. ამიტომ საჭირო არის პერიოდული მისი დაკითხვა და პერიოდულად გამოცვლა პარლამენტის შემადგენლობისა, ე.ი. წარმომადგენლობისა.

ჩვენ მივუახლოვდით ერთ დიდად სადავო საკითხს: **წარმომადგენელი თავისუფალია თუ არა თავის წარმომადგენლობაში?** იყო დრო, წარმომადგენელს აძლევდნენ მანდატს და მანდატით შებორკილი იყო მისი თავისუფალი მოქმედება. წარმომადგენელი ვალდებული იყო ემოქმედა ისე, როგორც დააბარებდნენ მისი ამომრჩეველები. იმას არ ჰქონდა თავისუფლება მოქმედებისა. ბოლოს ეს წესი უარყოფილი იქნა, თავდაპირველად იმიტომ, რომ ყოველად შეუძლებელი აღმოჩნდა ყოველ საკითხის შესახებ მანდატის მიცემა. არის აუარებელი სახელმწიფო საკითხები, რომელიც ადგილობრივ პატარ-პატარა წრეებს არც კი სწვდება, არც იცის და არც შეუძლიან მათი გადაწყვეტა. ეს საკითხები მუშავდება სახელმწიფოს ცენტრში, მათ გადაწყვეტას უნდა მეტი პოლიტიკური პერსპექტივა, მეტი ცოდნა და გამოცდილება, ვიდრე ეს მოიპოვება პირვანდელ საარჩევნო ერთეულში. ამიტომ მანდატობა გადავარდა. დარჩა მხოლოდ ისეთ სფეროში, სადაც ის

მართლა საჭირო და მიზანშეწონილია, მაგ., ჩრდილო-ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში. აქ მხოლოდ ერთი კითხვაა: – ვინ ავირჩიოთ პრეზიდენტად? თანაც ეს არჩევნები დიდათ მნიშვნელოვანია და მის შესახებ სახელდებითი გამოძვლავნება ეროვნულ ნებისყოფისა სრულებით კანონიერი და მიზანშეწონილია.

ასლა წარმომადგენელი თავისუფალია, ის არ არის შეზღუდული რაიმე მანდატით თავის ამომრჩევლების მიერ. მისი არჩევის შემდეგ ის ითვლება წარმომადგენლად მთელი ერისა და არა მხოლოდ მათი, ვინც ხმა მისცა მის ასარჩევად. იგი თავისუფალია თავის მოქმედებაში. მაგრამ არც ეს თავისუფლება უნდა გავაზვიადოთ. წარმომადგენელს ყოველთვის აქვს თავისი პოლიტიკური და სოციალური პროგრამა, ეს პროგრამა დაბეჭდილი და გავრცელებულია ამომრჩევლებთა შორის; ამ პროგრამით წარსდგა იგი ამომრჩეველთა წინაშე. ეს პროგრამა ერთნაირი ხელშეკრულებაა ამომრჩეველთა და ასარჩევი პირის შორის. მართალია, ეს ხელშეკრულება არ არის ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი – მაშინ იქნებოდა ნამდვილი იურიდიული აქტი, – მაგრამ არის საჯარო აღქმა, საჯარო დაპირება, რომ დეპუტატი არ უღალატებს ამ პროგრამას, ამ სიტყვიერ ხელშეკრულებას. აქ უეჭვოდ არის პასუხისმგებლობა, მაგრამ თუ ამ პასუხისმგებლობამ ჯერ ვერსად ვერ მიიღო იურიდიული სახე, ეს, ჩვენის აზრით, აიხსნება შემდეგი თეორიული და პრაქტიკული სიძნელით: ერთი – ვინ არის სუბიექტი უფლებისა? ვისი უფლებაა დარღვეული მაშინ, თუ წარმომადგენელმა უღალატა თავის პროგრამას? აშკარაა, ამომრჩევლების, – მაგრამ ვინაიდან ყველგან მიღებულია ფარული კენჭისყრა, აშკარაა, ვერავინ დაამტკიცებს იმას, რომ მან მისცა კენჭი. თუ კი დაამტკიცა, მისი ხმა ფარულად არ ყოფილა მიცემული და ამიტომ არც კი უნდა ჩაითვალოს ამომრჩეველ ხმად, მომჩივანს ეცლება უფლებრივი ნიადაგი: იგი არ ყოფილა ამომრჩეველი და მაშასადამე, არც აქვს უფლება განაცხადოს რაიმე პრეტენზია. ეს ერთი სიძნელე, წმინდად იურიდიულია. არის მეორეც: შეიძლება ეს უფლება გადავიდეს საჯარო უფლების არეში, შეიძლება არა ამომრჩეველს, არამედ მთავრობას მიეცეს უფლება ამისთანა კითხვის აღძვრისა, ე.ი. როცა წარმომადგენელი უარჰყოფს ან გადაუხვევს თავის პროგრამას, მოითხოვოს ამა თუ იმ სახით მისი გადაყენება. მაგრამ ეს იქნებოდა შეზღუდვა ხალხის ხელმწიფობისა: სად არის გარანტია იმისი, რომ მთავრობა ამისთანა უფლებას არ მოიხმარს უსიამოვნო

დეპუტატის გასაძეგებლად და ამრიგად სულ არ გარდაქმნის წარმომადგენლობის ძირითად პრინციპს? სჯობია ისევ საპროგრამო მუშაობა და საზოგადოდ მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა მიენდოს ისევ დეპუტატს, მის სინდისსა და პატიოსნებას, ვიდრე მთავრობას მიეცეს ისეთი იარაღი, რომელმაც შეიძლება სულ მოსპოს ან გამოსცვალოს ეროვნული ნებისყოფის სწორი გამოხატულება.

ამიტომ წარმომადგენელი იურიდიულად არ არის პასუხისმგებელი თავის ამომრჩეველთა წინაშე, ხოლო ზნეობრივად – კი.

2. საარჩევნო უფლება

ხელმწიფობა – ჩვენა ვსთქვით – ეკუთვნის ხალხს, მთელ ერს. მაშასადამე, ყოველი ადამიანი, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ყოველი მოქალაქე არის მონაწილე ამ ხელმწიფობისა. თითოეული ნებისყოფა, თუმცა წვეთია ეროვნულ ნებისყოფის ზღვაში, მაგრამ ის წვეთია, რომლისაგან ბოლოს და ბოლოს შესდგება ეს ზღვა. სუბიექტური საფუძველი საარჩევნო უფლებისა არის უკვე განმტკიცებული შეგნება იმისი, რომ სახელმწიფო საქმეების წარმოებაში დაინტერესებულია არა ეს თუ ის წრე, არა ესა თუ ის კლასი საზოგადოებისა. არამედ ყოველი მოქალაქე, მთელი ერი. მართლაც, ვის არ ეხება, სახელმწიფოს საქმეები, მისი მშვიდობიანობა, მისი ეკონომიკური და კულტურული განვითარება?! ვინ არ არის დაინტერესებული ამისთანა კითხვებით? აშკარაა, სახელმწიფოს ცხოვრება იმავე დროს არის ცხოვრება ყველასი, ყველასი ბედი და უბედობა გადაბმულია სახელმწიფოს ბედზე და უბედობაზე. თუ ეს ასეა, ისიც აშკარაა, რომ ყველას აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა იმ უმთავრეს აქტში, სადაც უნდა გამოირკვეს ეროვნული ნებისყოფა. ეს განხლავთ სუბიექტური საფუძველი საარჩევნო უფლებისა. აქედან პირველი დასკვნაა: ეს უფლება უნდა აიყოს *საყოველთაო*, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ეს პრინციპი ჩვენში უკვე განხორციელებულია და მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის.

ბევრი თეორიები, რომლებიც უარჰყოფენ ზემოთთქმნილ პრინციპს და საარჩევნო უფლების საფუძველს ეძებენ უფრო დადებით კანონმდებლობაში. მე იმათ გარჩევას აქ არ შეუვადგები. შევნიშნავ მხოლოდ, რომ თვით დადებითი კანონმდებლობა, დემოკრატიულ ქვეყნებში მაინც, შედეგია

ეროვნული ნებისყოფისა. შეიძლება ეს ეროვნული ნებისყოფა ყველგან არ იყოს სწორედ გამოთქმული, მაგრამ ყველგან აქეთკენ არის მიმართული საერთო ტენდენცია. გარდა ამისა, დადებითი კანონმდებლობა განსაკუთრებულს და თითქმის ერთნაირად მკაცრ ყურადღებას აქცევს ყველგან, სადაც არის შემოღებული თუნდაც შეზღუდული არჩევნები, ერთ გარემოებას: ეს გახლავთ სწორი გამოთქმა პიროვნული ნებისყოფისა. ამიტომ კანონმდებლობაში აღნიშნულია სხვადასხვა ღონისძიება: წინასწარი სია ამომრჩევლებისა, წესი მისი გასწორების და შევსებისა, წესი ხმის მიცემისა, დათვლა, გასაჩივრება და სხვა. რისთვის არის ეს რთული და ძნელი პროცედურა, თუ არა იმისთვის, რომ უშეცდომოდ გამოანგარიშებული იქნეს ნებისყოფა ამომრჩეველ მოქალაქეთა? მოაშორეთ ეს ძირითადი საფუძველი არჩევნებს და თვით არჩევნები კარგავს ყოველ აზრს. ყოველ კანონმდებლობაში სასჯელიც კი დანიშნულია იმისთვის, ვინც სიყალბეს ჩაიდენს საარჩევნო საქმის წარმოებაში და ასე თუ ისე გადაასხვაფერებს მოქალაქის ნებისყოფას. ამკარაა, სწორედ ეს სუბიექტური ელემენტი არის ნამდვილი საფუძველი საარჩევნო უფლებისა.

აქედან იხადება სხვადასხვა მოთხოვნილება. ჯერ ერთი ის, რომ პიროვნული ნებისყოფა უნდა იყოს *შეგნებული*. აქ ობიექტივურ საზომად მიჩნეულია სრულწლოვანება. ჩვენში მიღებულია 20 წელიწადი, მცირეწლოვანებს, შეშლილებს, ყრუ-მუნჯებს არ აქვთ ეს უფლება სწორედ იმიტომ, რომ მათი ნებისყოფა ან მიბნელებულია, ან არ არის საკმარისი შეგნებული. არ აქვთ, აგრეთვე, ღირსებაახდილებს: ვინც ჩაიდინა უღირსი საქმე, მისი ნებისყოფა, რასაკვირველია, არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. უცხოელებიც ვერ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში. უფლება აქვს მხოლოდ მოქალაქეს და სანამ უცხოელი არ გახდება მოქალაქე, თავისთავად ცხადია, სახელმწიფო იმას უფლებას არ მიცემს ჩაერიოს თავის საქმეებში, არჩევნები – ეროვნული ნებისყოფის გამოხატვაა და არა უცხოელების სურვილის და ზრახვებისა.

მეორე: – *პირდაპირი, თანასწორი და ფარული*. სამივეს ეს მოთხოვნილება ემსახურება ერთ და იმავე მიზანს – ეროვნულ ნებისყოფის გამოხატვას სისწორით და მიუმცდარებლათ. ხმის მიცემა უნდა იყოს პირდაპირი, – რათა ამომრჩეველმა იცოდეს კარგად, ვის აძლევს ხმას; იგი უნდა იყოს ფარული – რათა დაცულ იქმნას თავისუფლება ამომრჩევლისა

ყოველ შიშისა და ზედგავლენისაგან ხმის მიცემის დროს, თანასწორიც – ვინაიდან ყოველი მოქალაქე თანასწორია: თითოს აქვს თითო ხმა, არც მეტი და არც ნაკლები, თავის ნების და შეხედულების გამოსახატავად.

აქ საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებით აღვნიშნო ჯარის და საზოგადოდ ყოველ შეიარაღებულ ძალის მდგომარეობა: **ჯარი არ უნდა ეროდეს ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში.** ჯარის მოვალეობა და დანიშნულება უაღრესად წმინდაა და მაღალი: მან უნდა დაიცვას სამშობლო გარეშე მტრებისაგან. ამ უაღრეს მიზნის მისაღწევად აუცილებელია განსაკუთრებული ორგანიზაცია და დისციპლინა. დისციპლინა არის უდავოთ და უცილოთ ასრულება ყოველ სამხედრო ბრძანებისა. როცა ისმის ბრძანება, პიროვნული ნებისყოფა ჯარისკაცისა გაუქმებულია. მაშასადამე, ჯარი მხოლოდ ძალაა და უნდა იყოს ძალა, ფიზიკური, მატერიალური, მძლეველი და გამნადგურებელი, როცა ამას მოითხოვს ეროვნული ინტერესი საერთაშორისო განწყობილებაში. მაგრამ შინაური ცხოვრება, ეროვნული ნებისყოფის გამოთქმა, რომელიც თავისუფალია და უნდა იყოს თავისუფალი, ამისთანა ძალის ჩარევა წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, რომ შეიძლება სულ დაამხოს ეროვნული თავისუფლება. ამიტომ ჯარს და ჯარისკაცებს არა აქვთ საარჩევნო უფლებები.

ასეთია ჩვენი შეხედულება არჩევნების ძირითად პრინციპზე. ზოგი მოწინააღმდეგე ცდილობს დაარღვიოს იგი იმავე პრინციპების მიხედვით, რომელზედაც აგებულია. ნებისყოფა, ამბობენ იგინი, არ არის ყველგან საკმაოდ გაშუქებული და შეგნებული. უმეცარი და გაუნათლებელი მასა ყოველთვის მსხვერპლი ხდება მოხერხებული აგიტაციის და დემაგოგიის; ამიტომ თავის მოტყუება გამოდის ეროვნულ ნებისყოფის გამორკვევა საყოველთაო არჩევნებით და სხვა... ეჭვი არ არის, ამ მოსაზრებაში ბევრი სიმართლეა, მაგრამ ეს მაინც საკითხს ვერ წყვეტს. აქედან გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ ხალხის განათლება, მისი გონებრივი და ზნეობრივი განვითარება სახელმწიფოებრივ ცხოვრებისთვის ეხლა ერთი უაღრესი მოთხოვნილებაა, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევს ყოველი ხალხოსნური მთავრობა და ურომლისოდ მართალია ძნელია განმტკიცება დემოკრატიული წყობილებისა. ამ მიზანს ყოველი ღონისძიებით ცდილობს მიაღწიოს ყველგან დემოკრატია, გარდა ამისა, მომიზეზებით, რომ ბავშვი შეიძლება წაიქცესო, ყოველად შეუძლებელია ბავშვს სრულებით აეკრძალოს სიარული. მაშინ სიარულს იგი ვერასდროს ვერ ისწავლის. მართალია,

მასა ჯერ კარგად შეგნებული და განათლებული არ არის, მაგრამ მხოლოდ ამიტომ შეუძლებელია იმას აეკრძალოს „სიარული“. პირველად შეიძლება იგი წაიქცეს, შეიძლება წაიბორძიკოს, შეიძლება გაჰყვეს დემაგოგიას და ამოირჩიოს ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც ხშირად სულ არ ხატავენ ნამდვილ ეროვნულ სულისკვეთებას, მაგრამ ასეთი შეცდომა ადვილი გამოსასწორებელია. თვით არჩევნები მისი საარჩევნო ბრძოლით და ავითაცით უდიდესი სკოლაა ხალხის გამოსაღვიძებლად და გასავითარებლად. განსაკუთრებით ესაა, როცა რევოლუციამ შეარყია მთელი ცხოვრება და თავისი იდეალური ლოზუნგები შეიტანა ყოველ მივარდნილ კუთხეში, უკვე გვიან არის ლაპარაკი იმაზე, რომ ხალხი ვითომდა ჯერ საკმაოდ შეგნებული არ არის. რევოლუცია და მასზე დამოკიდებული იდეალური მოძრაობა უკვე ფაქტია. ეს ობიექტური მოვლენა – ეკვივალენტია სუბიექტურ განცდისა. მაშასადამე, ნებისყოფაც – უდიდესი ფაქტორია.

ამიტომ საყოველთაო საარჩევნო უფლებას აქვს არა მარტო თეორიული გამართლება, არამედ ობიექტივური საფუძველიც.

ჩვენში მოქმედი საარჩევნო კანონი საკვებით ეთანხმება ზემოთოყვანილ პრინციპებს: ამიტომ დაწვრილებით გადმოცემა თვით არჩევნების ორგანიზაციისა აქ საჭიროდ არ მიმაჩნია.

3. პროპორციული სისტემა

წარმომადგენლობის უმთავრესი მიზანია „წარმოდგინოს“ ქვეყანა, მთელი ერი, მისი ნებისყოფა. ამიტომ პარლამენტი უნდა იყოს სურათი ეროვნული ნებისყოფისა, როგორც, მაგალითად, რუქა – სურათი ეროვნული ტერიტორიისა, რუქაზე შეუძლებელია აღინიშნოს ყოველი გორაკი, ყოველი მინდორი, ყოველი ხრამი და რუ. ყველაფერი ეს რომ აღნიშნულ იქნას, რუქა უნდა იყოს ისე დიდი და ფართო, როგორც თვითონ ქვეყანაა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რუქა უფრო პატარაა, ვიდრე დახატული ტერიტორია; ამიტომ იქ შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ უდიდესი მთები, უმთავრესი მდინარეები, – წვირილმანების აღნიშვნა კი ტექნიკურად შეუძლებელია.

ასეთივეა პარლამენტი. შეიძლება აქ წარმოდგენილ იყოს ყოველი პიროვნული ნებისყოფა? ცხადია, რომ არა. მაშინ პარლამენტი უნდა

გადიდდეს ისე, რომ მთელი ერი იქმნეს თავმოყრილი. მაშინ პარლამენტია მთელი ერი და მაშასადამე, არ არის პარლამენტი, არ არის წარმომადგენლობა. მაგრამ პარლამენტს მაინც შეუძლია იყოს „რუქა“ ან სურათი ეროვნული ნებისყოფისა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ამ სურათში აღნიშნულ იქნას „უმთავრესი სიმაღლეები“, უდიდესი „მდინარეები“... ამ უდიდეს მოვლენათა აღნიშვნა კი პატარა სურათზეც ადვილია.

შედარებას თავი რომ დავანებოთ, გამოდის, რომ პარლამენტმა უნდა წარმოადგინოს არა თითოეული პიროვნული ნებისყოფა, არამედ საერთო მიმდინარეობა კერძო ნებისყოფათა. რაც უფრო დიდია ეს მიმდინარეობა, მით უფრო ადვილი გამოსახატია იგი პატარა სურათზედაც; რაც უფრო პატარაა, მით უფრო ძნელი. ამიტომ დიდ მიმდინარეობას უნდა ჰყავდეს უფრო დიდი წარმომადგენლობა, პატარას – უფრო პატარა, უფრო მცირე: ამასა ჰქვია *პროპორცია*. პარლამენტში დაცული უნდა იქნას პროპორცია ძალათა განწყობილებისა. მხოლოდ მაშინ იქნება იგი უფრო სწორი სურათი ეროვნული ნებისყოფისა.

სწორედ ეს მიზანი აქვს დასახული პროპორციულ სისტემას არჩევნებში.

ეს სისტემა ეკუთვნის ახალ დროებს. პირველად მასზე ლაპარაკი აღძრა ცნობილ სენ-ჟუსტმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, მაგრამ მეცნიერული განვითარება მიიღო მხოლოდ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში. უმთავრესი თეორიტიკოსები ამ სისტემისა არიან: კონსიდერანი, კავალკანტი, ანდრე, ჰოპენბახ-ბიშოვი, ღონტი, კერი და სხვანი.

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ძველი საარჩევნო სისტემა, ევრეთწოდებული „მაჟორიტარული“ (არჩევნები ხმის უმეტესობით) არამც თუ არა ჰქმნის ნამდვილ წარმომადგენლობას, პირიქით, სრულებით უარყოფს ხშირათ ეროვნულ ნებას. წარმოვიდგინოთ, რომ მთელი ქვეყანა გაყოფილია ორ პარტიათ, ე.ი. ეროვნული ნებისყოფის ორ მიმდინარეობათ. თუ არჩევნები იქნება უბრალო ხმის უმეტესობით, ერთი ხმაც საკმარისია, რომ მიემატოს ყველა ხმების რაოდენობის ნახევარს და შეჰქმნას უმეტესობა. ვთქვათ, ამომრჩეველთა რიცხვი ორი მილიონია, თითქმის თანაბრად გაყოფილი ორ პარტიის შორის და ამოსარჩევია ასი წარმომადგენელი. მაშინ თუ რომელიმე პარტიამ მიიღო თუნდაც ერთი ხმითაც მეტი (ე.ი. ერთი მილიონი და ერთი ხმა), იგი გაიყვანს ყველა

თავის წარმომადგენლებს – იმას ეყოლება ასი დეპუტატი, მეორე პარტიას კი – არცერთი, თუმცა მისი რაოდენობა თითქმის იმოდენაა, როგორც მისი მეტოქისა (აკლია მხოლოდ ერთი ხმა). გამოდის, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ერთი ნახევარი ქვეყნისა წარმოდგენილია და მეორე ნახევარი კი არა. ეს აშკარა უსამართლობაა.

ეხლა ვთქვათ, რომ ასეთ პარლამენტმა მიიღო რომელიმე კანონი უბრალო ხმის უმეტესობით; თუ ეს უმეტესობა მცირეა, მაგალითად, არა უმეტესი სამი მეხუთედისა, ადვილი დასამტკიცებელია, რომ ასეთი კანონი სულ არ ეთანხმება ერის უმრავლესობის სურვილს. თუ პარლამენტი წარმოადგენს ერის ნახევრის ნებისყოფას ($1/2$), თუ კანონი მიიღო $3/5$ -მა პარლამენტისამ, აშკარაა, ეს კანონი ეთანხმება მხოლოდ ერის ნახევრის სამ მეხუთედს. ნახევრის სამი მეხუთედი ($1/2 \cdot 3/5 = 3/10$) იქნება მხოლოდ სამი მეათედი მთელი ერისა. თუ ერი ორი მილიონია, სამი მეათედი იქნება მხოლოდ ექვსასი ათასი, ე.ი. უმცირესობა და არა უმრავლესობა ერისა. ერთის სიტყვით, მაჟორიტარული სისტემა საპარლამენტო არჩევნებში ყოველად მიუღებელია დემოკრატიული თვალსაზრისით. ამიტომ პროპორციული სისტემა თანდათან იკაფავს გზას არა მარტო პატარ-პატარა სახელმწიფოებში. წრეულს საფრანგეთში მიიღეს ეს კანონი, ცოტა შერეული ტიპისა; მიღებულია აგრეთვე უკანასკნელ გერმანიის კონსტიტუციაში. აშკარაა, იგი მალე მოეფინება მთელს ქვეყნიერებას, ვინაიდან დემოკრატიული მოძრაობა ეხლა ყველაგან ძლიერია.

პროპორციული არჩევნები სწარმოებს ამ სახით: ყოველ პარტიას, ყოველ იდეურ მიმდინარეობას, უფლება აქვს შეიმუშაოს თავისი სია კანდიდატებისა და წარუდგინოს საარჩევნო კომისიას გამოსაქვეყნებლად. ამისთანა სიები იქნება იმდენი, რამდენიც პოლიტიკური პარტიაა სახელმწიფოში. ამისთანა პარტიები იქნება 10–15. შემდეგ მთელს სახელმწიფოში კენჭი ეყრება ამ სიებს, და არა პიროვნებას. მერე დათვლიან ყველა საარჩევნო ხმებს და თითო სიის ხმებს ცალ-ცალკე. ამნაირად ჩვენ გვექნება ჯამი ყველა ხმებისა, რაც კი მიცემულ იქნა მთელს სახელმწიფოში და ჯამი თითოეული სიის ხმისა. წარმომადგენლების ადგილი კი პროპორციულად უნდა იქნეს დანაწილებული ამ სიათა შორის. ვთქვათ, 10 000 ხმა, 10 წარმომადგენელია ამოსარჩევი, და სულ სამი სიაა, რომელთა შორის ეს ათი ათასი ხმა დანაწილებულია ასე: პირველ №-მა მიიღო 500, მეორემ –

3000 და მესამემ – 2000. – რომ სამართლიანად დავანაწილოთ წარმომადგენელთა რიცხვი სიათა შორის, საჭიროა ამომრჩეველთა ხმების რიცხვი გავყოთ იმ რიცხვზე, რომელიც წარმოადგენს ასარჩევ წარმომადგენელთა რაოდენობას: $10\ 000:10=1000$. აი, აგრეთვე მიღებულ რიცხვს ჰქვია *მეტრი* ან საზომი. ამ საზომით უნდა მიემართოთ ყველა სიებს და გამოვიანგარიშოთ, თუ რომელს რამდენი წარმომადგენლის ადგილი ერგება. თუ ერთი წარმომადგენლის ასარჩევად საჭიროა ათასი ხმა, აშკარაა თითოეული სია მიიღებს იმდენ წარმომადგენელს, რამდენჯერ ათასს შეიცავს მის მიერ მიღებული ჯამი ხმებისა. ამიტომ პირველ სიამ უნდა მიიღოს 5 ადგილი, მეორემ – 3 და მესამემ – 2. ამ უბრალო მაგალითიდან გამოდის, რომ პროპორციისთვის საჭიროა მხოლოდ ყველა მიღებულ ხმების რიცხვი გავყოთ პარლამენტის ყველა წევრების რიცხვზე, რომ მივიღოთ მეტრი ან საზომი. მაშინ გვეკოდინება, თუ რამდენი ხმა უნდა იმისთვის, რომ გავატაროთ ერთი წევრი პარლამენტისა. მერე ამ საზომის მიხედვით თითოეულ სიას მივაკუთვნოთ იმდენი ადგილი, რამდენიც იმას მოუწევს მის მიერ მიღებულ ხმების რაოდენობის მიხედვით.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცხოვრება აგრე მარტივ ციფრებს არასოდეს არ იძლევა. ხშირათ გაციფრა ერთი რიცხვისა მეორეზე შეუძლებელი ხდება, ამიტომ ბოლოს და ბოლოს მთელი რიცხვი დეკუტატებისა არ არის არჩეული. გამოანგარიშებით უკვე დამამტკიცებელია, რომ გამოყოფილი რიცხვი უნდა იყოს არა დეკუტატების რაოდენობა პარლამენტში, არამედ ცოტა მეტი. მაშინ მეტრი ნაკლები იქნება და შესაძლებელი ხდება ყველა დეკუტატი ამორჩეულ იქნას.

საინტერესოა თეორიული გაშუქება ამ საკითხისა. ინგლისის მეცნიერი კერი ამბობს, რომ აქაც უმრავლესობის პრინციპია, მხოლოდ იმას ახსნა და გაგება უნდაო. მისი აზრით, უმრავლესობის რაოდენობა დამოკიდებულია არა მარტო იმ რიცხვზე, რომელიც გასაყოფია, არამედ იმაზედაც, რომელმაც უნდა გაჰყოს. როცა ერთი პირია ასარჩევი, ამბობს კერი, მან უნდა მიიღოს იმოდენა ხმა, რომელსაც ვერ მიიღებს ვერავინ მეორე, ე.ი. ნახევარზე მეტი; როცა ორი პირია ასარჩევი, თითოეულმა რიგ-რიგად. მართალია, ვთქვათ ათასი ხმა: თუ ერთი პირია ასარჩევი, აშკარაა, ის ამორჩეულია მხოლოდ მაშინ, თუ მიიღო ნახევარზე მეტი – $500+1$. დარჩება 499; მაშასადამე, ვერავინ მეორე ვერ მიიღებს იმდენს,

რამდენიც მიიღო პირველმა. თუ ორი პირია ასარჩევი, თითოეულმა უნდა მიიღოს იმდენი, რამდენსაც ვერ მიიღებს მესამე; ასეთი რიცხვია 344, ვინაიდან თუ ნაკლები რიცხვი ავიღეთ, მაგალითად 333, მაშინ ორივე მიიღებენ 666 და კიდევ დარჩება 334. და ამ რიცხვით კი გავა მესამეც, კერის აზრით კი მესამემ ვერ უნდა მიიღოს ის რიცხვი, რომელსაც მიიღებს პირველი ორი, კერი იძლევა ასეთ მათემატიკურ ფორმულას. მეტრი $= a:(n+1)+1$, სადაც a არის ამომრჩეველთა ხმების რიცხვი და n - რიცხვი ასარჩევ წარმომადგენლებისა. ჩვენ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, მივიღებთ: როცა ერთი წარმომადგენელია ასარჩევი: $1000:(1+1)+1=500+1$, როცა ორია ასარჩევი: $1000:(2+1)+1=333 \frac{1}{3} + 1$ ან 334, და ასე რიგ-რიგად.

საზოგადოთ მეტრის ან საზომის გამოსაანგარიშებლად არის რამდენიმე მეთოდი. ჩვენი კანონმდებლობით მიღებულია მეთოდი დ'ონტისა. მდგომარეობს შემდეგში: ყველა სიების მიერ მიღებულთ ხმები დაყოფილ უნდა იქმნას თანდათანობით პირვანდელ რიცხვებზე - 1, 2, 3, 4... და ასე რიგ-რიგად, მერე მიღებული ნაყოფადი დამწკრივებული. ჯერ დიდი რიცხვი, შემდეგ მცირე, თანდათანობით. მაშინ ის ნაყოფადი, რომელსაც ეჭირება ის ადგილი, რომელიც უდრის ასარჩევ დეპუტატების რაოდენობას, იქნება მეტრი ან საზომი.

სულ ეს ტექნიკური მხარეა და მეტი განმარტება საჭირო არ არის. პრინციპიპალური ჩვენი მოთხოვნილება ის არის, რომ პარლამენტი უნდა იყოს სურათი ეროვნული ნებისყოფისა და ამ თვალსაზრისით პროპორციული სისტემა უთუოდ სასურველია. მხოლოდ აღსანიშნავია ერთი უხერხულობა. საზოგადოდ ეს სისტემა თხოულობს, რომ იყოს ერთი საარჩევნო სია თითოეული პარტიისა მთელს ტერიტორიაზე. შედეგი ამ მოთხოვნილებისა ის არის, რომ ხშირად დიდი უმრავლესობა კანდიდატებისა სრულე-ბით უცნობი პირებია ამომრჩეველეთათვის. მართალია, ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას, მაგრამ მთელი ერი სავსებით პარტიულად დარაზმული არასოდეს არ არის. ხშირად თითქმის უმრავლესობა ერისა პარტიულ დანაწილების გარეშეა, ამიტომ ეს სისტემა იწვევს ხშირად უპარტიოთა შორის ინდიფერენტიზმს და აბსენტეიზმს. გარდა ამისა, არის კუთხეები, რომელსაც თავისი ადგილობრივი ინტერესი აქვს უფრო მწვავედ დაყენებული და პარტიული პროგრამის ზოგადი დებულებებით არც კი იფარება ადგილობრივ მცხოვრებთათვის მანც. საჭიროა, რომ იყოს მეტი ზნეობრივი

კავშირი მცხოვრებთა და წარმომადგენელთა შორის. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კანდიდატებს იცნობს ხალხი, მათთან დაახლოებულია და შეუძლია უშუალოდ მათი დაფასება. ამისთანა პირობაში ხალხი თუ აირჩევს ვისმე, შეიძლება არჩეულზე მართლა ითქვას, რომ იგი აღჭურვილია ხალხის ნდობით.

ეს ნაკლი პროპორციული სისტემისა ბევრგან იგრძნეს და შესაფერისი შესწორებაც შეიტანეს. მაგალითად, ნევშატელის კანტონში, თუმც თვითონ პატარა ქვეყანაა და ხალხი ალბად კარგად იცნობს ყველა კანდიდატებს, მაინც მოქალაქეს ნება აქვს ზოგიერთი სახელი სიიდან სულ ამოშალოს, ზოგის მაგიერ ახალი სახელი შეიტანოს. ჩვენში საარჩევნო სია ხელშეუხებელია, მისი გასწორება ან შეცვლა ან შეცვლა კანდიდატების სახელებისა – აკრძალულია.

ჩვენ შეიძლება შემოვიტანოთ მეორე კორექტივი – დავაპატარავოთ საარჩევნო ოლქი. საქართველო უნდა იქმნას დაყოფილი რამდენიმე საარჩევნო ოლქად, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ თვითონ პრინციპს პროპორციისას დაურჩეს საკმარისი გასაქანი. ეს გასაქანი საკმარისი იქნება, ჩვენის აზრით, თუ თითო ოლქში ასარჩევი იქნება ათიდან თუთხმეტამდე კანდიდატი. მაშინ საერთო რიცხვი დებუტატებისა წინასწარ დანაწილებულ უნდა იქმნას ამ ოლქთა შორის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. მაშინ ოლქი დაახლოვებით იქნება ეხლანდელი მაზრა: პატარა-პატარა მაზრები შეიძლება შევაერთოთ ან მეზობელ მაზრას მივაწეროთ, რომ მივიღოთ მცხოვრებთა საჭირო რაოდენობა 10–15 დებუტატების ასარჩევად. ამრიგად, მივიღებთ 10–12 საარჩევნო ოლქს ან მაზრას და თითოეულ მოქმედ პარტიისაგან. თითოეული პარტია ეცდება, რასაკვირველია, თავის სიაში მოაქციოს ისეთი პირი, რომელიც უფრო ცნობილია და პოპულარული ამ მაზრაში. ხალხიც უფრო შეგნებულად მოეპყრობა თავის მოვალეობას და გამოიჩენს მეტ ინტერესს. პარლამენტიც უფრო ახლო იქნება და ზნეობრივი კავშირიც უფრო მჭიდრო.

4. წარმომადგენელი შეუთავსებლობა და შეუვალობა

წარმომადგენლად პარლამენტში შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, რომელსაც კი აქვს საარჩევნო უფლება. ამ აზრს ზოგი მეცნიერი არ

ეთანხმება. ამბობენ, რომ საპარლამენტო ფუნქცია არის დიდატ მნიშვნელოვანი, იმის რიგიანად ასრულებისათვის საჭიროა შესაფერისი ნიჭი და უნარი, სათანადო ცოდნა და მომზადება. ეს აზრი საზოგადოდ მართალია, მაგრამ დასკვნა არ არის მისაღები. ამ შემთხვევაში რაიმე ცენზის შემოღება, როგორც ეს ხდება აქამდე ჩამორჩენილ ქვეყნებში, იქნებოდა სწორედ შეზღუდვა ეროვნულ თავისუფლებისა. გარდა ამისა, თვითონ ცხოვრებას შემოაქვს აქ თავისი კორექტივი. არჩევნები სწორედ ის მოვლენაა, რომლის შემწეობით ბუნებრივად და თავისთავად ხდება ის, რაც საჭიროა საპარლამენტო მოღვაწეობისათვის: შერჩევა წარმომადგენლისა. ის, ვინც არჩეულია ათასი და ათი ათასი ხმებით, უმეტეს შემთხვევებში მაინც, უნდა ჩაითვალოს ღირსეულ წარმომადგენლად.

ამნიარად, ყოველ მოქალაქეს, კანონიერად არჩეულს, შეუძლიან დაიჭიროს სავარძელი პარლამენტში და ჩაებას საკანონმდებლო მუშაობას. მაგრამ იმისთვის, რომ ეს მუშაობა იყოს რიგიანი და ნაყოფიერი, შეთანხმებული ეროვნულ ნებისყოფასთან და არა პიროვნულ თუ ვიწრო პარტიულ სულისკვეთებასთან, საჭიროა ერთი პირობა: **თავისუფლება თვითონ პარლამენტის წევრისა.**

ა) თუ პარლამეტი გამოძახებულია ეროვნულ ნებისყოფისა, თავისთავად ცხადია, მას უნდა ჰქონდეს სრული და შეუზღუდველი უფლება გამოსთქვას თავისი აზრი და შეხედულება ისე, როგორც მას უნდა. უამისოდ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე საკანონმდებლო მუშაობა, მამასადამე, თითოეულ პარლამენტის წევრსაც უნდა ჰქონდეს ასეთივე უფლება. ამ უფლებას ვერავინ შეზღუდავს, გარდა თვითონ პარლამენტისა. ეს პრინციპი ყველგან მიღებულია, მაგრამ ამით არ ამოიწურება კიდევ საკითხი.

აღამიანის ნებისყოფა, როგორც მაგნიტის ისარი ჩრდილოეთისაკენ (სამაგნიტო პოლუსი), ბუნებრივად მიმართულია სიკეთისა და სათნოებისაკენ. მაგრამ ეს ბუნებრივი მიმართულება, სხვადასხვა გარეშე ძალთა ზედგავლენის გამო, ხშირად ირყევა, იღუნება, აცდება ხოლმე თავის ბუნებრივ მიმართულებას, სწორედ ისე, როგორც მაგნიტის ისარი, პირადი ინტერესი, ანგარეობა, შიში ვისიმე წინაშე – აი, ეს გარეშე ძალა, რომელსაც ზეგავლენა აქვს ნებისყოფის მიმართულებაზე, იწვევს მასში რყევას და გადაუწყვეტელობას და ბოლოს შეიძლება სულ გამოსცვალოს ეს მიმართულება. საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომ პარლამენტის წევრი არ

განიცდიდეს ამისთანა ძალების ზეგავლენას, რომ მისი ნებისყოფა მიმართულ იყოს მხოლოდ სიკეთისაკენ, არ ირყეოდეს, არა კრთებოდეს სხვადასხვა გარეშე მოსაზრებათა მოლანდებით. მაშინ იგი მართლა ნამდვილი წარმომადგენელია თავის ერისა და შეუძლიან იმუშავოს თავის სინდისის და უმაღლესი შეგნების კონტროლის ქვეშ. — მაგრამ ეს მიზანი სავესებით თითქმის მიუღწეველია, ვინაიდან სულ ეს — მოვლენაა სუბიექტიური და ფსიქოლოგიური. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ რაიმე ღონისძიება, თუ გვაქვს ობიექტური საფუძველი. ასეთი საფუძველია სხვადასხვა თანამდებობა ან დამოკიდებულება პარლამენტის წევრისა სახელმწიფოში. თუ ეს თანამდებობა ან დამოკიდებულება ისეთია, რომ შეიძლება იქონიოს არასასურველი ზეგავლენა პარლამენტის წევრზე, თუ მან შეიძლება გამოსცვალოს ან შეარყიოს ბუნებრივი მიმართულება მისი ნებისყოფისა, მაშინ მან თავი უნდა დაანებოს ამ თანამდებობას ან დამოკიდებულებას, ვინაიდან ასეთი თანამდებობა და დამოკიდებულება *შეუთავსებელია* პარლამენტის წევრის თანამდებობასა და მოვალეობასთან. შეუთავსებელია ფსიქოლოგიურად. პარლამენტის წევრობა ითხოვს თავისუფლად გამოთქმას ნებისყოფისას, მაგრამ ის დამოკიდებულება, რომელიც აქვს პარლამენტის გარეშე, ხელს უშლის ან სრულიად სპობს ამ თავისუფლებას. რიგიანი მუშაობა ზდება შეუძლებელი, კანონმდებლობა — დროებითი, პარტიული, ან კიდევ უარესი და ამცდარი ეროვნულ ინტერესს და ნებისყოფას. ამიტომ პარლამენტის წევრობასთან შეუთვისებელია ყოველივე ასეთი თანამდებობა და დამოკიდებულება.

ასეთი თანამდებობაა ყოველი სახელმწიფოებრივი სამსახური, სადაც მოხელე ღებულობს რაიმე ჯამაგირს და ყოველი საზოგადოებრივი — თუ იგი ამავე დროს ხელქვეითი აგენტია აღმასრულებელი ხელისუფლებისა. პირველი იმიტომ, რომ ჯაგამირის აღება ყოველთვის საშიში მოტივია, რომელმაც შეიძლება იქონიოს არასასურველი ზეგავლენა პარლამენტის წევრის გადაწყვეტილებაზე. გარდა ამ მოსაზრებისა, პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ მოხელე იყოს კარგი მოხელე და ამავე დროს კარგი წევრი პარლამენტისა. მოხელე ვერ აასრულებს თავის მოვალეობას კარგად, თუ იგი პარლამენტის წევრია, და პარლამენტის წევრი — თუ იგი მოხელეა. თითოეულს მათგანს, თუ სინდისიერად მოეპყრობა თავის მოვალეობას, ძალიან დიდი საბუშარი აქვს. გარდა ამისა, ყოველ მოხელეს ჰყავს უფროსი, ყოველი მოხელე ადმინისტრაციულად ექვემდებარება სამინისტროს.

სამინისტრო ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ ძირითადი პრინციპი დემოკრატიული წყობილებისა არის ერთნაირი სწორ-წონაობა კანონმდებელ და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ.

შედეგი ამ პრინციპისა არის პასუხისმგებლობა სამინისტროსი პარლამენტის წინაშე. მაგრამ თუ პარლამენტში იქნება არა თავისუფალი წევრი, არამედ მოხელე, ხელქვეითი სამინისტროსი, აშკარაა, ეს პასუხისმგებლობა იქნება ფიქტიური და სრულებით უნაყოფო. შეუძლებელია იყო მინისტრის ხელქვეითი, ამსრულებელი მისი ბრძანებისა და განკარგულებისა, და ამავე დროს პასუხი მოითხოვო მისი მოქმედებისა.

ასეთივე მდგომარეობაა საზოგადოებრივი პირისა, ე.ი. ისეთის, რომელიც ამორჩეულია რომელიმე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, თუ ამ პირს ევალება აგრეთვე აღსრულება რომელიმე აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციისა. ასეთია, მაგალითად, მამასახლისი ან ადგილობრივი კომისარი, ქალაქის მოურავი და სხვანი. კონკრეტულად ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მთელი ადმინისტრაციული აპარატის კონსტრუქციაზე. თუ ეს კონსტრუქცია ისეთია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ამორჩეული პირი არ არის ამავე დროს ადგილობრივი აგენტი ცენტრალური მთავრობისა, მას შეუძლიან იყოს წევრი პარლამენტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ორი თანამდებობაც შეუთავსებელია.

ეს არის საზოგადო პრინციპი, არის გამოწვევის: მინისტრი, სახელმწიფო კონტროლიორი და პროფესორები შეიძლება დარჩნენ თავიანთ თანამდებობაზე და იყვნენ ამავე დროს პარლამენტის წევრიც.

ბ) შეუთავსებლობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია *შეუვალობა*. იმ მოსაზრებათა შემდეგ, რაც ზემოდ იყო მოყვანილი, თავისთავად აშკარაა, რომ პარლამენტის წევრი უნდა იყოს დაფარული შეუვალობის პრინციპითა. თუ იგი, როგორც პარლამენტის წევრი, წარმომადგენელია ერისა და გამომხატველი მისი ნებისყოფისა. ის უნდა იყოს ხელშეუხებელი და თავისუფალი თავის მოღვაწეობაში. არავითარ ძალდატანებას, არავითარ შეზღუდვას მისი თავისუფლებისას, არ უნდა ჰქონდეს ადგილი. რაც გინდ რომ ჩაეღინოს პარლამენტის წევრმა, პარლამენტში ან პარლამენტის გარე, სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ნება არ აქვს მიიღოს რაიმე მისი თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიება, თუ არა აქვს წინასწარი ნებართვა თვითონ პარლამენტისაგან. მაგალითად, არ შეიძლება პარლამენტის

წვერის დაპატიმრება, გაჩხრეკა, გაჩხრეკა მისი ბინისა, აღკრძალვა აღკრძალული წიგნის თუ გაზეთების კითხვისა და სხვა. ასეთი ზომებით პარლამენტის წევრი ფაქტიურად განდევნილი იქნება პარლამენტიდან, მოესპობა ღონე შეასრულოს თავისი მოვალეობა, ან საშინლად შეფერხებული და შებოჭვილი იქნება მისი მოღვაწეობა.

ამ საზოგადო პრინციპიდან არის ერთი გამონაკლისი: თუ პარლამენტის წევრს ზედ მიუსწრებენ რაიმე ბოროტმოქმედების დროს, მაშინ შეიძლება იგი დაკავებულ იქმნას, მაგრამ ეს გარემოება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტის პრეზიდიუმს და მერე პარლამენტზე და მოკიდებული ამისთანა წევრის განთავისუფლება თუ პასუხისმგებლობა მიცემა. საზოგადოდ ყოველ ადმინისტრაციულ თუ სამოსამართლო ზომას, მიმართულს პარლამენტის წევრის თავისუფლების წინააღმდეგ, ესაჭიროება ნებართვა პარლამენტისა. სასჯელიც რომ იყოს გადაწყვეტილი სასამართლოს წესით, მის სისრულეში მოყვანასაც უნდა განსაკუთრებული დასტური პარლამენტისა. ეს არის პრინციპი საპარლამენტო შეუვალობისა.

ზოგი ჰფიქრობს, რომ ეს პრინციპი ანაქრონიზმია საკონსტიტუციო უფლებაში. ეს პრინციპი მართლა აღმოცენდა ისტორიულად იმ ხანებში, როცა მონარქია და მონარქიული ნაშთი გამწარებით ებრძოდა ხალხის წარმომადგენლობის იდეას. ეხლა, როცა განმტკიცდა დემოკრატიული წყობილება, როცა ხელმწიფობა გადავიდა ხალხის ხელში, ვითომდა საჭირო არ არის კონსტიტუციაში განსაკუთრებით იყოს აღნიშნული ეს საპარლამენტო შეუვალობა. ჩვენ ამ აზრს ვერ ვიზიარებთ. მართალია, მონარქია და ყოველი მისი ნაშთიც გადავარდა, მაგრამ მონარქია მხოლოდ ფორმალურად სახელმწიფოებრივი და არა არსებითი მომენტი. არსებითად სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ჰრჩება, ჰხდება მხოლოდ ახალი, დემოკრატიული ორგანიზაცია. ჰრჩება აღმასრულებელი ძალაც. კონფლიქტი აღმასრულებელ და კანონმდებელ ძალთა შორის არამც თუ შესაძლებელია, აუცილებელიცაა და სწორედ იმიტომ, რომ არის დემოკრატიული წყობილება. ეს წყობილება ჰგულისხმობს ეროვნული ნებისყოფის თავისუფლად გამოთქმას და რეალურ ცხოვრებაში მის გატარებას. თუ ამას არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკა, მთავრობა უნდა გადადგეს. ჰხდება კონფლიქტი, და თუ კონფლიქტი ჰხდება, პარლამენტის წევრი დაფარული უნდა იყოს შეუვალობით. უამისოდ ყოველი კონფლიქტი გათავდება მთავრობის გამარჯვებ-

ბით, მოისპობა მისი პასუხისმგებლობა და ჩვენ, შეიძლება, ისევ დავუბრუნდეთ მონარქიულ ფორმას.

აშკარაა, შეუვალბა პარლამენტის წევრისა პრინციპალური საკითხია და იმას უნდა ჰქონდეს თავის ადგილი კონსტიტუციაში.

ეხლა გადავიდეთ თვით კანონმდებლობაზე.

5. კანონმდებლობა

უმათერესი ფუნქცია, რომელსაც ასრულებს პარლამენტი, როგორც ხელოვნური ორგანიზაცია ეროვნულ ნებისყოფისა, არის კანონმდებლობა. ეს ნებისყოფა იხატება იმ დადგენილებებში და უფლებრივ ნორმებში, რომლებსაც ჰქვიათ **კანონი**.

ჩვენ აქ თავი დავანებოთ იმის განმარტებას, თუ რასა ჰქვიათ კანონი ფორმალურის და მატერიალურის თვალსაზრისით, თეორიულად ამ საკითხს აქვს ერთნაირი მნიშვნელობა, მაგრამ იმ მიზნისთვის, რომელიც დასახული აქვს ამ მცირე გამოკვლევას, იმას არ აქვს დიდი ღირებულება. ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, საზოგადოდ, და ეხლა – ძირითადი პრინციპი საკანონმდებლო ხელისუფლებისა.

ეროვნული ნებისყოფა მიმართულია ყოველთვის ეროვნულ ცხოვრების განვითარების და კეთილდღეობისაკენ. მიზანი კანონმდებლობისა არის უფლებრივი მოწყობა და მოწესრიგება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ეს მიზანი თხოულობს პირველად – შინაგან ორგანიზაციას საპარლამენტო საკრებულოსი და შემდეგ თვით მუშაობის ორგანიზაციას პარლამენტში, ამიტომ პარლამენტი თავიდანვე ირჩევს თავის პრეზიდიუმს – თავმჯდომარეს, მის ამხანაგებს და მდივნებს, შემდეგ ირჩევს კომისრებს, რომელთაც ევალებათ კანონპროექტების შემუშავება ან წინასწარ განხილვა. მთელი წესი საპარლამენტო მუშაობისა წინასწარ განსაზღვრულია განსაკუთრებულ კანონით რეგლამენტით. რეგლამენტი არ არის საკონსტიტუციო საკითხი, ის თავისთავად იგულისხმება საპარლამენტო მუშაობაში, ამიტომ ჩვენ იმაზე არ შევჩერდებით.

აგრე მოწყობილი პარლამენტი შეუდგება ხოლმე მუშაობას. ეს მუშაობა იყოფა რამდენიმე საგულისხმო მომენტად: ეს გახლავთ – ინიციატივა,

განხილვა, მიღება და დამტკიცება კანონისა, და მისი გამოქვეყნება. ყველა ამ მომენტს აქვს პრინციპიალური ხასიათი.

ა) **ინიციატივა** არის უფლება საკანონმდებლო საკითხის აღძვრისა. ეს უფლება ყველას არა აქვს. ყველას აქვს, რასაკავირველია, უფლება აღძრას ეს თუ ის საკითხი საზოგადოებაში, სწეროს გაზეთებში და სხვა ამისთანები, მაგრამ ეს საკანონმდებლო ინიციატივა კი არ იქნება. ინიციატივის უფლება ჰქვიათ ისეთ აღძვრას საკითხისას, რომელსაც უნდა მოჰყვეს საკანონმდებლო მისი განხილვა. ეს უფლება კი ყველას არა აქვს. უწინ, როცა დემოკრატიული წყობილება ისე განვითარებული არ იყო, ინიციატივის უფლება ჰქონდა მხოლოდ მთავრობას. ახლა ეს უფლება აქვს მინიჭებული ყოველ პარლამენტის წევრს. ეს, აშკარაა, პირდაპირი შედეგია ხალხის ხელმწიფობისა. შეუძლებელია ხელმწიფობა ჰქონდეს ხალხს და ამავე დროს მის წარმომადგენელს არა ჰქონდეს უფლება აღძრას ეს თუ ის საკითხი და არ მოითხოვოს მისი კანონმდებითი მოწესრიგება. თუმცა თეორიულად ასეთია უფლება პარლამენტის წევრისა, მაგრამ პრაქტიკულად ამ უფლებას თითქმის ყოველთვის ახორციელებს მხოლოდ მთავრობა. ეს გარემოება აიხსნება მისი ფაქტიური მდგომარეობით: მთავრობას ყოველთვის აქვს მეტი ცნობა, მეტი მასალა, ხელქვეითი და მეტი საშუალებანიც ვიდრე უბრალო პარლამენტის წევრს, რომ დროზე გამოეხმაუროს ცხოვრების საჭიროებას და შესაფერი კანონპროექტები წარუდგინოს პარლამენტს. პარლამენტის წევრს რჩება უფრო ხშირად მხოლოდ თვალყური ადევნოს ამ მუშაობას, თვითონ მიიღოს მონაწილეობა მასში და დროზე შეიტანოს ყოველი შესწორება, რაც კი საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია.

მაგრამ ზოგან, უფრო განვითარებულ დემოკრატიაში, ინიციატივის უფლება არ არის შეზღუდული მარტო პარლამენტის წევრებით. შვეიცარიაში (გარდა ჟენევის კანტონისა) ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს შესწორება კონსტიტუციისა, პეტიციის სახით; ასეთივე უფლება არის ყველგან შვეიცარიაში (გარდა ლუცერნის, ფრიბურგის და ვალისის კანტონებისა) შესახებ ახალ კანონების შემოღებისა. ფედერაციის კონსტიტუციის ძალით, თუ 50 ათასი ამომრჩეველი შემოიტანს თხოვნას (პეტიციას) შესახებ შესწორების შეტანისა კონსტიტუციაში თითქმის ასეთივე უფლება მინიჭებული აქვთ მუშათა საბჭოებს, ეს საბჭოები აღმოცენდნენ მომხდარ რევოლუციის ნიადაგზე და, ეჭვი არ არის, თითოეული მათგანი წარმოად-

გენს ალბად რამოდენიმე ათას მუშებს. რა უჭირს, რომ იმათ მიეცეს ინ-
იციატივის უფლება?

რასაკვირველია, ამ უფლებას ვერ მიეცემთ ყოველ მოქალაქეს: მაშინ
პარლამენტი აივსებოდა ყოველნაირ თხოვნებით, რომელთაც არა აქვთ
ხშირად არავითარი საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.
ასეთი წესი შეაფერხებდა საპარლამენტო მუშაობას, მაგრამ იმ შემთხვევა-
ში, როცა პეტიცია შემოტანილია 5 ან 10 ათასი მოქალაქის მიერ, აშკა-
რაა, აღძრული საკითხი წარმოადგენს უკვე დიდს საზოგადოებრივ ინტე-
რესს და, მაშასადამე, ღირსია, რომ პარლამენტმაც ამ საკითხზე შეაჩეროს
თავის ყურადღება. მიღება, თუ არ მიღება ამრიგად წარმოადგენს კანონ-
პროექტისა, რასაკვირველია, ერთიანად დამოკიდებულია პარლამენტზე, მას
სრული უფლება აქვს უარჰყოს წარმომადგენელი წინადადება. მაგრამ მე
მგონია, იმას უფლება არა აქვს სულ არ მიიღოს იგი განსახილველად. თუ
ხუთი და ათი ათასი მოქალაქე ხელს აწერს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ
საზოგადოებაში არის უკვე რაღაც საჭიროება, რომ მოთხოვნილება ამ
საჭიროების მოწესრიგებისა უკვე მომწიფებულა. ამ პირობებში პარლამენ-
ტის კარების დახშობა პირდაპირ ეწინააღმდეგება პარლამენტის დანიშნუ-
ლებას. ამიტომ ინიციატივის უფლება უნდა ჰქონდეს არა მარტო პარლა-
მენტის წევრებს, არამედ აგრეთვე მოქალაქეებსაც, თუ წარმოადგენენ საკ-
მარის მოზრდილ რაოდენობას. ეს რაოდენობა უნდა იყოს განსაზღვრულ
კანონში.

ბ) *განხილვა (მსჯელობა)* არის ფორმა იმ პროცესისა, რომლის საშუ-
ალებით ჰხდება შეთანხმება პიროვნულ ნებისყოფათა. მსოფლიო ევოლუცია
ჯერ არ გათავებულა, ჩვენ განვიცდით ერთ-ერთ ხანას ამ ევოლუციისას.
იყო დრო, როცა თითოეული ინდივიდი მხოლოდ თავისთვის ცხოვრობდა,
ჰქონდა მხოლოდ თავისი კერძო ინტერესი და მისი ნებისყოფაც იყო გან-
საკუთრებით ეგოისტური: შემდეგ ინდივიდი ჰგრძნობს უფრო მეტ სიმპა-
ტიას მეორესადმი და თანდათან უახლოვდება იმას; ეს განვითარება თან-
დათან ჰმატულობს და ბოლოს ადამიანი ჰხედავს, რომ მისი ინტერესი
მჭიდროდ გადახლართულია მთელი საზოგადოების, მერე – მთელი ერის
ინტერესებთან. შეგნება იღვიძებს და ინდივიდუალური ნებისყოფა თანდათან
ჰპოულობს და უერთდება საერთო ნებისყოფას, მაგრამ, როგორც ვთქვით,
ეს ევოლუცია ჯერ დამთავრებული არ არის. ჯერ კიდევ მძლავრია თუ
განსაკუთრებით პიროვნული ინტერესი არა, ჯგუფური, პარტიული და

კლასური მაინც. ამ გარემოებას თავისი მატერიალური საფუძველიც აქვს, მაგრამ მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ადამიანის შეგნება მაინც წინ იყურება, სცემს ამ დაბრკოლებათა გადაღმა, ისახავს უფრო იდეალურ წყობილებას საერთო ცხოვრებისას და თანდათან ჰპოულობს ეროვნულ ნებისყოფის დარსა და კალაპოტს. სულ ეს ადვილად კი არ ხდება, სულ ამას უნდა დრო, მუშაობა, ბრძოლა, ქადაგება სიტყვით და წერით. ამნაირად ჰმუშავდება საზოგადო აზრი და მიმართულება.

პარლამენტი – სურათია ქვეყნისა. იქ წარმოდგენილია რამდენადაც შეიძლება პროპორციულად ყველა ეს შესამჩნევი მიმდინარეობა. წარმომადგენლები იქ თავდაპირველად მანძილებრივად დაახლოებულნი არიან ერთი მეორესთან – ერთ რიგზე სხედან. საჭიროა კიდევ დაახლოება მათი მიმართულების, მათი აზროვნების – მსჯელობა. ამისთვის ინგლისში ჰქმნიან პარლამენტი საგან ეგრედწოდებულ „დიდ საბჭოს“ ან „მცირე საბჭოს“, საფრანგეთში ირჩევენ „ბიუროებს“, ამერიკაში – „კომიტეტებს“, შვეიცარიაში – „კომისიებს“. ჩვენშიდაც ეს უკანასკნელი წესია მიღებული. არსებითად იმათ შორის განსხვავება არ არის: ყველას აქვს ერთი მიზანი – დაუახლოვოს სხვადასხვა პარტიების აზრი და მიმართულება, და მსჯელობით, აზრთა გაცვლა-გამოცვლით, ხშირად ზოგ საკითხში დათმობითაც, – მიაღწიოს საერთო შეთანხმებას, ან უმეტესობის შეთანხმებას მაინც. აქედან აშკარაა ერთი პრინციპი: კომისიებში უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა მიმართულება, რომელსაც კი აქვს წარმომადგენლობა პარლამენტში: პროპორციული წარმომადგენლობა აქაც აჭიროა, მაგრამ მანამდე, სანამ იგი არა სპობს ზემოყვანილ პრინციპს. რაც გინდ პატარა იყოს საპარლამენტო ფრაქცია, იმას უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს მონაწილეობა კომისიის მუშაობაში.

მსჯელობა კომისიის მუშაობით კი არა ჰთავდება. ეს მხოლოდ სამზადისია. ნამდვილი მსჯელობა იმართება პარლამენტში. დამზადებული კომისიაში კანონპროექტი შემოდის პარლამენტში და ურიგდება ყველა წევრებს, რომ ყველას ჰქონდეს საკმაო წარმოდგენა იმისი, თუ საითკენ იხრება კომისიის აზრი და ყველას ჰქონდეს დრო და საშუალება შეიტანოს თავის შესწორებანი. ამისათვის პარლამენტში ჯერ იმართება ზოგადი მსჯელობა შესახებ კანონის საჭიროებისა და იმ პრინციპისა, რომელზედაც იგი აშენებულია. ამ მსჯელობის დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს შეწყვეტა კანონის განხილვისა რამოდენიმე დღით მაინც, ისევ იმავე მიზნით –

რომ მიეცეს საშუალება თითოეულ წევრს ჩაუკვირდეს თითოეულ მუხლის შინაარსს და მის მოსალოდნელ შედეგებს. შემდეგ ინიშნება მუხლობრივი განხილვა: აქაც ხშირად ჰხდება მოწინააღმდეგე აზრების შესლა-შემოსლა, დავა იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა ან მიზანშეწონილი ეს თუ ის მუხლი. ამნაირად ყოველი სადავო საკითხი გაშუქებული გამოდის თითქმის ყოველმხრივ და ყოველ წევრს შეუძლიან სრულის შეგნებით ან მხარი დაუჭიროს კანონპროექტს, ან უარჰყოს იგი, ან, თუ საკითხი ჯერ კიდევ ბუნდოვანია იმისთვის – თავი შეიკავოს კითხვის გადაწყვეტის დროს. ბოლოს მთელ კანონპროექტსაც ეყრება კენჭი: თუ მან შემოიკრიბა პარლამენტის უმრავლესობა, იგი ჰხდება კანონი, სავალდებულო ყველასთვის, თუ არა და – იგი უარყოფილია. ამნაირად იდეალია – სრული შეთანხმება ყველასი: ეს იშვიათად ჰხდება, მაგრამ ჰხდება კი ზოგჯერ, რაც უფრო წვრილმანია საკითხი, მით უფრო მეტია უთანხმოება, რაც უფრო დიდი და ეროვნული, მით უფრო ნაკლები. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა შემოიკრიბა ყველა ხმები მთელი პარლამენტისა. ეს საკითხი ისე მომწიფებული იყო, ისე შეგნებული და, როგორც ყველა ჰგონობდა, ისე აუცილებელი, რომ არ აღმოჩნდა არცერთი ხმა მისი მოწინააღმდეგე. აქ ეროვნული ნებისყოფა აღმოჩნდა მთლიანი და შეურყეველი.

ასეთი ერთსულოვნება – იდეალია კანონმდებლობისა, უმრავლესობა კი – მიახლოება ამ იდეალისაკენ.

გ) შემდეგი მომენტია – **დამტკიცება** და **გამოქვეყნება**. დემოკრატიულ სახელმწიფოში პარლამენტის მიერ (თუ საკანონმდებლო სისტემა ერთპალატიანია) საბოლოო მიღება კანონპროექტისა არის იმავე დროს მისი დამტკიცება ან სანქცია. საჭიროა მხოლოდ მისი გამოქვეყნებისათვის ხელის მოწერა პარლამენტის თავჯდომარის მიერ. მოქალაქეს ეჭვი არ უნდა ებადებოდეს, რომ კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ და წესისამებრ გამოქვეყნებულია.

რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარის ხელისმოწერას და საზოგადოდ იმ როლს, რომელსაც ჰთამამობს აღმასრულებელი ხელისუფლება კანონმდებლობაში, ამაზე უფრო დამწვრილებით შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

6. საზღვარი კანონმდებელ ხელისუფლებისა

გავრცელებულია ის აზრი, რომ ვითომდა პარლამენტს ყველაფერი შეუძლიან: გამოსცეს ისეთი კანონი, როგორც მას უნდა და როგორსაც მოისურვებს. ინგლისის პარლამენტშიც ხშირად ამბობენ, რომ, „მას შეუძლიან ყველაფერი, მხოლოდ დედაკაცს ვერ გადააქცევს მამაკაცად“. ეს შეხედულება, რასაკვირველია, ყოველად მიუღებელია. იგი ფაქტიურად არ არის მართალი.

ეს უკიდურესი შეხედულება აღმოცენდა იმ ნიადაგზე, რომელიც შეჰქმნა საფრანგეთის იდეალისტურმა სკოლამ და რომელმაც დიდი როლი ითამაშა ყველა რევოლუციებში. მისი ძირითადი დებულებაა ის, რომ ადამიანის ნებისყოფა თავისუფალია და მას შეუძლიან მოაწყოს სოციალური და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისე, როგორც მას უნდა. ეს დებულება, ჯერ ერთი, მეცნიერულად არ არის დამტკიცებული. პირიქით, დეტერმინიზმი მსოფლიო კანონია. არ არის უმიზეზო მოვლენა არსად, არც ობიექტურ ძალთა დენაში, დამოკიდებულია ან შეგნებულ მოტივაციაზე, ან დამალული. ფიზიოლოგიურად შექმნილ მიდრეკილობაზე. ამიტომ ის შემეცნება თავისუფლებისა, რომელიც ახასიათებს ბევრს ამ სკოლის წარმომადგენლებს, ერთნაირი გატაცებაა, რომელსაც არა აქვს საფუძველი სინამდვილეში.

გადაჭარბებულია აგრეთვე ისტორიული სკოლის მოძღვრებაც. მისი აზრით, კანონმდებლობა არ არის აქტი თავისუფალ ნებისყოფისა. უფლებრივი შემოქმედება სწარმოებს უხილავად და შეუგნებლად ხალხის ბუნებაში, ამოდის და იზრდება ბუნებრივად და, როცა ჰხდება ჩვენთვის შესაძრინევი და გასაგები, იგი უკვე შექმნილი და მომხდარი ფაქტია. ჩვენ შეგვიძლიან შემდეგ მისი შესწავლა, დაკვირვება და ერთნაირი ფორმულის ჩამოყალიბება, მაგრამ მისი შეცვლა ან უარისყოფა ჩვენ არ შეგვიძლიან. ეს აზრიც მართალია, მაგრამ აქაც დასკვნა უკიდურესობამდე მიყვანილია. მართალია, რომ საფუძველი ყოველი უფლებისა არის უფლებრივი შეგნება ერისა, მაგრამ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავაღებთ ფანჯარას და ბაღში დავინახავთ თავისუფლად აღმოცენებულ კონსტიტუციას ან რაიმე კანონების კრებულს. ხალხის შეგნება, რასაკვირველია, მომზადებული უნდა იყოს შორი ისტორიულ პროცესით, მაგრამ ეს შეგნება, ჯერ ბუნდოვანი და გამოურკვეველი, თანდათან ჰხდება უფრო და

უფრო ნათელი, და ამის მიხედვით უფრო და უფრო გადადის ნებისყოფის სფეროში. აქ იწყება მისი შემოქმედი მუშაობა. მიზანშეწონილობა ჰხდება უდიდესი ფაქტორი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისა. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რა ფორმას ჰღებულობს ეს მუშაობა: არჩევნები, პარლამენტი, მისი კომისიები, მსჯელობანი – სულ ეს ჰტრიალებს ერთ და იგივე ღერძის ირგვლივ – ეს არის გამოთქმა და გამოაშკარავება ეროვნულ ნებისყოფისა.

ამ დასკვნას სრულებით არ ეწინააღმდეგება იდეა დეტერმინიზმისა. მთელი საკითხი იმაშია: შეუძლიან თუ არა ადამიანს იმოქმედოს თავისი მიზნის მისაღწევად? აქ პასუხი ერთია: შეუძლიან. – თუ შეუძლიან, გამოდის, რომ მიზანი ჰხდება *მიზეზი* მოქმედებისა. იმას კი არ ვამბობ, რომ ჩემი მოქმედება უმიზეზოა, არა, იმას აქვს მიზეზი, მხოლოდ ეს მიზეზია ის მიზანი, რომელიც მე მაქვს დასახული. მართლა, ეს კი არ არის თავისუფალი, ვინც ყოველ დღე იცვლის თავის მიმართულებას, როგორც ჭუჭყიან პერანგს, არამედ ის, ვინც ჰმოქმედებს და შეუძლიან იმოქმედოს თანახმად თავის მიზნისა.

სახელმწიფოს, როგორც კერძო პირს, აქვს თავის უმაღლესი მიზნები. ეს მიზნებია – მოწყობა და მოწესრიგება ცხოვრებისა ისე, რომ ყველას შეეძლოს იქ მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება. ეს მიზანი არის იმავე დროს მიზეზი მიზანშეწონილ მოქმედების და მუშაობისა.

თუ მოვშორდებით ამ ყოველდღიურ მუშაობას, თუ გადავხედავთ ცხოვრებას მსოფლიო ევოლუციის სიმაღლიდან, მაშინ ეს მუშაობა – არჩევნები, პარლამენტი, კომისიები და სხვა – სულ იკარგება, სულ არა სჩანს, როგორც პატარ-პატარა თვლები წმინდა ნაქსოვისა. მაშინ მოსჩანს მხოლოდ ეს ნაქსოვი, როგორც ერთი მთლიანი რამე – ეროვნული ცხოვრება მის ისტორიულ მსვლელობაში. მაშინ ისტორიკოსს მართლა შეუძლიან სთქვას: აი, კანონი, იგი აღმოცენდა, მაგრამ აღმოცენებასაც აქვს თავისი რთული პროცესი: ფესვები, რომლებიც სწუწუნთან მივიდან საჭირო სითხეს და ასაზრდოებენ ხეს, ფოთლები, რომლებიც სწუწუნთან ჰაერიდან ნახშირ სიმჟავეს და სხვა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ფესვები და ფოთლები ასრულებენ თავიანთ ფუნქციას შეუგნებლად, ადამიანი კი – შეგნებულად, მიზანშეწონილად, მიზანი კი ერთი და იგივეა: ბედნიერება და კეთილდღეობა მთელი ორგანიზმისა, – ჩვენთვის – ეროვნულ ორგანიზმისა.

მაინც სად არის საზღვარი კანონმდებელ ხელისუფლებისა? ჩვენ მიუახლოვდებით მესამე თეორიას: სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი. ყოველი ნაწილი მისი მჭიდროდ დაკავშირებულია ერთი მეორესთან, ზნობრივად და ეკონომიკურად. შეუძლებელია შეეხოს ერთსა ისე, რომ არ გამოიწვიოს მეორეში რაიმე ცვლილება. ამიტომ ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ საერთო, მთელი სახელმწიფოს ინტერესი, და მხოლოდ ამ თვალსაზრისით ავწონ-დავწონოთ ის ცვლილება, რომელიც გვინდა შემოვიტანოთ ამა თუ იმ სოციალურ ნაწილში. ამ მოსაზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს მეტადრე ჩვენს დროში, როცა კლასობრივმა ქადაგებამ გაიტაცა უმრავლესობა და ბევრსა ჰგონია, თუ ყოფა-ცხოვრება ერთი კლასისა მოწყობილ იქნება და გაუმჯობესებული, ამით უზრუნველყოფილი იქნება თვითონ სახელმწიფოც. სრულებით ივიწყებენ, რომ სახელმწიფო არ არის რაიმე კლასი და სრულებით არ წარმოადგენს ერთს რომელიმე კლასობრივს ინტერესს. სახელმწიფო ერთნაირი ვრცელი და დიდი ორგანიზმია, და როგორც ორგანიზმს, აქვს სხვა და სხვა სასიცოცხლო ფუნქციები. ამ ფუნქციების მოშლა და არეულობა სახიფათოა მთელი ორგანიზმისათვის. სრულებით სამართლიანია მაგალითად, ბრძოლა მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუ ამ ბრძოლას მიზნადა აქვს დაცვა მუშების ინტერესებისა და გაფართოება მათი თავისუფლებისა, მაგრამ თუ ეს ბრძოლა ბოლოს თავდება სულ ხელის აღებით მუშაობაზე ან მისი ნაყოფიერების შემცირებით, აშკარაა, ეს გამოდის დანგრევა იმ უდიდეს ფუნქციისა, ურომლისოდ სახელმწიფოს არ შეუძლიან ცხოვრება. ამ სფეროში ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ყოველ კანონმდებლობას სახეში უნდა ჰქონდეს თავდაპირველად ეროვნული ინტერესი და მხოლოდ ამ ინტერესის მიხედვით დააკმაყოფილოს დანარჩენი კლასობრივი თუ საზოგადოებრივი მოთხოვნები. მაშინ არ იშლება სახელმწიფოებრივი ფუნქცია, მხოლოდ მის ასრულებას ეყრება უფრო სამართლიანი, უფრო ადამიანური საფუძველი.

მეორე დასკვნა ამ ორგანულ თეორიიდან ის არის, რომ სასურველი დიდი და მოულოდნელი რეფორმა მავნებელია და არა სასარგებლო სახელმწიფოსათვის. ორგანიზმი იძულებულია ამ შემთხვევაში შეითვისოს და შეიგუოს ახალი პირობები მისი არსებობისა, შექმნილი ამ მოულოდნელი რეფორმით. შეგუება კი არ ჰხდება უცებ, იმას დრო უნდა, უნდა შეჩვევა. ამიტომ კანონმდებლობაში საჭიროა თანდათანობით გადასვლა ძირითადი რეფორმისკენ, თუ იგი აუცილებელია.

რეკოლუცია?! გამოდის, რომ იმას არა ჰქონდა თეორიული გამართლება? – არა, არ გამოდის. ჯერ ერთი, ჩვენ ვამბობთ ჩვეულებრივ კანონმდებლობაზე, მშვიდობიანობის დროს, და არა ომის და რეკოლუციის ხანაში, რაც შეეხება რეკოლუციას, იმას სრულებით გამართლება აქვს, რადგანაც თვითონ შეუდგა უსამართლობას და ძალდატანებასა. სოციალური ორგანიზმი იზრდება, ვითარდება, ებადება ბევრი სხვადასხვა მოთხოვნილება, რომელსაც უნდა ყოველთვის თვალყურის დევნა და დაკმაყოფილება. როცა ეს არა ჰხდება, როცა მის ბუნებრივ ზრდას არ აძლევენ თავისუფალ გასაქანს, მაშინ რეკოლუცია სამართლიანია და ერთადერთი მხსნელი მთელი ეროვნული ორგანიზმისა გაჩანაგებისა და სიკვდილისაგან. ზოგჯერ ანთება, საშიშარი კრიზისი ავადმყოფობის დროს, საჭიროა ორგანიზმისთვის. ის ამ ცეცხლიდან გამოდის განახლებული, მაგრამ ეს ხდება ზოგჯერ. რეკოლუციაც არ არის მუდმივი კანონი. მუდმივი კანონია – ეკოლუცია, განვითარება თანდათანური. აქაც ერთნაირი საზღვარია კანონმდებელი ხელისუფლებისათვის: იგი უნდა იყოს დაუძინებელი მეთვალყურე ეკონომიური და სოციალური ზრდისა და განვითარებისა, იმან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ღონისძიება, რომ ახალ მოთხოვნილებას მისცეს მშვიდობიანი გზა და დროზე ჩააყენოს იგი კანონიერ კალაპოტში. ამ მიზნის განხორციელება კი შესაძლებელია არა ძალდატანებით: ძალდატანება გარეგანი და მექანიკური ძალაა, იგი გამოადგება მხოლოდ უსულო ნივთიერებას; ადამიანი არ არის უსულო ნივთიერება, იგი – მატარებელია შეგნების და ნებისყოფისა, ამიტომ იმაზე მოქმედება უნდა არა მექანიკურის ძალდატანებით, არამედ ზნეობრივის და გონებრივის ზეგავლენით. უპირველესი მოთხოვნილებაა ამიტომ – ეროვნული განათლება, უამისოდ ძნელია დემოკრატიულ სახელმწიფოს დაარსება და განვითარება. რაც უფრო მეტია ცოდნა-განათლება, კულტურული მომზადება ხალხისა, მით უფრო ადვილია ზნეობრივი და გონებრივი ზედგავლენა, შეგნება საერთო ინტერესისა ამ ნიადაგზე გაერთიანება ეროვნულ ნებისყოფისა. კანონმდებლობა არ უნდა ჰშორდებოდეს რეალურ საჭიროებას.

მაგრამ საჭიროება ბევრნაირია. არის ერთი სფერო, სადაც ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია მარტოხელი კაცისთვის ან მთელი საზოგადოებისათვის: აქ უსათუოდ თვითონ სახელმწიფო უნდა გადმოვიდეს, როგორც მოქმედი და მომწესრიგებელი ძალა; არის მეორე სფეროც, სადაც სახელმწიფოებრივი ჩარევა არაფერს გარდა ზიანისა არ

მოუტანს. ამ მხრივ ბევრ რასმე საგულისხმოებას გვაძლევს ორგანული თეორია. თუ სახელმწიფო ორგანიზმია, ზოგადი პრინციპები ორგანულ ცხოვრებისა უცილოდ მისაბაძია და გამოსაყენებელი, თუ ეს პრინციპები, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგება ადამიანურ შეგნებას და საზოგადოებრივ იდეალებს.

რა ფუნქციას ასრულებს ორგანიზმის სისტემაში ნერვული ცენტრი ან ტვინი? იგი – ხელმძღვანელია, იგი ჰბრძანებლობს, მაგრამ მხოლოდ გარეგან ორგანოებზე; შინაგან ორგანოებზე კი იმას არა აქვს არავითარი უფლება. გული, ფილტვი, კუჭი და სხვა შინაგანი ორგანოები სრულებით დამოუკიდებელნი არიან თავისაგან (ტვინისაგან), თავს არ შეუძლიან არც აღუკრძალოს იმათ ჰმუშაობა, არც შეაცვლევინოს მუშაობის წესი და რიგი. რაც შეეხება გარეგან ორგანოებს – ხელებს, ფეხებს, თვალებს, აქ მბრძანებლობა თავისა სრულია და უცილო. აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ ზოგადი დასკვნა: ყველა ორგანოები თავის დაცვას და გარეგან განწყობილებისა უცილოდ და უდავოდ უნდა ემორჩილებოდეს ცენტრს – ცენტრალურ მთავრობას და კანონმდებლობას. ასეთია – ჯარი, მილიცია, სათანადო ადმინისტრაცია და ყველა ორგანოები საერთაშორისო განწყობილებისა. აქ ცენტრალიზაცია და დისციპლინა აუცილებელია; პირიქით, წარმოება, ვაჭრობა და მრეწველობა, რომლებიც ასრულებენ იმავე ფუნქციას, რაც შინაგანი ორგანოები ორგანიზმში, უნდა იყოს რამდენად შეიძლება თავისუფალი მთავრობის ჩარევისაგან. აქ უნდა ჰსუფევდეს, რამდენადაც შეიძლება, სრული თავისუფლება. აქ თავისუფლად შეიქმნება ათასნაირი ამხანაგობა, კოოპერატივი, საზოგადოება, კომპანიები, რომლებიც ბუნებრივად, შეთანხმებით და მორიგებით, ამოძრავებენ ყოველ ეკონომიკურ და სამეწარმეო ძალებს, და მით უფრო ადვილად მიაღწევენ მიზანს, რაც უფრო ნაკლები იქნება სახელმწიფო უფლების ჩარევა ამ სფეროში. აქ სახელმწიფოს როლი ამოიწურება მხოლოდ თავისუფლების დაცვით და წესიერების დამყარებით.

მაშ შინაგანი თავისუფლება და გარეგანი სიმტკიცე – აი, იდეალი სახელმწიფო ცხოვრებისა.

ყველა ზემოყვანილ მოსაზრებისგან შეიძლება გამოვიყვანოთ ზოგადი დასკვნა: კანონმდებლობის ფარგალი ისაზღვრება ერის შეგნებით და მის ორგანულ მოთხოვნილებით. წინ გადავარდნა ჯერ გამოურკვეველ მომა-

ვალში, როგორც უკან დახევა წარსულ სახელმწიფოებრივ ფორმებისაკენ (რეაქცია), ერთნაირად მიუღებელია და სახიფათო.

7. პარლამენტი და დამფუძნებელი კრება

დამფუძნებელი კრება და ჩვეულებრივი პარლამენტი, თუმცა ორივე ჰდგება ხოლმე და ჰმუშაობს ერთ და იმავე წესით, მაინც დიდად განირჩევიან ერთმეორესაგან. ჩვენთვის საინტერესოა მატერიალური მხარე ამ განსხვავებისა.

სახელმწიფოს ცხოვრება შეიძლება შევადაროთ მდინარეს, რომელიც შესდგება მუდამ მიმდინარე ტალღებისაგან და შეუნძრეველი ნაპირებისაგან. ეს ნაპირები არის ფორმა მიმდინარეობისა, გარეგანი სახე, თითქმის მუდმივი კალაპოტი ამ მიმდინარეობისა. სწორედ ამგვარად, სახელმწიფო ცხოვრებას აქვს ორი მხარე, უფლებრივის თვალსაზრისით: ერთი – მუდამ მოძრავი და მიმდინარე, მეორე – შედარებით უძრავი, რომელიც აძლევს ფორმას ამ მიმდინარეობას და ჰქმნის მის ხანგრძლივ კალაპოტს.

დამფუძნებელი კრების დანიშნულებაა ამ უფლებრივ ნაპირების აღნაგება, შექმნა იმ კალაპოტისა, რომლის ფარგლებში უნდა იმდინაროს მთელ სახელმწიფოში უფლებრივმა ცხოვრებამ. ეს არის – კონსტიტუცია.

კონსტიტუციის მიზანია არა მოწყობა და მოწესრიგება ყოველდღიური მოთხოვნების და უფლებრივ მიმდინარეობისა, არამედ შექმნა ისეთი, უფრო მუდმივი, უფლებრივი პრინციპებისა, რომლის ფარგლებში და რომლის თანახმად უნდა მოხდეს შემდეგ ეს მოწყობა და მოწესრიგება. ეს უკანასკნელი მოვალეობა – ჩვეულებრივ პარლამენტის საქმეა.

მაგრამ ორივე მხარე უფლებრივი ცხოვრებისა განუშორებელია ერთიმეორესაგან. ცხოვრება არ იცდის, მისი დენა განუწყვეტელია. ჩვენ იმას ვერ ვეტყვიან – „დაგვიცადე, აი, ამოვიყვანთ ნაპირებს და მერე იმდინარეო“. ამიტომ დამფუძნებელი კრება იძულებულია თვითონ აღასრულოს პარლამენტის საქმე, თვალყური ადევნოს ყოველდღიურ მოვლენასაც და გამოსცეს შესაბამისი კანონებიც. აქ მისი მოვალეობა უფრო აჩქარებულია, აქ დეკრეტებით და უფრო ფიცხელი განკარგულებებით ის იძულებულია გაწმინდოს ნაშთები წარსულ წყობილებისა და მოამზადოს ნიადაგი ახალი პრინციპების დასამყარებლად. რასაკვირველია, აქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო, ზოგჯერ ძველი ნაშთების გაწმენდის მაგიერ უმეცარი ხელი

ჰზვდება ცხოვრების ახალს და სიცოცხლით სავსე ნაფეთქებს... აჩქარება – სახიფათოა, აუჩქარებლობა – შეუძლებელი. ასეთია გარდამავალი ხანა.

ამიტომ ყოველი დამფუძნებელი კრება ზნეობრივად ვალდებულია ყოველი თავისი ძალ-ღონე მიაქციოს მის უმთავრეს დანიშნულების ასრულებას – კონსტიტუციის შექმნას, მერე დაუყოვნებლივ დაიშალოს და ადგილი დაუთმოს ჩვეულებრივ პარლამენტს.

8. კონტროლი პარლამენტისა (კითხვა, შეკითხვა, გამოძიება)

ჩვენა ვთქვით, რომ სახელმწიფო უფლებათა დანაწილება – ძირითადი მოთხოვნილებაა. კანონმდებელი, აღმასრულებელი და მსჯავრმდებელი ხელისუფლებანი, ეს სამი ძირითადი ელემენტი ეროვნული ხელმწიფობისა, უნდა იყოს დანაწილებული სათანადო ორგანოთა შორის და დამოუკიდებელი ერთიმეორისაგან.

ეს დამოუკიდებლობა არ უნდა გვესმოდეს მექანიკურად, როგორც სრული განცალკევება მათი. აქ დამოუკიდებლობა ჰნიშნავს მხოლოდ სხვადასხვა ფუნქციების ასრულებას, მაგრამ ეს ფუნქციები ერთ და იმავე ორგანიზმისა და მაშასადამე, რასაკვირველია, სამივე ორგანოს მუშაობა სოლიდარულია და ერთმანეთზე გადაბმული.

სხვადასხვა ფუნქციების ასრულება ჰთხოვლობს მხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციას სათანადო ორგანოებისას და არა მათ მექანიკურ განცალკევებას. პირიქით, თითოეული ხელისუფლება, თუმცა თავის მუშაობაში დამოუკიდებელია, მაინც ყოველთვის განიცდის და უნდა განიცდიდეს მეორის კონტროლს, არა იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს მის მუშაობაში, არამედ იმისთვის, რომ ჩააყენოს ეს მუშაობა მის უფლებრივ კალაპოტში, თუ ვინიცაა იგი იქიდან გადაცდა.

აქ ჩვენ შევჩერდეთ იმ კონტროლზე, რომელსაც აწარმოებს კანონმდებელი ხელისუფლება აღმასრულებელის მიმართ.

აღმასრულებელი ფუნქცია ღიდა და ვრცელი. მას ევალება ასრულება კანონისა, გამოცემა განკარგულებისა მის აღსასრულებლად, დაცვა მშვიდობიანობის, წესიერების და თავისუფლებისა. ეს მეტად ცოცხალი და ენერგიული ძალაა და იმაზე დამოკიდებული რეალური პოლიტიკა სახელმწიფოსი. ეს მრავალფეროვანი მისი მოღვაწეობა უნდა ჰზვდებოდეს კანონი-

რების ფარგლებში არა მარტო ფორმალურად, არამედ არსებითადაც. დარღვევა კანონისა, ან ისეთი მოქმედება, რომელიც ფორმალურად არ არღვევს კანონს, მაგრამ არსებითად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ შეგნებას და აზრს, უკვე ითხოვს ჩარევას და საქმის გამოსწორებას. აქ გამოდის პარლამენტი: მისი მოვალეობაა – გაითვალისწინოს საკითხი და თავის კალაპოტში ჩააყენოს საზღვარს გადამცდარი წარმომადგენელი აღმასრულებელ ხელისუფლებისა. ეს ხდება *კითხვით, ინტერპელაციით* (შეკითხვა) და *ანკეტით* (გამოძიება).

ყოველ პარლამენტის წევრს აქვს უფლება კითხვის და შეკითხვისა. „კითხვა“ ითხოვს მხოლოდ უბრალო განმარტებას ან ცნობას მინისტრისაგან და დიდი მნიშვნელობა არა აქვს: იმას არ მოსდევს დავა და დაფასება მინისტრის მოქმედების თუ პოლიტიკისა, უფრო მნიშვნელოვანია: „შეკითხვა“ ან ინტერპელაცია. აქ საქმე ისეა დაყენებული, რომ სათანადო მინისტრმა უნდა მისცეს პარლამენტს ვრცელი განმარტება შეკითხვის საგნის შესახებ; ამას ყოველთვის მოსდევს განხილვა მინისტრის მიერ მიღებული ზომებისა, კრიტიკა მისი პოლიტიკისა, და ჩვეულებრივად ეს დავა ჰთავდება მორიგ საკითხზე გადასვლის რეზოლუციით. ამ რეზოლუციაში პარლამენტი ან დაეთანხმება მინისტრს და მის განმარტებას საკმაოდ მიიჩნევს, ან გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას. ეს ჰნიშნავს ან „ნდობას“ ან „უნდობლობას“. უნდობლობის გამოცხადება ყოველთვის იწვევს სამინისტრო კრიზისს. მინისტრი, რომელსაც განსაკუთრებით ეხებოდა შეკითხვა, ან მთელი კაბინეტი უნდა გადადგეს. ამაში იხატება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სამინისტროსი. ეს ძალიან მკვეთრი იარაღია პარლამენტის წევრის ხელში და იმით ძალიან ხშირად ჰსარგებლობენ ყოველ პარლამენტარულ ქვეყნებში.

მეორე ასეთი იარაღია – ანკეტა, ან საპარლამენტო გამოძიება. პარლამენტი ირჩევს კომისიას, უფრო ხშირად სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლებისაგან და ავალებს მას რაიმე სადავო და დიდმნიშვნელოვან საქმის გამოძიებას, მაგ., მომხდარ ამბოხების, ან რაიმე უწყესობის ადგილობრივად გამოკვლევას და სხვა. კომისიას ხშირად ეძლევა განსაკუთრებული უფლებები და მთავრობა ვალდებულია აღმოუჩინოს იმას ყოველგვარი დახმარება. ამ საშუალებით პარლამენტი გაეცნობა საქმეს უფრო სწორედ და დაწვრილებით, რომ მიიღოს შემდეგ სათანადო ზომები. აქაც შეიძლება გამო-

ტანილ იქმნას „უნდობლობის“ რეზოლუცია პარლამენტის მიერ და მოხდეს კრიზისი მთავრობისა.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის კონტროლი პარლამენტისა, რომელიც იხატება პარლამენტის საბიუჯეტო უფლებაში.

9. საბიუჯეტო უფლება

ორგანული თეორია სახელმწიფოსი არსად ისე გამოსადეგი არ არის, როგორც საბიუჯეტო უფლების ახსნაში. სახელმწიფო მეურნეობა არის შინაგანი პროცესი ცოცხალ ორგანიზმისა; ორგანიზმს აქვს თავისი მოთხოვნილება, რომელიც დღითი-დღე ან პერიოდულად დაკმაყოფილებულ უნდა იქმნას, რომ არ დაიშალოს თვითონ ორგანიზმი. გამოანგარიშება ამ მოთხოვნილებათა რაოდენობისა და შეფარდება მისი იმ საშუალებასთან, რომელიც გააჩნია სახელმწიფოს მის დასაკმაყოფილებლად ან დასაფარავად, – არის მიზანი სახელმწიფო ბიუჯეტისა. მაგრამ მოთხოვნილება ორგანიზმისა და საშუალება დაკმაყოფილებისა ერთმანეთზე ჰკიდია, მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაბმული. ეს საშუალება სახელმწიფომ უნდა ამოიღოს იმავე ორგანიზმის განუწყვეტელ მუშაობისაგან, და მერე დაანაწილოს იგი სხვადასხვა კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შორის. საკითხი შეეხება ძირითად ძარღვს სახელმწიფოს ცხოვრებისას – მის შემოსავალს და გასავალს, მის ფინანსებს. შემოსავალი სხვადასხვა გადასახადის სახით, იკრებება ხალხისგან, ნაწილია მისი შრომის და მუყაითობისა. მასასადამე, როგორც რაოდენობა და ფორმა ამ შემოსავლის აკრებისა, ისე ფორმა და ხასიათი მისი მოხმარებისა, მისი დანაწილება სხვადასხვა სახელმწიფო ფუნქციათა შორის, დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ ეროვნულ ნებისყოფაზე, ე.ი. კანონზე.

ამიტომ, ჩვენის აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტი – კანონია არა მარტო ფორმალურად, არამედ არსებითად. ფორმალური მხარე დავას არ იწვევს: განხილვა, დამტკიცება და გამოქვეყნება სახელმწიფო ბიუჯეტისა ჰხდება პარლამენტში იმავე წესით, როგორც არსებობს ჩვეულებრივ კანონმდებლობისათვის. თუ რამ განსხვავება არის, ეს აიხსნება ყოველ საბიუჯეტო საკითხის ტექნიკურ მხარით: საგანი მეტად ძნელია, ითხოვს ბევრს ცოდნას და გამოცდილებას, და ამავე დროს დიდად საპასუხისმგებლო თავის შედარებით. ამიტომ ყოველთვის დიდი შრომა და დაკვირვებაა საჭირო.

საზოგადოდ მიღებულია ასეთი წესრიგი: ჯერ უნდა გამოკვლეული და გამოანგარიშებული იყოს სახელმწიფოს გასავალი, შემდეგ, ამისდა მიხედვით და ამასთან შეწონით – სახელმწიფოს შემოსავალი ან გადასახადი, რომელიც უნდა მოკრეფილ იქნეს ხალხისაგან. მე უფრო მომწონს ინგლისური წესი: იქ ჯერ შემოსავალს ანგარიშობენ, შემდეგ – ამ შემოსავლის რაოდენობაზეა დამოკიდებული გასავალის ხარჯთაღრიცხვა. შემოსავლის კვალობაზე უნდა იყოს მოწყობილი ცხოვრება. თუ ღარიბი ვართ, ღარიბულად უნდა ვიცხოვროთ, თუ მდიდარი – მდიდრულად. სასურველია გვყავდეს დიდი და კარგი მოკაზმული კარი, ბლომად გვქონდეს სკოლები და უნივერსიტეტები, გემები და რკინის გზები, მაგრამ თუ ამ ოცნებას გადავყვებით და ამ სურვილისამებრ ჯერ გასავალის ხარჯთაღრიცხვას შევუდგებით და შემდეგ მის გაწერას, ჩვენ ისეთ ბიუჯეტს მივიღებთ, რომლის ასრულება ყოვლად შეუძლებელი იქნება ერისათვის: ის გაიჭყლიტება ამისთანა ბიუჯეტის სიმძიმის ქვეშ.

მაგრამ შეხედულებასაც გაზვიადება არ უნდა. არის ფუნქციები სახელმწიფო ცხოვრებისა, რომლის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. ამ ფუნქციებისათვის ერთნაირი მინიმუმი უნდა გამოანგარიშებული იქმნას და უსათუოდ დაკმაყოფილებული. უამისოდ, ერთი ფუნქციის დაუკმაყოფილებამ შეიძლება დამბლა დასცეს მთელ ეროვნულ ორგანიზმს.

ამ მინიმუმს თავის ხარჯისას ირკვევს პირველად უწყება. ყოველ უწყებას ადრე უნდა გამოიანგარიშოს თავისთვის საჭირო ხარჯი. შემდეგ ყველა ეს ხარჯთაღრიცხვა წარედგინება ფინანსთა მინისტრს, რომლის ხელქვეით მოკრებილია, როგორც ეს მასალა, აგრეთვე დაწვრილებით ცნობა ყველა მოსალოდნელ შემოსავლისა. ამ ორი საგნის შეფარდებით მინისტრმა უნდა შეიმუშავოს მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი და თავის ვრცელი განმარტებით წარუდგინოს პარლამენტს. პირველი სტადია საპარლამენტო მუშაობისა არის ამ პროექტის და ყველა მასზე დართული მასალის განხილვა საბიუჯეტო კომისიაში.

კომისიაში განხილვის წესი სხვადასხვანაირია. ჩვეულებრივად კომისია განიხილავს თითოეულ უწყების ხარჯთაღრიცხვას ცალ-ცალკე. აქ თითოეულ მუხლის გამო შეიძლება წამოიჭრას სხვადასხვა მეტად რთული საკითხები: ზოგან საჭიროა ხარჯის შემცირება, ზოგან – მომატება, ზოგან – სულ წაშლა ამ თუ იმ მუხლისა, ზოგჯერ – მთელი განყოფილებისა. თითოეული განყოფილება და თითოეული მუხლი განყოფილებისა პორ-

ტრეტია რაიმე დაწესებულებისა, ან მისი ნაწილისა, ან მომავალი სამუშაოსი, რომელიც შეიძლება განზრახული ჰქონდეს ამა თუ იმ უწყებას, კომისიის წევრებს ეკისრებათ დიდი მოვალეობა შეისწავლონ და გაითვალისწინონ ყველაფერი ეს, აწონ-დაწონონ, თუ რამდენად საჭიროა ეს თუ ის ხარჯი, რა ზომის უნდა იყოს იგი და რა ადგილი უნდა ეჭიროს მთელს ხარჯთაღრიცხვაში, კომისიის წევრი ერთ და იმავე დროს უნდა დაჰყურებდეს გასარჩევ საგანს და იყურებოდეს ყოველმხრივ: უნდა წარმოდგენილი ჰქონდეს მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მისი ეკონომიკური ძალა, მისი საერთაშორისო მდგომარეობა და ყველა ამ გარემოებათა მიხედვით და აწონ-დაწონვით მისცეს ზომა და ადგილი სადავო მუხლს ან განყოფილებას საერთო ხარჯთაღრიცხვაში. სამაგალითოდ ავიღოთ რომელიმე უწყება, ვთქვათ – სამხედრო. არის ერთიანი მინიმუმი, რომლის ქვემო ხარჯთაღრიცხვა ვერ დაიწევა. ეს ნაწილი ხარჯთაღრიცხვისა უდავო იქნება. მაგრამ შეიძლება საერთაშორისო მდგომარეობის გამო სათანადო მინისტრმა ან კომისიამ საჭიროდ დაინახა ჯარის გადიდება, ან ახალი სამხედრო ნაწილის დაწესება, ახალი ციხე-სიმაგრის აშენება და სხვა. ეს იწვევს ხარჯს და ამისდა მიხედვით აუცილებელი იქნება ბიუჯეტის გადიდებაც.

შემდეგ კომისია გადადის სახელმწიფო შემოსავალთა განხილვაზე. აქაც დიდი ცოდნა და დაკვირვებაა საჭირო. ამისდა მიხედვით, თუ რა ყოფაშია ეროვნული მეურნეობა, თუ რას განიცდის ეს თუ ის დარგი წარმოებისა, კომისია ვალდებულია დიდის ყურადღებით და სიფრთხილით მოეპყრას ყოველ გადასახადს – პირდაპირია იგი თუ არაპირდაპირი. აქ შეიძლება კომისიამ ზოგი გადასახადი შეამციროს, ზოგი – გაადიდოს, ზოგჯერ – ახალი გადასახადის შემოღებაზე მიგვითითოს. თუ მოსალოდნელი შემოსავალი მაინც ვერა ჰფარავს გასავალს, მაშინ სახელმწიფო იძულებული იქნება მიჰმართოს სახელმწიფო სესხს ან გამომეზნოს სხვა რაიმე წყარო.

ამნაირად განხილული კომისიაში კანონპროექტი ბიუჯეტისა შემოდის პარლამენტში განსახილველად. ჯერ ჰხდება ზოგადი განხილვა: ეს შეეხება უფრო მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას და იმ პრინციპების კრიტიკას, რომელზედაც აგებულია კანონპროექტი. შემდეგ, არა უადრეს შვიდი დღისა (ჩვენში), მოხდება ხოლმე მუხლობრივი განხილვა ყოველ შესწორებებით და დამატებით, და ბოლოს კენჭის ყრა და დამტკიცება, როგორც ჩვეულებრივ კანონმდებლობის დროს. მას შემდეგ, რაც ბიუჯეტი დამტკიცებულია

და გამოქვეყნებული, იგი ჰხდება უფლებრივი საფუძველი მთავრობის ბევრ მოღვაწეობისა და შემოქმედებისათვის: შეიძლება აღებულ იქმნას სახელმწიფო სესხი, გაუქმდეს ან გამოიცვალოს ზოგიერთი გადასახადი, შემოღებულ იქმნას ახალი, დამტკიცებულ იქმნას მრავალმილიონიანი კრედიტები რაიმე დიდი საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის და სხვა და სხვა.

კონტროლი პარლამენტისა ამით კიდევ არ თავდება. დამტკიცებულ ბიუჯეტს უნდა კიდევ ასრულება. ასრულება ითხოვს კონტროლს. ასრულება არა ჰხდება ერთ ან ორ დღეში, იგი მიმდინარე და ყოველდღიური საქმეა. პარლამენტს კი არ შეუძლიან ყოველდღე თვალყური ადევნოს ყოველი მანათიან შემოსავალს და გასავალს, ყველგან მთელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამიტომ ამ საპარლამენტო ფუნქციას ასრულებს განსაკუთრებული უწყება – სახელმწიფო კონტროლი, რომელიც არ ექვემდებარება მთავრობას. სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

ნათქვამიდან სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო უფლებას. პრინციპიალურად მთავრობას უფლება არა აქვს დახარჯოს ერთი გროში სახელმწიფო სალაროდან, ან გადაახდევინოს ხალხს რამე, თუ პარლამენტის წინასწარი ნებართვა არა აქვს დამტკიცებული ბიუჯეტის სახით. თეორიულად ეს ასეა, მაგრამ პრაქტიკულად ამის გატარება ხშირად შეუძლებელია. ზოგჯერ სხვა და სხვა გარემოებათა გამო მოუხერხებელი ჰხდება ბიუჯეტის დროზე შემუშავება და დამტკიცება, მაგრამ ეს კიდევ არავის აძლევს უფლებას შეაფერხოს სახელმწიფო ცხოვრება. სახელმწიფო ფუნქციები მაინც ვერ შეწყვეტენ თავიანთ მუშაობას და აუცილებლად თხოულობენ სათანადო ხარჯს.

მაინც საბიუჯეტო უფლება დიდი იარაღია პარლამენტის ხელში: თუმცა პარლამენტი, რა თქმა უნდა, არასოდეს არ შეაფერხებს სახელმწიფო საქმეების მსვლელობას, არ შეიძლება ამა თუ იმ სახით არ დაამტკიცოს ბიუჯეტი, მაგრამ ამ ნიადაგზე ხშირად ჰხდება ხოლმე კონფლიქტი მთავრობასთან. ამ შემთხვევაში მთავრობა იძულებულია ან დაემორჩილოს პარლამენტს ან გადადგეს.

სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად უნდა იყოს განხილული და დამტკიცებული.

ნაწილი მეხამე

აღმასრულებელი ხელისუფლება

1. უფლებრივი საფუძველი

საფუძველი აღმასრულებელის, როგორც კანონმდებელ ხელისუფლებისა, ერთი და იგივეა – ეროვნული ნებისყოფა. ეს პრინციპიალური დებულება შეურყეველი ჰრჩება, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ეროვნულ ნებისყოფას აქვს თავისი საზღვარი ისტორიულ განვითარების პირობებში.

ეროვნულ ნებისყოფის გამომხატველი არის პარლამენტი, ამიტომ ლოკუტურად შეიძლება დავასკვნათ, რომ პარლამენტს უნდა ევალეობდეს სრული ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლებისა. ეს ერთი მიმართულებაა მეცნიერებაში. არის მეორეც, რომელიც პრინციპიალურად უარს არა ჰყოფს პირველს, მაგრამ შეაქვს მაინც დიდი შესწორება. იგი ამბობს, რომ ყველაფერი, რაც კი შეეხება ორგანიზაციას, კომპეტენციის განსაზღვრას და თვით ფორმას მოღვაწეობისას, სულ ეს ჰთხოვლობს საკანონმდებლო ნორმებს და ამიტომ მართლა უნდა ევალეობდეს კანონმდებელ ორგანოს – პარლამენტს. მაგრამ ამორჩევა იმ პირისა, რომელიც უნდა იდგეს ამ აღმასრულებელ ხელისუფლების სათავეში, არ არის საკანონმდებლო აქტი და ამიტომ არც შედის პარლამენტის კომპეტენციაში. პარლამენტს არა აქვს გადაცემული მთელი ხელმწიფობა ერისა, იგი მატარებელია მხოლოდ ერთი მის ელემენტის – კანონმდებელ ხელისუფლებისა. მეორე ელემენტი, აგრედვე დიდმნიშვნელოვანი, არის აღმასრულებელი ხელისუფლება და აქ პირველი და გარდამწყვეტი ხმა ეკუთვნის უშუალოდ თვით დემოკრატიას – მთელს ერს. ამიტომ სახელმწიფოს მეთაურის ამორჩევაც უნდა ეკუთვნოდეს არა პარლამენტს, არამედ თვითონ ერს.

პირველი მიმართულება მიღებულია შვეიცარიის კონსტიტუციაში, მეორე – ჩრდილო ამერიკაში. შვეიცარიაში ეროვნული კრება (შეერთებული სხდომა ეროვნულ საბჭოსი და კანტონთა საბჭოსი) ირჩევს მინისტრებს სამი წლის ვადით და იმათ შორის ერთს თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით. ეს თავმჯდომარე ითვლება იმავე დროს რესპუბლიკის თავმჯდომარედ. იმას თითქმის არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, მხოლოდ პირველია თავის თანასწორ ამხანაგთა შორის. აქ მინისტრები და მათი თავმჯდომარე ასრულებენ მხოლოდ იმას, რას უბრძანებს

კანონმდებელი ორგანო, ფაქტიურად ამ ორგანოს ხელშია აღმასრულებელი ძალა, და ისინი, ვინც ფორმალურად ითვლებიან აღმასრულებელ ძალის სათავეში, არიან თითქმის უბრალო მოხელენი: არა აქვთ საკმარისი ინ-იციატივა და დამოუკიდებელი ნების ყოფა.

ამერიკაში რესპუბლიკის თავმჯდომარეს (პრეზიდენტს) ირჩევს არა პარლამენტი, არამედ – ერი. მისი ხელისუფლება მოსჩქეფს იმავე წყარო-დან, საიდანაც პარლამენტისა. თუ პარლამენტი გამომხატველია ეროვნულ ნებისყოფისა, პრეზიდენტსაც შეუძლიან იგივე ჰქვას თავის თავზე: ისიც გამომხატველია ეროვნულ ნებისყოფისა მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლების სფეროში. აქ თეორია *მონტესკიესი* მკაცრად გატარებულია და აღმასრულებელი ძალა თითქმის მექანიკურად ჩამოშორებულია კანონმდებელს. ამიტომ არც ამერიკაში, არც შვეიცარიაში არ არსებობს *პასუხისმ-გებლობა* სამინისტროსი, როგორც საკონსტიტუციო პრინციპი. შვეიცარიაში იმიტომ, რომ აღმასრულებელი ძალა არ არის არსებითად გამოყოფილი კანონმდებელ ხელისუფლებისაგან, და ამერიკაში იმიტომ, რომ სავესებით თითქმის მექანიკურად, იგი გამოყოფილია მეორისაგან. საფრანგეთს უჭირავს შუათანა ადგილი: პრეზიდენტს ირჩევს შეერთებული სხდომა კანონმდებელ ორგანოებისა შვიდი წლის ვადით, იმას ევალება შედგენა სამინისტროსი, მაგრამ სამინისტრო პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

ამ მაგალითებიდან იბადება რამოდენიმე პრინციპიალური საკითხი – შესახებ როგორც პრეზიდენტის, აგრედვე მისი უფლებრივი მდგომარეობისა, შემდეგ – შესახებ სამინისტროს კონსტრუქციის და მისი უფლებრივი შინაარსისა. განვიხილოთ რიგ-რიგად.

2. პრეზიდენტი რესპუბლიკისა

არის თუ არა, საზოგადოდ, საჭირო პრეზიდენტი რესპუბლიკისა? აქვს თუ არა იმას მართლა რაიმე აუცილებელი სახელმწიფოებრივი ფუნქცია, თუ ეს უბრალო ნაშთია ისტორიულ გარდაქმნისა და შეიძლება მისი სრული მოსპობაც? ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ ჩვენში მეტად გავრცელებულია ყალბი აზრი, გამომდინარე ყალბად გაგებულ დემოკრატიზმი-საგან. დემოკრატიზმის პრინციპი ითხოვს ისეთ წყობილებას, როცა ეროვნულ ნებისყოფის გატარება ცხოვრებაში თავისუფალია და უზრუნველყოფილი. თუ პრეზიდენტი ამ მხრივ მართლა წამოადგენს დაბრკოლებას,

მაშინ იგი საჭირო არ ყოფილა. მაგრამ თუ თვით ინტერესი ეროვნულ ნებისყოფის გატარებისა მოითხოვს იმ უფლებრივ ფუნქციას, რომელსაც ასრულებს ხოლმე პრეზიდენტი, სადავოც არაფერია: იგი უნდა დარჩეს.

ჩვენ დავინახავთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს დამოუკიდებელი, რომ შეინარჩუნოს ინიციატივა და შემოქმედი ნებისყოფა, და ამავე დროს იგი უნდა იყოს ერთნაირად დამოკიდებულიც, რომ გამოვიდეს შეთანხმებული მუშაობა სხვა და სხვა ფუნქციათა შორის ერთ და იმავე ორგანიზმისა – სახელმწიფოსი. ამ წინააღმდეგობის ნიადაგზე აღმოცენდა ეგრედ წოდებული „კაბინეტური სისტემა“. იგი ჰგულისხმობს ისეთ ორგანიზაციას აღმასრულებელ ხელისუფლებისას, სადაც ორივე მოთხოვნილება შეთანხმებულად გატარებულია: პრეზიდენტი და კაბინეტი მინისტრებისა ჰდგანან აღმასრულებელ ხელისუფლების სათავეში, მაგრამ მათი დამოკიდებულება პარლამენტის მიმართ სხვა და სხვა ნაირია. ორივე დამოუკიდებელი არიან პარლამენტისაგან: ამით ეძლევათ მეტი თავისუფლება, მეტი შემოქმედება და ენერჯია. მაგრამ მაშინ, როდესაც პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე, კაბინეტი მინისტრებისა – პასუხისმგებელია; პრეზიდენტი ვერ იმოქმედებს უკაბინეტოდ, კაბინეტი ვალდებულია შეუთანხმოს თავის მოქმედება პარლამენტის სურვილს და შეხედულებას: ამნაირად უფლებრივი შინაარსი იმ ფუნქციისა, რომელსაც ასრულებს პრეზიდენტი და კაბინეტი მინისტრებისა, არსებითად ერთია: აღმასრულებელი ხელისუფლება. მაგრამ, ვინაიდან ეს ელემენტი ეროვნულ ხელმწიფობისა უნდა იყოს გამოყოფილი სხვა ელემენტებისაგან, რაც აუცილებლად საჭიროა სამოქალაქო თავისუფლების განსამტკიცებლად, და იმავე დროს – აუცილებლად შეთანხმებული თავის მოქმედებაში საზოგადოებრივ აზრთან და ეროვნულ ნებისყოფასთან, იბადება ორი ძირითადი მოთხოვნილება: ერთი – გამოყოფა, მეორე – სოლიდარობა პარლამენტთან. პირველი განსახიერებულია პრეზიდენტის თანამდებობაში, მეორე მიღწეულია კაბინეტურ სისტემით მმართველობაში. პრეზიდენტი ჰრჩება, კაბინეტი – იცვლება.

ამიტომ რესპუბლიკის პრეზიდენტს უჭირავს უმაღლესი ადგილი სახელმწიფოში: იგი თავია სახელმწიფოსი და მისი წარმომადგენი საერთაშორისო განწყობილებაში.

3. შინაარსი აღმასრულებელ ხელისუფლებისა

ჩვენ ერთჯერ შევადარეთ სახელმწიფოებრივი ცხოვრება მდინარეს, რომელსაც აქვს თავისი უძრავი ნაპირები და მუდამ მოძრავი მიმდინარეობა. უძრავი ნაპირები არის უფლებრივი ნორმები, განსაკუთრებით საკონსტიტუციო კანონები, მუდამ მოძრავი მიმდინარეობა არის თვითონ ცხოვრება, რომელიც მუდამ მიჰდუნს ამ უფლებრივ ფორმებში. რასაკვირველია, ეს შედარება მხოლოდ დაახლოებითია, მაგრამ მაინც გვაძლევს ერთნაირ წარმოდგენას მთელი სახელმწიფოებრივ ცხოვრების შესახებ. აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროა ამ ცხოვრების განუწყვეტელი მიმდინარეობის მეთვალყურეობა და მოწესრიგება თანახმად დამყარებული ნორმებისა და კანონებისა. არა ნორმების და საერთო კანონების შექმნა, არამედ მათი ასრულება და სათანადო ზომების მიღება მათი ასრულებისათვის. აქედან აშკარაა, რომ აღმასრულებელი უფლება უნდა იყოს მუდამ ფხიზელი, მუდამ ენერგიული და თაოსანი. ასპარეზი მისი მოქმედებისა ყოველგან არის, სადაც კი ჰქვდება საზოგადოდ სახელმწიფოებრივი უფლება. აღწესით მოკლედ უმთავრესი მომენტები მისი მოღვაწეობისა: კანონმდებლობაში, მმართველობაში და მსჯავრმდებლობაში.

ა) კანონმდებლობაში

კანონმდებლობა პარლამენტის საქმეა, მაგრამ მთავრობაც, როგორც მატარებელი აღმასრულებელი როლისა, ეწევა დიდ მუშაობას. იმას აქვს უფლება ინიციატივისა. იგი ამზადებს უმეტეს ნაწილს ყველა კანონპროექტისას, აგროვებს მისთვის საჭირო მასალებს, შეაქვს პარლამენტში და ახლო მონაწილეობას ჰქვებულობს ამ კანონპროექტის გატარებაში, როგორც კომისიებში, აგრედვე თვით პარლამენტში. შემდეგ მთავრობას ევალება მათი გამოკვეყნება. ამნაირად თანამშრომლობა მთავრობისა აუცილებელი პირობაა კანონმდებლობისა. აქ იბადება რამოდენიმე საკონსტიტუციო საკითხი.

ვის უნდა ჰქონდეს უფლება პარლამენტის *მოწვევის*, სესიის *შეწყობის* ან ახალ არჩევნების დანიშვნისა? ეს საკითხი სხვა და სხვა ნაირად არის გადაწყვეტილი სხვა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ დემოკრატიულ თვალსაზრისით ეს უმთავრესი პირობები საპარლამენტო მუშაობისა უნდა იყოს

დამოკიდებული თვითონ პარლამენტზე. ამიტომ კონსტიტუციაში უნდა იყოს განსაზღვრული ვადა პარლამენტის მუშაობისა – 2 ან 3 წელიწადი, ამ ვადაში ყოველთვის უნდა მოხდეს არჩევნები და განახლებული უნდა იქმნას პარლამენტის შემადგენლობა; განსაზღვრულ უნდა იყოს აგრძელება თუ როდის უნდა მოხდეს ეს არჩევნები – გაზაფხულს, შემოდგომას თუ სხვა დროს და ბოლოს დანიშნულ უნდა იყოს დღე, როდესაც გაიხსნება პირველი სესია. ამნაირად პარლამენტი შეიკრიბება ყოველთვის წინასწარ განსაზღვრულ დღეს. ამ მხრივ პარლამენტის მუშაობა დამოუკიდებელი უნდა იყოს აღმასრულებელ ხელისუფლებისაგან. რასაკვირველია ამ უკანასკნელმა ყოველი დახმარება უნდა აღმოუჩინოს პარლამენტს და სისრულეში მოიყვანოს ყოველი მისი დადგენილება შესახებ არჩევნებისა.

აღმასრულებელ ძალას ევალება **დამტკიცება** და **გამოქვეყნება** კანონებისა. ეს ძალა არის ერთი ელემენტი ეროვნულ სუვერენობისა. კანონი ყველასათვის სავალდებულოა, იგი უნდა იყოს გამომხატველი ეროვნულ ნებისყოფისა. ეს მიზანი კი უფრო სავსებით იქნება მიღწეული და უფრო უდავო ყველასათვის, თუ კანონს, მიღებულს პარლამენტის მიერ, ზედ დართული ექნება აგრძელება აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობა. ეს ფორმალურად გამოიხატება ხელის მოწერაში. კანონი ხელმოწერილი უნდა იყოს არა მარტო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ, არამედ აგრძელება იმ პირის მიერაც, ვინცა ჰდგას აღმასრულებელ ძალის სათავეში. მაგრამ თუ იმან ხელი არ მოაწერა? ასეთი მომენტი ძალიან იშვიათია. ეს იქნებოდა კანონმდებელ ორგანოსთან კონფლიქტის შექმნა, რაც ყოველთვის სახიფათოა მთავრობისათვის. მაინც ეს შეიძლება მოხდეს და ამიტომ გადაწყვეტილი უნდა იყოს კონსტიტუციაში მისი შედეგები.

საზოგადოდ პრეზიდენტის ხელის მოწერას არა აქვს გარდამწყვეტი მნიშვნელობა დემოკრატიულ რესპუბლიკაში. კანონი, მიღებული პარლამენტის მიერ, კანონად ჰრჩება, თუნდაც რომ აღმასრულებელ ძალის მეთაურმა ხელიც არ მოაწეროს. მაგრამ აქ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთს განსაკუთრებულ პირობას: როგორია პარლამენტი? შესდგება იგი ერთის თუ ორი პალატისაგან? საქმე იმაშია, რომ აჩქარებული კანონმდებლობაც ძალიან სახიფათოა. თუ კანონი მარტო ერთი პალატისაგან არის მიღებული, იგი შეიძლება ხშირად იყოს აჩქარებით მიღებული, გამოწვეული რაიმე დროებითი მოვლენით ან პარტიული გატაცებით; მეტი დაფიქრების და მსჯელობის შემდეგ შეიძლება ეს კანონი სულ არ მიიღოს

პარლამენტმა და შეიტანოს ისეთი შესწორება, რომელიც გამოაცლის კანონს მის საშიშარ მხარეებს. ამიტომ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტი ერთპალატიანია, რესპუბლიკის პრეზიდენტს ნება უნდა ჰქონდეს ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება კანონმდებელ ორგანოს და ჰთხოვოს მას განიხილოს ხელმეორედ სადავო კანონი. ამ უფლებას ჰქვია ვეტო. ჩრდილო ამერიკაში, თუმცა იქ ორპალატიანი სისტემა არის და აღმასრულებელი ხელისუფლება მკაცრად გამოყოფილია კანონმდებლობისაგან, მაინც პრეზიდენტს აქვს უფლება ვეტოსი. პრეზიდენტი აბრუნებს უკან კანონს და მოითხოვს მისი ხელმეორედ განხილვას ორივე საკანონმდებლო პალატაში. ამ შემთხვევაში, თუ კანონმა ხელმეორედ განხილვის დროს ორივე პალატაში ცალ-ცალკე შემოიკრიბა არანაკლებ 2/3 ყველა ხმებისა, იგი კანონი ჰხდება, თუნდაც პრეზიდენტმა ხელი არ მოაწეროს, თუ არა და – იგი ჰკარგავს ყოველ ძალას.

ამიტომ სახელმწიფოს მეთაურს უნდა ჰქონდეს უფლება ვეტოსი მხოლოდ იმ ფარგლებში, როგორც ზემორეა აღნიშნული.

ჩვენის აზრით დემოკრატიულ რესპუბლიკაში საჭიროა კიდევ ერთნაირი კონტროლი კანონმდებლობისა აღმასრულებელ ძალის მხრივ. პრინციპიალური დებულება ასეთია: კანონმდებლობა უნდა ეთანხმებოდეს ეროვნულ ნებისყოფას. თუ არ ეთანხმება, მაშინ ვინ და როგორ უნდა გამოარკვიოს ეს? საფრანგეთში მიღებულია ასეთი წესი: პრეზიდენტს სენატის თანხმობით შეუძლიან დაითხოვოს პარლამენტი და მოახდინოს ახალი არჩევნები. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ სენატი არა გვყავს, როგორც კანონმდებელი ორგანო; მერე, არა გვაქვს უფლება დავითხოვოთ პარლამენტი, სანამ მისი ვადა არ გასულა. და, ბოლოს, დავა უფრო ხშირად ეხება ერთ რაიმე საკითხს, ერთ მიღებულ კანონს, და არა მთელი პარლამენტის შემადგენლობას. ამიტომ საჭიროა არა პარლამენტის დათხოვნა, არამედ იმ ერთი სადავო კანონის შესახებ ერის დაკითხვა. ამიტომ *რეფერენდუმის* უფლება უნდა მიეცეს აღმასრულებელ ძალას. ამ საკითხს ჩვენ ცალკე შევეხებით, ესაა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ კანონმდებლობასაც უნდა ჰქონდეს რაიმე კონტროლი; ეს კონტროლი უნდა იყოს დემოკრატიული, რეფერენდუმის სახით; ინიციატივა ამ საკითხში უნდა ჰქონდეს მინიჭებული სხვათა შორის აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. ე.ი. რესპუბლიკის პრეზიდენტსა.

ბ) მმართველობაში

ეს არე მოქმედებისა სავსებით ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლებას. იგი მეტად ვრცელია და მრავალფეროვანი. აი, უმთავრესი დარგები:

ა) **საერთაშორისო წარმომადგენლობა.** სახელმწიფო არის უფლებრივი პიროვნება, იმას აქვს განუწყვეტელი განწყობილება სხვა და სხვა სახელმწიფოებთან – პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული. აქ აუცილებლად საჭიროა ერთი პიროვნება, როგორც უმაღლესი მეთაური და წარმომადგენელი სახელმწიფოსი. ასეთი პიროვნებაა პრეზიდენტი რესპუბლიკისა. იგი ჰნიშნავს თავის დიპლომატიურ აგენტებს სხვა და სხვა სახელმწიფოში და თვითონ ჰღებულობს ამისთანა აგენტებს, გამოგზავნილს უცხო ქვეყნებიდან. აღმასრულებელ ხელისუფლებას ევალება წარმოება საერთაშორისო მოლაპარაკებისა, დაცვა ეროვნულ ინტერესებისა, და მუდამ ფიზიკური თვალყურის დევნა ამ ინტერესების დასაცველად.

ბ) **დადება ხელშეკრულებებისა.** საერთაშორისო მოლაპარაკება ხშირად ჰთავდება ხელშეკრულებით და, მის და მიხედვით, თუ რა საქმეებს შეეხება, იგი იქნება საზავო, საკავშირო, სავაჭრო, საბაჟო და სხვა. ეს არის შეთანხმებით მოწესრიგება სხვა და სხვა ეროვნულ საჭიროებისა, ამ ხელშეკრულებებს აქვს სავალდებულო ხასიათი არა მარტო იმ სახელმწიფოთათვის, რომელთა შორის დადებულია იგი, არამედ კერძო პირთათვისაც. იქ არის საკანონმდებლო ნორმები და ამიტომ ყოველთვის საჭიროა მათი განხილვა და დამტკიცება კანონმდებელ ორგანოს მიერ. ამას ჰქვია რატიფიკაცია. რაც შეეხება საზღვრების გასწორებას, ტერიტორიის გაცვლას, შექენას ან დათმობას, აქ წინასწარ მოლაპარაკებას აწარმოებს იგივე მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო, მაგრამ ყველაფერი ეს ჰწყდება მხოლოდ საზოგადო კანონმდებლობის წესით.

გ) **უმაღლესი მბრძანებლობა სამხედრო ძალებისა** ეკუთვნის აგრედვე მთავრობას. ბევრი ამ აზრის წინააღმდეგია; ამბობენ, რომ უმაღლესი გამგე და მბრძანებელი უნდა იყოს პარლამენტი. პარლამენტს ეკუთვნის კანონმდებლობა სამხედრო ძალების შექმნის და მოწყობის შესახებ, ეს უეჭველია, ხოლო სარდლობა ან უმაღლესი მბრძანებლობა ყოველად შეუძლებელია მიენდოს ისეთ საკრებულოს, როგორც არის პარლამენტი. უმაღლესი მბრძანებლობა სამხედრო ბრძანებისა არსებითად მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო საქმეების წარმოებასთან; ეს წარმოება ჰთხოუ-

ლობს შეხედულობის მოტიანობას და მუდმივს, განუწყვეტელს სიფხიზლეს და მოქმედებას; ეს თვისებები აკლია პარლამენტს, რომელსაც დროგამოშვებით შეუძლიან მიაქციოს ყურადღება ამ თუ იმ საგანს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიდის საერთაშორისო საქმეები, უნდა იყოს შესაძლებლობაც სამხედრო ძალების მოხმარებისა: წინასწარი მომარაგება ყოველ შემთხვევისათვის, ჯარის გადაყვან-გადმოყვანა, მასალების დამზადება და სხვა. სულ სხვაა ომის გამოცხადება: აქ მთელი სახელმწიფო დაინტერესებული, აქ საშიშროება მოელის ყველას ნივთიერად და ზნეობრივად, საკითხი მეტად დიდია და საპასუხისმგებლო; ამიტომ უფლება ომის გამოცხადებისა და ზავის ჩამოგდებისა შედის მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციაში. მაგრამ ომის გამოცხადებამდე ბევრი რამ უნდა გაკეთდეს; ომი უეცრად კი არ ატყდება ხოლმე, იმას წინ დიდი დრო მიუძღვის, დრო მოლაპარაკების და მომარაგების. ომი შეიძლება ფაქტიურად კიდევ დაიწყოს, ამისთვის ოფიციალური განცხადება ომისა საჭიროც არ არის. ამისთანა პირობებში მხოლოდ აღმასრულებელ ძალას შეუძლიან მიზანშეწონილი და ნაყოფიერი მუშაობა. ამიტომ უმაღლესი მბრძანებლობა ჯარისა ეკუთვნის პრეზიდენტს და მის მიერ დანიშნულ პირებს.

დ) დანიშვნა მოხელეებისა ყველა სახელმწიფო სამსახურში. წესი ამ დანიშვნისა და აგრედვე მოხელეთა წარჩინებისა სახელმწიფო სამსახურში ჩვეულებრივად განსაზღვრულია კერძო კანონში; ხოლო მთავრობა ახორციელებს ამ უფლებას თანახმად თავის შეხედულებისა და საჭიროებისა.

ე) გამოცემა ბრძანებისა და განკარგულებისა აუცილებელი საშუალებაა მთავრობის ხელში თავის მიზნების მისახსენად. მთავრობას არა აქვს ნება, გამოსცეს რაიმე კანონი, ან გამოცვალოს იგი, მაგრამ საზოგადოდ მიღებულ კანონების ფარგლებში მას აქვს სრული უფლება გასცეს სხვა და სხვა ბრძანება და განკარგულება, მისცეს ინსტრუქცია და სხვა ამისთანები. მხოლოდ მიზანი ამ მოქმედებისა არის კანონის ასრულება, დაცვა მშვიდობიანობის და წესიერებისა. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი, რაიმე ზღვარი არსებითად გავიყვანოთ ადმინისტრაციულ განკარგულებისა და კანონის შუა. აქ პრინციპიალური მოთხოვნილება მხოლოდ ერთია: მთავრობის ბრძანება და განკარგულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს. თუ განკარგულება ეწინააღმდეგება კანონს, იგი უკანონოა; ყოველ დაინტერესებულ მოქალაქეს უფლება აქვს

განასაჩივროს იგი სასამართლოში და არ დაემორჩილოს ამისთანა ბრძანებას.

გ) მსჯავრდებულობაში

სასამართლოს ნაწილი თუმცა გამოყოფილია სხვა სახელმწიფო ხელისუფლებათაგან, მაინც აღმასრულებელ ძალას ამ არეშიდაც აქვს ერთნაირი უფლება, რომელზედაც საჭიროა ცოტათი შეეაჩეროთ ჩვენი ყურადღება. ეს განსაკუთრებით უფლება **შეწყალებისა**.

კანონი საზოგადოდ უძრავი ფორმაა, კანონით დადებული სასჯელი არ არის საემარისად ელასტიური და მრავალფერი. ცხოვრებაში კი ძნელად თუ შეხვდებით ორ მოვლენას, სრულებით ერთნაირს: აქ ყოველთვის სხვადასხვაობაა. ამიტომ ყოველთვის ერთი და იგივე სასჯელი ყოველ ვითომდა ერთნაირ მოვლენათათვის, ხშირად არ არის მისაღები. საზოგადოებრივი აზრი და შეგნება ამ ორ მოვლენათა შეუწონლობით ხშირად შეურაცხყოფილია ხოლმე. გარდა ამისა, ხშირად სასამართლოც შედის შეცდომაში და თვითონ კი უფლება არა აქვს გამოასწოროს თავისი შეცდომა. ამ გარემოებათა გამო დაიბადა ის უფლება, რომელსაც ჰქვიან **შეწყალება**.

არ უნდა ავუროთ ერთმანეთში **შეწყალება** და **ამნისტია**. პირველი შეეხება მხოლოდ ერთს რომელიმე კონკრეტულს შემთხვევას და სახეში აქვს მხოლოდ სასჯელის პატიება ან შემცირება, მეორე შეეხება მთელს წყებას ერთნაირ დანაშაულისას და სახეში აქვს არა მარტო სასჯელის მოხსნა, არამედ მოსპობა ამ დანაშაულთა შესახებ თვით სისხლის სამართლის საქმეებისა მათი უფლებრივ შედეგებიანად. ამიტომ შეწყალების უფლება ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, ამნისტია კი – კანონმდებელს. უმთავრესი საფუძველი ასეთი დანაშაულებისა ის არის, რომ ამნისტია – აქტია უფრო პოლიტიკური, ვიდრე სასამართლოებრივი, შეწყალება კი – უფრო სასამართლოებრივი, ვიდრე პოლიტიკური. სამართლის საკითხი საზოგადოდ უნდა იყოს მოშორებული ყოველ პოლიტიკურ ზედგავლენას, იგი ჰყვდება მხოლოდ არსებულ კანონების ფარგალში და პირუთვნელ სინდისის ქვეშ. ამიტომ ამისთანა კითხვის გადატანა ისეთ საკრებულოში, როგორც პარლამენტია, საკითხს უფრო დააბნელებს, აცდენს მიზანს და შეიძლება მეტი ზიანი მოჰყვეს, ვიდრე სარგებლობა. სულ სხვა ხასიათისაა ამნისტია: აქ სჭარბობს პოლიტიკური მხარე და სახელმ-

წიფობრივი მიზანშეწონილობა. აქ საჭიროა საერთო მსჯელობა და საკანონმდებლო აქტი. რა თქმა უნდა, ორივე წინადადებას ამზადებს სამართლის მინისტრი, მხოლოდ ერთი უნდა წარუდგინოს ხელის მოსაწერად რესპუბლიკის პრეზიდენტს, მეორე – საკანონმდებლო ორგანოს დასამტკიცებლად.

4. ორგანიზაცია აღმასრულებელ ხელისუფლებისა. კაბინეტური სისტემა

ძირითადი მოთხოვნილება ყოველ ცოცხალ ორგანიზმისა არის შეთანხმებული, სოლიდარული მუშაობა სხვა და სხვა მისი ფუნქციებისა. ამ ბუნებრივ ნიადაგზე, რასაკვირველია, დიდი ბრძოლის შემდეგ, აღმოცენდა ევრედწოდებული „პარლამენტარიზმი“, რომლის დამახასიათებელი ნიშანია „კაბინეტურის სისტემა“ მთავრობისა.

რაში მდგომარეობს ეს სისტემა?

ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტი რესპუბლიკისა, არ არის და არც უნდა იყოს პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე, მაგრამ ამავე დროს აღმასრულებელი ხელისუფლება თავის მოქმედებით უნდა იყოს შეთანხმებული და შეწყობილი ეროვნულ ნებისყოფასთან, რომლის გამოხატველია საზოგადოდ პარლამენტი. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს მეთაურის და პარლამენტის შუა არის განსაკუთრებული ორგანო – კაბინეტი მინისტრისა – რომლის უაღრესი დანიშნულებაა არა მარტო განხორციელება აღმასრულებელი ხელისუფლებისა საზოგადოდ, არამედ ისეთი განხორციელება, რომელიც ეთანხმება ეროვნულ ნებისყოფას. აქ არის საფუძველი პარლამენტარულ კონტროლის, ერთის მხრივ, და სამინისტროს პასუხისმგებლობის, მეორე მხრივ.

აქედანვე ლოგიკურად გამომდინარეობს ისიც, რომ პრეზიდენტი რესპუბლიკისა, თუმცა იგი ჰდგას აღმასრულებელ ხელისუფლების სათავეში, მაინც არაფერი განსაკუთრებული უფლება იმას არა აქვს, ან თუ აქვს – ძალიან ცოტა. მის პრეროგატივას შეადგენს მხოლოდ ის, რომ თვითონ იგი არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე პოლიტიკურად, მისი გადაწყება არ შეიძლება, სანამ არ გასულა ვადა მისი თანამდებობისა, და თვითონ არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ერთი და უმაღლესი. რასაკვირველია, იმას დიდი გავლენა აქვს ყოველგან, ყოველ სახელმწიფოებრივ სფეროში, მაგრამ ყოველ მის მოქმედებაში პასუხისმგებელია არა თვითონ,

არამედ ის საშუალო ორგანო – კაბინეტი მინისტრებისა – ურომლისოდ პრეზიდენტს არ შეუძლიან არავითარ პოლიტიკურ ნაბიჯის გადადგმა და არავითარ განკარგულების გაცემა.

წინეთ ჩვენ მოკლედ აღვსუსხეთ მოქმედება აღმასრულებელ ხელისუფლებისა სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ სფეროში – კანონმდებლობაში, მმართველობაში და მსჯავრმდებლობაში. ესლა უნდა დაუმატოთ, რომ ყველა ეს მოქმედება და მოღვაწეობა ჰხდება არა მარტო პრეზიდენტის ნებისყოფით, არამედ მინისტრების თანხმობით და სოლიდარობით. აქ არის იურიდიული საფუძველი მათი პასუხისმგებლობისა. ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი, ყოველი დეკრეტი ან განკარგულება, ყოველი ადმინისტრაციული ზომა ან პოლიტიკური ნაბიჯი, ჯერ განხილულ უნდა იყოს მინისტრების კაბინეტში, ჯერ იქ უნდა იყოს მიღებული საჭირო დირექტივები, ჯერ იქ უნდა მოხდეს შეთანხმება თვითონ მინისტრებისა, – და შემდეგ, მათი განსაზოცრელებლად და ცხოვრებაში გასატარებლად, საჭიროა სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის დასტური. ყველა ეს აქტი ჰხდება ხოლმე პრეზიდენტის მიერ ნაბრძანები დეკრეტის ან განკარგულების სახით, მაგრამ ყველა ეს დეკრეტი ან განკარგულება უნდა იყოს ხელმოწერილი აგრედევ სათანადო მინისტრის მიერ.

დამახასიათებელი ნიშანი კაბინეტისა არის სოლიდარობა მინისტრებს შორის. კაბინეტის შესადგენად პრეზიდენტი რესპუბლიკისა ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ძალთა განწყობილებას პარლამენტში და ამისდა მიხედვით მოიწვიოს ერთი პირი და მას დაავალოს კაბინეტის შედგენა. ეს პირი, რომელსაც ეწოდება პირველი მინისტრი, პრემიერ-მინისტრი ან მინისტრი–თავმჯდომარე მოელაპარაკება სხვა სამინისტრო პირებს, შეუთანხმდება იმათ პოლიტიკურ პროგრამის შესახებ, დაურიგებს მათ პორთფელებს და სათანადო სიას წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც დეკრეტის სახით გამოაქვეყნებს ახალ კაბინეტის შემადგენლობას.

საზოგადოდ ყველა პარლამენტარულ ქვეყნებში მინისტრებს ირჩევენ ხოლმე პარლამენტის წევრთა შორის; მინისტრი ვალდებულია ახლო კავშირი იქონიოს კანონმდებელ ორგანოსთან, წარადგინოს იქ კანონპროექტები, მისცეს სხვა და სხვა განმარტება, პასუხი აგოს შესახებ თავის მოქმედებისა და სხვა. ამისთანა პირობებში აუცილებელია, რომ მინისტრი იყოს იმავე დროს პარლამენტის წევრიც. ამას ის მნიშვნელოვან

აქვს, რომ მინისტრს, თუ იგი პარლამენტის წევრია, ყოველთვის ეყოლება თავის მომხრე და თანამოაზრე, რაც მეტს სიმტკიცეს და შეურყეველობას მისცემს ხოლმე კაბინეტის მდგომარეობას. ამკარაა, თუ კაბინეტს უმრავლესობა არა ჰყავს პარლამენტში, იგი ერთ დღესაც ვერ იცოცხლებს – უნდა გადადგეს.

აგრე შემდგარი კაბინეტი მინისტრებისა შეუდგება მუშაობას. ის იძულებულია აწარმოვოს ის პოლიტიკა, რომელსაც იზიარებს საზოგადოებრივი აზრი და განსაკუთრებით პარლამენტის უმრავლესობა. პარლამენტს შეიძლება არ მოეწონოს ან კერძო აქტი მთავრობისა, ან მთელი მიმართულება მისი პოლიტიკისა. ორივე შემთხვევაში შეიძლება დადგეს **კრიზისი** სამინისტროსი. თუ რაიმე საკითხის განხილვის დროს გამოირკვა, რომ პარლამენტი არ იზიარებს სამინისტროს შეხედულებას, ან უარსჰყოფს მის წინადადებას, ან პირდაპირ უნდობლობას გამოუცხადებს, – კაბინეტი უნდა გადადგეს: უნდა გადადგნენ ყველა მინისტრები, და არა მარტო ის, რომლის მოქმედებას შეეხებოდა სადავო საკითხი. ეს შედეგია მინისტრების სოლიდარობისა. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა გადადგება მხოლოდ ერთი მინისტრი, თუ სადავო საკითხს ჰქონდა განსაკუთრებული ხასიათი და თავის შინაარსით შეეხებოდა მხოლოდ ერთ მინისტრს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხასიათისაა სადავო საკითხი: თუ სხვადასხვაა ნებისყოფა კაბინეტის და პარლამენტისა, აუცილებელი ჰქნება კონფლიქტი და კაბინეტი უნდა გადადგეს, თუ ეს სხვადასხვაობა არ არის, მაშინ შეიძლება კონფლიქტი არ გამწვავდეს და საქმე მოგვარდეს ერთი მინისტრის გადადგომით.

ყველა ამისთანა შემთხვევებში პრეზიდენტი რესპუბლიკისა პირდაპირ არ არის გარეული საქმეში. იგი მაღლა უნდა იდგეს ამ კონფლიქტზე და უფრო სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით აწონ-დაწონოს მდგომარეობა. უფრო ნშირად იგი ემორჩილება პარლამენტის-მიერ გამოთქმულ სურვილს და ახალ კაბინეტის შექმნის დროს ხელმძღვანელობს ამ სურვილითა: მიიწვევს ახალ პრემიერს და მიანდობს მას ახალ კაბინეტის შედგენას.

5. პასუხისმგებლობა მინისტრებისა

მინისტრებს აქვთ ორნაირი უფლება, აწევთ ორნაირი ვალდებულება და ამიტომ მათი პასუხისმგებლობაც ორნაირია. ერთი არის ადმინისტრაციული, მეორე – კონსტიტუციური.

მინისტრი – მოხელეა, თუმცა უჭირავს უმაღლესი ადმინისტრაციული ადგილი. ამიტომ ის პასუხისმგებელია, როგორც ყოველი მოხელე, თუ თავის უკანონო მოქმედებით ან განკარგულებით ვისმე მიაყენა ზიანი. ეს არის სამოქალაქო პასუხისმგებლობა; ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა სასამართლოს წესით მოითხოვოს ანაზღაურება მიყენებულ ზიანისა.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა მეორე საკითხი: პასუხისმგებლობა კონსტიტუციური.

აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს რამოდენიმე განყოფილება; თითოეულ განყოფილების სათავეში უნდა იდგეს ერთი პასუხისმგებელი პირი – ან მინისტრი. ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს რიგიანად და მიზანშეწონილად არც ძალიან გადიდება მინისტრების რიცხვისა, არც მისი ძალიან შემცირება. უმთავრესი საფუძველი მინისტრების რაოდენობისა უნდა იყოს პოლიტიკური მომენტი, რადგანაც ამაზეა დამყარებული მათი კონსტიტუციური პასუხისმგებლობა. ამიტომ ის განყოფილება აღმასრულებელ ხელისუფლებისა, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური ხასიათი ან არ იძლევა დიდ გასაქანს პოლიტიკურ მოღვაწეობათათვის, არ უნდა იყოს გამოყოფილი ცალკე სამინისტროდ. ასეთია, მაგალითად რკინის გზის უწყება, სასანიტარო, სასურსათო და სხვა. მართალია, ხანდახან სახელმწიფოს ცხოვრებაში დგება ისეთი საჭიროება, რომ მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და მის გადასალახავად უნდა მოეწიფოს განსაკუთრებული ღონისძიება, – მაშინ შეიძლება შედგეს ცალკე სამინისტროც, მაგრამ სახელმწიფოს ჩვეულებრივ პირობებში ასეთი სამინისტროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებით პოლიტიკურ მნიშვნელობის სამინისტრონი არიან: 1. საგარეო საქმეთა, 2. შინაგან საქმეთა, 3. სამხედრო, 4. ფინანსებისა, 5, სამართლისა, 6. ვაჭრობა-მრეწველობისა და 7. სახალხო განათლებისა. ეს რიცხვი ზოგან უფრო მეტია, მაგრამ ნაკლები არსად არ არის. საფრანგეთში 12 სამინისტროა, ინგლისში – 15, ერთხელ 19-იც იყო. ეს იმის ნიშანია, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს რომელიმე დარგის ცალკე გამოყოფას, მაგ., სამინისტრო რკინის გზების და ფოსტატელეგრაფის, შრომის და სხვა. შვეიცარიის კანტონებში თითქმის ყველგან შვიდი სამინისტროა (ბერნში – 9). ყველა მინისტრი წევრია კაბინეტისა. ყველა უმთავრესი საკითხი და საზოგადო მიმართულება პოლიტიკისა ირკვევა და ჰწყდება კაბინეტის საერთო სხდომაზე, პირველი მინისტრის თავმჯდომარეობით. შემდეგ თითოეული მინისტრი თავის მოქმედებაში თავი-

სუფალია, თუმცა ვალდებულია თავის ინიციატივა და მუშაობა შეუთანხმოს კაბინეტის კრებაზე მიღებულ ღირებულებებს. აქედანვე სჩანს, რომ თითოეულ მინისტრს აქვს ღონისძიება, როგორც კაბინეტის წევრს, იქონიოს თავის გავლენა ყოველ კითხვის გადაჭრაში, როცა იგი ირჩევა კაბინეტის სხდომაზე. აქ არის საფუძველი ყველა მინისტრების სოლიდარულ პასუხისმგებლობისა.

თუ პარლამენტი შეამჩნევს, რომ საზოგადო პოლიტიკის მიმართულება არ არის მისაღები, ან რომელიმე საკითხი ისე არ ჰქმედება და არ მიდის, როგორც ეს სასურველია და სასარგებლო სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით, მაშინ ისმება შეკითხვა აღმასრულებელ ხელისუფლების მიმართ, იწყება დავა პარლამენტში, მინისტრი-თავმჯდომარე ან ის მინისტრი, რომელსაც შეკითხვა განსაკუთრებით შეეხება, იძლევა განმარტებას და იცავს თავის პოლიტიკას და მოქმედებას. თუ ეს განმარტება მოწონებულ არ იქნა პარლამენტის უმრავლესობის მიერ, მთელი კაბინეტი უნდა გადადგეს. სულერთია – ვის მიუძღვის ბრალი – მართო ერთ მინისტრს, თუ მთელ კაბინეტს. ეს არის პასუხისმგებლობა პარლამენტარული ან კონსტიტუციური.

მეორე პასუხისმგებლობა არის სისხლის სამართლისა. ეს შეეხება საზოგადოდ ბოროტმოქმედებას და განსაკუთრებით კონსტიტუციის დარღვევას. აქ არ არის ის აუცილებელი სოლიდარობა მინისტრთა შორის, რომელზედაც ზემო ვლასპარაკობდით. პარლამენტარულად ყველა მინისტრი პასუხისმგებელია აღმასრულებელ ხელისუფლების მოქმედებაში, სულ ერთია – დაესწრო ეს თუ ის მინისტრი კაბინეტის სხდომაზე თუ არა, და მიიღო თუ არა მონაწილეობა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელმაც გამოიწვია სამინისტროს კრიზისი. რაც შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, აქ უსათუოდ საჭიროა მონაწილეობა მინისტრისა. თუ მან არ იცოდა, რა ბოროტმოქმედება მზადდებოდა, ან თუ არ მიუღია მონაწილეობა კონსტიტუციის დარღვევაში, ის პასუხს არ აგებს სისხლის სამართლის წესით. წესი თვით გასამართლებისა სხვა და სხვაა სხვა და სხვა ქვეყნებში. ზოგან ადგენენ განსაკუთრებულ სასამართლოს, ზოგან ჩვეულებრივი სასამართლოც საკმარისია.

საჭიროა დაუმატოთ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან არ არის თავისუფალი არც პრეზიდენტი რესპუბლიკისა. სახელმწიფო ღალატი, მექრთამეობა და სხვა ამისთანა ბოროტმოქმედება საკმარისი სა-

ფუძველია იმისთვის, რომ შეიქმნას განსაკუთრებული სამსჯავრო და პასუხისგებაში იქნეს მიცემული მოღალატე თუ უღირსი მეთაური სახელმწიფოსი.

6. საზღვარი აღმასრულებელი ხელისუფლებისა

არის თეორია, რომელიც ცდილობს გაატაროს ხაზი ფორმალურ და მატერიალურ კანონთა შუა. მართალია, არის გარევა ამ ორ მოვლენათა შორის, თუმცა მათ შორის ხაზის გატარება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ჩვენთვის კი, როცა ვლაპარაკობთ აღმასრულებელ ხელისუფლების საზღვარზე, სრულებით საკმარისია შემეცნება მხილოდ ფორმალური კანონისა. ჩვენ ვიცით, რომ ეროვნულ ნების გამომხატველი არის პარლამენტი, მაშასადამე ყოველი დადგენილება პარლამენტისა, რა შინაარსისაც არ იყოს იგი, არის კანონი ე.ი. ბრძანება ყველასათვის სავალდებულო. შეიძლება თავისი შინაარსით ეს ბრძანება არ იყოს რაიმე უფლებრივი ნორმა, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც სავალდებულოა, როგორც კერძო პირთათვის, ისე ყოველ დაწესებულებათათვის. ამიტომ ყოველი დადგენილება, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ და კანონისამებრ გამოქვეყნებული, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ არის კანონი.

ამ განმარტების შემდეგ ადვილია პასუხიც: საზღვარი აღმასრულებელ ხელისუფლებისა არის კანონი.

ამიტომ აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლიან მოქმედება მხოლოდ კანონის ფარგლებში. იმას არ შეუძლიან არც გამოცემა, არც გაუქმება, არც განმარტება კანონისა. მაგრამ შეუძლიან და ვალდებულიც არის შეიმუშავოს წესი და გამოსცეს ბრძანება კანონის ასასრულებლად და ცხოვრებაში გასატარებლად. იმას შეუძლიან დაწესებულებათა მოწყობა კანონისამებრ, მოხელეთა დანიშვნა, მოწყობა ჯარისა, საერთაშორისო მოლაპარაკება, წესრიგის დაცვა და სხვა; მისი მოქმედება ვრცელია და ამოუწურავი, მაგრამ ყველა ეს მოქმედება არ უნდა გადიოდეს იმ საზღვარს, რომელიც დანიშნულია კანონით. აქ იგულისხმება თავდაპირველად საკონსტიტუციო დებულებანი, როგორც ძირითადი უფლებრივი პრინციპები, და შემდეგ ყოველი დადგენილება კანონმდებელ ორგანოსი. მაშასადამე, აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ შეეხება: ა) ისეთ ნორმებს, რომლებსაც აქვთ უფლებრივი შინაარსი; ბ) ვერ შემოიღებს ვერავითარ გადასახადს; გ)

ვერ შეზღუდავს სამოქალაქო თავისუფლებას. ამიტომ ისეთი განკარგულება ან დეკრუტი მთავრობისა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს – უკანონოა. იგი შეიძლება განსაჩივრებულ იქმნას და უარყოფილი სასამართლო წესით.

საზოგადოდ სივრცე აღმასრულებელ ხელისუფლების მოქმედებისა და მოკიდებულია იმ ნდობაზე, რომლით არის აღჭურვილი მთავრობა. თუ ეს ნდობა არ არის დიდი, მაშინ პარლამენტი სხვა და სხვა კანონების სახით ჰკცილობს შეზღუდოს სივრცე აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებისა. მაგრამ ეს გზა არ არის ყოველთვის საიმედო. მეტიმეტი შეზღუდავა არ არის სასარგებლო: ამით მთავრობას ეცლება ენერჯია და ინიციატივა, ამით მცირდება აგრედვე მისი პასუხისმგებლობა. სახელმწიფო ინტერესებისათვის უფრო სასურველია, რომ მთავრობას ჰქონდეს მეტი თავისუფლება მოქმედებისა და მეტი პასუხისმგებლობაც.

იბადება კიდევ ერთი კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს მთავრობა მაშინ, როცა თვით ცხოვრება ჰთხოვლობს განსაკუთრებულ ზომებს? მაგალითად, როცა არის ომი ან აჯანყება? რასაკვირველია, თავდაპირველად სახელმწიფო ინტერესის დაცვა არის უადრესი კანონი. ამიტომ, თუ ეს ინტერესი მოითხოვს, მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს მოქმედება ჩვეულებრივი კანონისა და შეზღუდოს კიდევ სამოქალაქო თავისუფლება. მაგრამ ეს პრინციპი კი არ არის, ეს მხოლოდ გამონაკლისია; ამიტომ ეს გამონაკლისიც უნდა ჰხდებოდეს კანონიერ ფარგლებში. მთავრობას უფლება ეძლევა გამოაცხადოს სამხედრო ან სააღყო წესები, მაგრამ მხოლოდ შემდეგი პირობით: ა) უნდა იყოს ობიექტური აუცილებლობა ამ გამოცხადებისა და ბ) დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს ეს აქტი პარლამენტს მისი დასტურის მისაღებად. მთავრობას უფლება აქვს გამოაცხადოს სამხედრო თუ სააღყო წესები, მაგრამ დიდა მისი პასუხისმგებლობაც: თუ შემდეგ, პარლამენტში მსჯელობის დროს, აღმოჩნდა, რომ ობიექტიური პირობები სულ არ მოითხოვდნენ ასეთ შევიწროებას სამოქალაქო თავისუფლებისას, მთავრობაც მიიღებს შესაფერ პასუხს პარლამენტისგან.

ამნიარად საზღვარი აღმასრულებელ ხელისუფლებისა არის საზოგადოდ არსებული კანონმდებლობა, მაგრამ ზოგჯერ ამ საზღვრის გადალახვაც შესაძლებელია, თუ ამას მოითხოვს უკიდურესი სახელმწიფოებრივი საჭიროება ან საზოგადო ინტერესი.

ნაწილი მეოთხე მსჯავრმდებელი ხელისუფლება

1. უფლებრივი საფუძველი

ცხოვრების საჭიროების მრავალფეროვნება ვერ ამოიწურება კანონმდებლობით და მმართველობით. კიდევ არის ფრიად ვრცელი არე **დავის და უთანხმოებისა**.

თავდაპირველად, კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში, ალბად ყველგან მეფობდა ძალა. ყოველი დავა ჰყვებოდა ძალმომრეობით. დრო მიდიოდა, აუარებელი მაგალითი აშკარად ამტკიცებდა, რომ ჩხუბი და ღონე არ არის ნამდვილი და სამართლიანი იარაღი დავისა და უთანხმოების გადასაწყვეტად. ბოლოს თანდათან კაცობრიობა მოვიდა იმ დასკვნამდე, რომ უკეთესი იქნება ორივე მოდავე მხარისათვის გამოსცვალოს ფიზიკური შეტაკება სიტყვიერი შეტაკებით, სისხლიანი ბრძოლა – უსისხლო ბრძოლით. ამისათვის გახდა საჭირო საქმეში ჩარევა მესამე პირისა, ისეთი პირისა, რომელიც არ არის მოჩხუბარი, არ არის დაინტერესებული სადავო საკითხით; ის მხოლოდ მეთვალყურეა, ამწონ-დამწონი და გადამწყვეტი დავისა. აგრე დაიბადა ალბად პირველი მსაჯული. აქ უკვე არის ერთნაირი ხელშეკრულება: „ეს სადავო საკითხი შენ გგონია შენი, მე გგონია – ჩემი; დავის გადასაწყვეტად ჩვენ უნდა შევეტაკოთ ერთმანეთს, დავუმტვრიოთ ერთმანეთს ცხვირ-პირი; მოდი, ავირჩიოთ მესამე პირი, დაუგდოს იმან ყური ჩვენს დავას და მერე გადაწყვიტოს, თუ ვის ეკუთვნის სადავო საგანი“.

ახლა ეს სოციალური შეთანხმება აშკარაა, ხელშეკრულება არის კანონმდებლობა; პირდაპირ აღკრძალულია ჩხუბით და ძალმომრეობით სადავო საკითხის გადაწყვეტა, პირდაპირ სავალდებულოა ყოველი დავის გადატანა იმ დაწესებულებაში, სადაც ფიზიკური შეტაკების ადგილი დაიჭირა სიტყვიერმა შეტაკებამ, სადაც უნდა გამოირკვეს უფლებრივი მომენტები და უსისხლოდ გადაწყდეს სადავო საკითხი. ეს დაწესებულება არის **სასამართლო**.

რითი უნდა ხელმძღვანელობდეს სასამართლო სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს? მის წინ იმართება დავა, თითოეულ მხარეს მოჰყავს სხვა და სხვა საბუთები და მოსაზრება თავის უფლების დასამტკიცებლად. მსაჯულმა უნდა ასწონ-დასწონოს ეს საბუთები და მოსაზრებანი. რა სასწო-

რით? აქ წესი ამ მოქმედების საზოგადოდ განსაზღვრულია თვითონ კანონით (პროცესუალური უფლება), განსაზღვრულია აგრეთვე ის ობიექტური ღირებულება, რომელიც დაცული უნდა იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მატერიალური უფლება), ერთი სიტყვით, არის უფლებრივი ნორმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ და რომლის შეცვლა ან გადასხვაფერება იმას არ შეუძლიან, მაგრამ სულ ეს კიდევ არ არის საკმარისი. კანონი, ჩვენ ვიცით, არის გამომხატველი ეროვნულ ნებისყოფისა, მისი უფლებრივი შეგნებისა. მაგრამ შეგნება, როგორც ფსიქოლოგიური სინამდვილე, და ნებისყოფა, როგორც მუდმივი ტენდენცია სიკეთისაკენ, ორივე – ცოცხალი ძალაა; მათი გამოხატულება კი – კანონი ყოველთვის ერთი და იგივეა – უსიცოცხლო და გაცივებული. მეორე მხრივ, სადავო საქმე, რომელიც ირჩევა სასამართლოში, ყოველთვის ერის ცოცხალი ორგანიზმიდან არის ამონაფეტიქი. იქ შეკვანძულ ინტერესებს უხილავი გაბმული ძაფები აქვთ გულთან და გონებასთან, მათი უხეშად გადაჭრა ყოველთვის იწვევს ტკივილსა და მწუხარებას. მაგრამ თუ საქმე გადაჭრილი იქნება თანახმად საზოგადოებრივ უფლებრივ შეგნებისა, მაშინ ტკივილი და მწუხარება ან სულ არ არის, ან ძალიან ნაკლებია, ვინაიდან ყველა ჰგონობს *სამართალს* და მის იღუმალ ძალას. მაშ, სამართალი ყოფილა უადრესი ძალა. საქმის გადაჭრა შეიძლება შევადაროთ ხისა გადაჭრას: ორივე ცოცხალი მოვლენაა. ხე არ გახმება, თუ ის რიგიანად გადაჭრილია. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელადა“ – აი საოცარი ფსიქოლოგიური ჭეშმარიტება.

მაგრამ რა არის სამართალი? უკვე ზემოთ ვსთქვით, რომ სამართალია ისეთი გადაწყვეტა სადავო საკითხისა, რომელიც ეთანხმება საზოგადოების უფლებრივ შეგნებას? სად უნდა ვეძიოთ იგი? – იგი არის და უნდა ვეძიოთ ორ ადგილას: ერთია კანონმდებლობა – ის უფლებრივი ნორმები, სადაც გამოხატულია ეროვნული ნებისყოფა და შეგნება, მეორეა – თვითონ ერი, თვითონ საზოგადოება – უშუალო მატარებელი უფლებრივ შეგნების. პირველი ადგილი მოსაძებნია – უნდა გადავშალოთ და შევისწავლოთ ეს კანონები. მეორე? მეორეს კი უნდა ხელოვნურად მოწყობა.

ჩვენ დავინახეთ, რომ ერს ეკუთვნის სუვერენობა, მაგრამ კანონმდებლობისათვის საჭიროდ დავინახეთ პარლამენტი – ხელოვნური ორგანიზაცია ეროვნულ ნებისყოფისა. აქაც აგრეა. სამართლისათვის საჭირო აღმოჩნდა არა მარტო კანონები, არამედ უფლებრივი შეგნებაც საზოგადოები-

სა. ამისთვის საჭიროა ამ საზოგადოებიდან ამორჩევა რამოდენიმე პირისა, რომლებსაც უნდა მიენდოს გადაწყვეტა ზოგიერთ საკითხისა. ამისდა მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ სასამართლო არის ხელოვნური ორგანიზაცია საზოგადოების უფლებრივი შეგნებისა.

ეს უფლებრივი შეგნება, რასაკვირველია, არ არის ყოველთვის ერთი და იგივე, იგი იზრდება და ვითარდება და მხოლოდ მაშინ, როცა ეს ზრდა და განვითარება საკმაოდ მომწიფებულია, იგი გადადის დადებით კანონმდებლობაში და ჰზდება სავალდებულო, როგორც იმპერატივი ეროვნულ ნებისყოფისა. ამიტომ კანონმდებლობა თითქმის ყოველთვის, ცოტათი მაინც, უკან ჰრჩება, უფლებრივი შეგნება ცოტათი მაინც, ყოველთვის წინ მიდის. შეგნების მატარებელი ადამიანი და იგი თავისთვის ყოველთვის მოითხოვს რაც შეიძლება, მეტ თავისუფლებას. ამიტომ **სამართალი** არის მაქსიმუმი თავისუფლებისა, მისაღები და დასაშვებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. ფუნქცია მსჯავრმდებელი ხელისუფლებისა

მსჯავრმდებელ ხელისუფლებას აქვს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია: მართლმსაჯულება.

კანონი – უფლებრივი ნორმებია, იმას იმუშავებს კანონმდებელი ორგანო – პარლამენტი. მსჯავრმდებელი ხელისუფლება კი სწყვეტს კერძო დავას ამ ნორმების მიხედვით. იმას უფლება არა აქვს შექმნას რაიმე ახალი ნორმა, იგი ვალდებულია იხელმძღვანელოს იმ ნორმით, რომელიც მიღებულია, როგორც კანონი. ხშირად ასეთი გადაწყვეტილებაც იწვევს დავას და უკმაყოფილებას, ხშირად კანონის აზრი ბუნდოვანია ან კარგად გამორკვეული არ არის. ამისთანა შემთხვევისათვის უმაღლეს მსჯავრმდებელ დაწესებულებას – სენატს – ეძლევა უფლება კანონის ახსნის და განმარტებისა. ეს ახსნა და განმარტება (ინტერპრეტაცია) მაინც არ არის კანონმდებლობა; პირიქით, იგი უნდა ეთანხმებოდეს საზოგადოდ მოქმედ კანონმდებლობას, მისი მიზანია – სისწორით გამორკვევა იმ ნებისყოფისა, რომელიც ჩასახულია ყოველ უფლებრივ ნორმაში. ამიტომ ახსნას და განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა, იგი ხშირად ჰზდება სახელმძღვანელოდ ერთ და იმავე გვარის შემთხვევისათვის, იმას შეაქვს მთლიანობა უფლე-

ბრივ შესხედულებაში, მაგრამ ყოველთვის ჰრჩება მხოლოდ მართლ-მსაჯულების არეში.

მსჯავრმდებელი ხელისუფლება ჩუმი (პოტენციალური) ძალაა: იგი ჰმოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ვინმე ამას მოითხოვს. როგორც არ უნდა იყოს კანონის დარღვევა, მსჯავრმდებელი ხელისუფლება იმასში არ ჩაერევა, თუ ვინმე, კერძო პირი ან სახელმწიფოებრივი ორგანო, არ მოითხოვს ამ ჩარევას. საჭიროა ყოველთვის გარეგანი ინიციატივა, რომ ამოძრავდეს მართლმსაჯულება. ამით განირჩევა ეს ხელისუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებისაგან, რომელიც მუდამ მოქმედია და თაოსანი.

ამიტომ ფუნქცია მსჯავრმდებელი ხელისუფლებისა არის მსჯავრის დადება ყოველნაირ უფლების დარღვევის შესახებ და აღდგენა ამ უფლებებისა, ან მართლმსაჯულება.

3. პრინციპები მართლმსაჯულებისა

მართლმსაჯულების მიზანია უფლებრივი წესრიგის დამყარება და განმტკიცება. მართლმსაჯულება უნდა ეთანხმებოდეს საზოგადოების უფლებრივ შეგნებას. ეს შეგნება იხატება ერთის მხრივ კანონმდებლობაში, მეორე მხრივ – თვითონ მსაჯული მატარებელია ამ შეგნებისა. აქედან გამომდინარეობს აუცილებელი დასკვნა: მსაჯულმა უნდა იცოდეს არსებული კანონები და მისი სინდისი უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. იგი არჩევს სადავო საკითხს არსებულ კანონის მიხედვით და სწყვეტს – სინდისის ქვეშ. აქ ყოველი გარეშე ზეგავლენა ყოვლად მიუღებელია.

ამისდა მიხედვით საჭიროა შესაფერი ორგანიზაცია არჩევნებისა. იგი იყოფა ორ ნაწილად, ვინაიდან არის ორ ნაირი დარგი უფლებრივ მოვლენისა. ერთია – მცირე საქმეები, პატარ-პატარა ინტერესები, რომლებიც არ გამოსულან ჯერ კიდევ ადგილობრივ ზნე-ჩვეულების და ფსიქოლოგიის ბურუსიდან. ამისთანა საქმეების გასარჩევად უფრო საჭიროა ადგილობრივი ადათების და ხასიათის ცოდნა, ვიდრე წმინდად იურიდიული განათლება. მეორე დარგის მოვლენა უფრო იურიდიულია, მკაფიო და ჩამოყალიბებული. აქ საჭიროა ცოდნა უფლებისა და შესაფერისი მომზადება. ამ ობიექტური პირობების მიხედვით მართლმსაჯულებაც იყოფა ორ ნაწილად – ადგილობრივი და სასამართლოს დაწესებულებანი. ადგილობრივ მოსამარ-

თლეთა არჩევნები ამიტომ შეიძლება მიენდოს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს, ხოლო მეორე მსაჯულთა არჩევნები – მსაჯულთავე კოლეგიას, რადგანაც აქ საჭიროა დაფასება, გარდა სხვა პიროვნულ ღირსებისა, აგრედვე შესაფერი ცოდნის და მომზადებისა. ამისთანა შემთავსებელი თვითონ უნდა იყოს მცოდნე და გამოცდილი პირი. ასეთი კოლეგია საზოგადო კრება ოლქის სასამართლოს წევრებისა, პალატის წევრებისა და სენატისა. ასეთ კოლეგიებს უნდა მიენდოს, როგორც არჩევნები ახალ მოსამართლისა, აგრედვე მათი წარჩინება სამსახურში.

ამგვარად არჩეული იქნება შესაფერი პირები. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საჭიროა მართლმსაჯულებისათვის არა მარტო შესაფერი ცოდნა და გამოცდილება, საჭიროა კიდევ ისეთი პირობები მათი მუშაობისა, რომ ეს მუშაობა ჰწარმოებდეს თავისუფლად, დამოუკიდებელ სინდისის ქვეშ. ამიტომ: მთელი მსჯავრმდებელი ხელისუფლება უნდა იყოს *გამოყოფილი* დანარჩენ სახელმწიფოებრივ ფუნქციებიდან, საზოგადოდ, და განსაკუთრებით მსაჯული – *შეუცვლელი*. ერთხელ ამორჩეულ მსაჯულის შეცვლა ან გადაყენება შეუძლებელია; შეუძლებელია აგრედვე მისი გადაყვანა ერთ ადგილიდან მეორეზე, თუ მისი თანხმობა არ იქნება. ამისთანა პირობებში მსაჯულს მართლა არ ექნება არავის შიში და მიუდგომელად, კანონის მიხედვით და სინდისის ქვეშ, გადაჭრის ყოველ სადავო საკითხს.

მართლმსაჯულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მსაჯულის მდგომარეობას; არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ორგანიზაცია თვითონ სასამართლოსი. ყოველი მსაჯული შეიძლება შეცდეს ან ვერ მოახერხოს ყოველმხრივი გაშუქება საქმისა. ამიტომ ყველგან მიღებულია ორჯერ განხილვა საქმესი არსებითად, ან ორი ინსტანცია სასამართლოსი. მაგრამ არსებითად ორჯერ განხილული საქმე ხშირად იწვევს დავას და უკმაყოფილებას ფორმალურად.

საქმე იმაშია, რომ ყოველ მოსამართლეს აქვს ორნაირი საზომი: ობიექტივურად – კანონი, და სუბიექტივურად – სინდისი. ხშირად ეს ორი საზომი ერთმანეთს ეთანხმება, ზოგჯერ კი სჭარბობს სუბიექტიური შეხედულება და არღვევს ობიექტივურ ნორმებს. ამ შემთხვევისთვის არის მესამე ინსტანცია – საკასაციო. უპირატესობა ყოველთვის ეძლევა კანონს და თუ საკასაციო ინსტანციამ – სენატმა სასამართლოს დადგენილებაში დაინახა კანონის დარღვევა ფორმალურად, იგი ჰცვლის ამ დადგენილებას და მოითხოვს სასამართლოსაგან ხელმეორედ განხილვას.

ასეთია საზოგადო წესი, მაგრამ ყოველთვის კი არა. არის ზოგი მოვლენა, განსაკუთრებით სისხლის სამართლისა, სადაც სინდისს, თავისუფალ ხმას უფლებრივ შეგნებისას, ენიჭება უპირატესობა კანონის უძრავ ნორმებთან შედარებით. ამისთვის ჩვეულებრივ მოსამართლეს ემატება კიდევ, როგორც მსაჯული, რამოდენიმე პირი, როგორც წარმომადგენელი საზოგადოებისა. ეს არის სასამართლო ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით. აქ აშკარად ჰხდება ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „ხელოვნური ორგანიზაცია საზოგადოების უფლებრივი შეგნებისა“. აქ ეს მსაჯულები თვალყურს ადევნებენ დაწვრილებით საქმის გამოკვლევას, ჩაუკვირდებიან ყველაფერს, დაუახლოვებენ მომხდარ საქმეს თავის უფლებრივ შეგნებას და სინდისის ქვეშ უნდა სთქვან: ა) მომხდარა თუ არა დანაშაული ან ბოროტმოქმედება და ბ) ედება თუ არა ბრალი იმაში ბრალდებულს? თუ რომელიმე ამ კითხვაზე ნაფიც-მსაჯულები იტყვიან „არაო“, სასამართლომ ბრალდებული უნდა გაამართლოს, თუნდაც რომ ფორმალურად დამტკიცებული იყოს მისი დანაშაული. აქ პრინციპიალურად მიუღებელია მეორედ განხილვა საქმის, შესაძლებელია მხოლოდ ფორმალური საჩივარი საკასაციო წესით.

ამნიარად უმთავრესი პრინციპები, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული მართლმსაჯულება, არის: ა) დამოუკიდებლობა სასამართლოსი; ბ) შეუცვლელია მოსამართლესი; გ) ორჯერ განხილვა საქმეების არსებითად და ერთი საკასაციო ინსტანცია და დ) ყველასათვის ერთ და იგივე წესი მართლმსაჯულებისა.

4. კონტროლი მსჯავრდებელი ხელისუფლებისა

სამივე ხელისუფლებანი – კანონმდებელი, აღმასრულებელი და მსჯავრდებელი – როგორც განსაკუთრებული ფუნქციები სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა, უნდა იყვნენ გამოყოფილნი ერთი მეორისაგან და რამდენადაც შეიძლება დამოუკიდებელნი. ეს პრინციპი ცოტად თუ ბევრად ყველგან გატარებულია. მაგრამ იმავე დროს ჩვენ დავინახეთ, სრული მექანიკური გატარებაც ამ პრინციპისა შეუძლებელია. პირიქით, აუცილებელია მათი კოორდინაცია და სოლიდარობა.

მსჯავრდებელ ხელისუფლებასაც აქვს თავისი ზეგავლენა და მნიშვნელობა, როგორც მთავრობის მოღვაწეობაში, ისე კანონმდებლობაში.

მოავრობა ამა თუ იმ განკარგულებით ან მოქმედებით შეიძლება გადაცდეს კანონით დადებულ საზღვარს და რაიმე, მატერიალური ან ზნეობრივი ზიანი მიაყენოს მოქალაქეს ან რომელიმე დაწესებულებას. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება ეძლევა სასამართლოს წესით აღადგინოს თავისი შელახული უფლება და აინაზღაუროს ზარალი. სასამართლოს უფლება აქვს იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს დაინტერესებული ან ზიან-მიყენებული პირი, გაარჩიოს საქმე, განიხილოს განკარგულება ან მოქმედება აღმასრულებელი ხელისუფლებისა, და თუ დაინახა, რომ იგი მოკლებულია კანონიერ საფუძველს, სცნოს იგი უკანონოდ და მისცეს დაკმაყოფილება მომჩივანს. მართალია, სასამართლოს ასეთ დადგენილებას არა აქვს საზოგადო ხასიათი, იგი შეეხება მხოლოდ ერთს საჩივარს, ერთს შემთხვევას, მაინც ეს არის დიდ მნიშვნელოვანი კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლების მოქმედებაზე. მართალია, ეს კონტროლი არ არის მუდმივი, ის გამოწვეულია მხოლოდ კერძო საჩივრით და მხოლოდ კერძო შემთხვევის შესახებ, მაინც ამისთანა უფლების გამო ყოველი მოხელე აღმასრულებელ ხელისუფლების, მინისტრიდან მოყოლებული, ყოველთვის ფრთხილად არის, ჰცდილობს კანონს შეუფარდოს თავისი მოქმედება, რადგანც იცის, რომ არის **სამართალი** და თვითნებობას არ ექნება გასაგალი.

უფრო სადავოა მეორე საკითხი: აქვს თუ არა ამგვარივე კონტროლის უფლება სასამართლოს შესახებ კანონმდებლობისა? სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით, ეს უეჭველია. ამ მხრივ რაიმე კონტროლის უფლების მიცემა სასამართლოსთვის იქნებოდა სასამართლოსი კანონზე მაღლა დაყენება ან თვითონ სასამართლოსი კანონმდებელ ორგანოდ გადაქცევა. მაგრამ არის ერთი კატეგორია კანონებისა, რომლებსაც აქვს ძირითადი მნიშვნელობა სხვა კანონებთან შედარებით. ეს არის კონსტიტუცია. თუ კონსტიტუციის შეცვლა ან გადასინჯვა არ ჰხდება ჩვეულებრივი საკანონმდებლო წესით, თუ ამისთვის კონსტიტუციაშივე დადებულია განსაკუთრებული წესი, მაშინ სასამართლოს არამც თუ აქვს უფლება, იგი ვალდებულიც არის მიაქციოს ყურადღება ახალ კანონის „კონსტიტუციურობას“ ე.ი. იმას, ეთანხმება თუ არა ახალი კანონი კონსტიტუციას. თუ ჩვეულებრივად გამოცემული კანონი არ ეთანხმება არსებითად ან ფორმალურად იმას, რაც დადგენილია კონსტიტუციაში, სასამართლოს სრული უფლება აქვს უარი-ჰყოს ამისთანა კანონი და არ იხელმძღვანე-

ლოს იმით. ეს სრულებით არ ჰნიშნავს არც ურჩობას, არც ანარქიას, როგორც ამტკიცებს რომის პროფესორი ორლანდო; პირიქით, ეს განმტკიცებაა ძირითადი კანონის – კონსტიტუციის. იტალიაში, მართალია, ორლანდოს აზრი მისაღებია, რადგანაც იქ კონსტიტუციის შეცვლა ან შესწორება ჰსწარმოებს ჩვეულებრივ საკანონმდებლო წესით, მაშასადამე, ყოველი ახალი კანონი, რომელიც არ ეთანხმება კონსტიტუციას, ჰცვლის ამ უკანასკნელს და შესწორება შეაქვს იმაში. ამ პირობებში, რასაკვირველია, ყოველი ახალი კანონი სავალდებულოა სასამართლოსათვის. მაგრამ იქ, სადაც კონსტიტუციის შესწორება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული წესით, სანამ ეს შეცვლა ან შესწორება არ მომხდარა, ყოველი მუხლი კონსტიტუციის ძალაში ჰრჩება. სასამართლო ვალდებულია დაიცვას კონსტიტუცია, როგორც ძირითადი კანონი, უარი-ჰყოს ყოველი ახალი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება მას.

ამისთანა კონტროლის უფლება აქვს სასამართლოს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენც ამას უნდა მივბაძოთ, რადგანაც ამისთანა კონტროლი არის უმთავრესი გარანტია თავისუფლებისა.

ნაწილი მეხუთე

1. კონტროლი ერისა

თუ ხელმწიფობა ეკუთვნის ერს, აშკარაა, შეუძლებელია ყოველი ხელისუფლების სავსებით გადაცემა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ორგანობისათვის. მაშინ ხელმწიფობა ერისა იქნებოდა სრულებით უშინაარსო და ერი ფაქტიურად უფლებაყარდილი. ამიტომ ყოველ დემოკრატიულ ქვეყანაში ერს უნდა ჰრჩებოდეს უფლება უმაღლესი კონტროლის და ზედამხედველობისა. უმთავრესი მომენტი ერის ნებისყოფის გამოაშკარაებისა არის საყოველთაო არჩევნები, მაგრამ ეს მომენტი ჰქმნის მხოლოდ საკანონმდებლო წარმომადგენლობას. მარტო ეს არ კმარა. საჭიროა კიდევ კონტროლი იმ მოღვაწეობის და მუშაობისა, რომელსაც აწარმოებს კანონმდებლობა. მართალია, საყოველთაო საარჩევნო უფლებით ერს შეუძლიან სულ გამოცვალოს უწინდელი შემადგენლობა პარლამენტისა და ამით გამოსთქვას თავის უკმაყოფილება მისი მოღვაწეობის მიმართ, მაგრამ ეს არჩევნები ჰხდება მხოლოდ პერიოდულად, 3–4 წლის განმავლობაში ერთხელ, და ამიტომ მიზანს ვერ აღწევს. შეიძლება კანონმდებლობამ მიიღოს ისეთი ხასიათი და მიმართულება, რომელიც ეროვნულ ნებისყოფას სულ არ შეეფერება. ამიტომ ამ ნებისყოფას უნდა მიეცეს კანონიერი გზა, რომ იქონიოს შესაფერისი ზეგავლენა საკანონმდებლო ორგანოზე. ეს გზა ორნაირია: ერთი – პეტიცია, მეორე – რეფერენდუმი.

ა) **პეტიცია** უბრალო თხოვნისაგან მით განირჩევა, რომ მისი განხილვა საკანონმდებლო ორგანოში სავალდებულოა. ეს არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. იგი შეიძლება შეეხებოდეს რაიმე საზოგადოებრივ საჭიროებას და ამიტომ შეიცავდეს ახალ უფლებებრივ ნორმას, შეიძლება აგრედვე იმას სახეში ჰქონდეს შეცვლა უკვე მიღებულ კანონისა ან რაიმე შესწორების შეტანა. საპეტაციო წინადადება შეიძლება იყოს ზოგადი ხასიათისა და მოითხოვდეს ზოგადად ახალი კანონის გამოცემას, ან შეიძლება თვითონ წარმოადგენდეს უკვე შემუშავებულ კანონპროექტს. საჭიროა მხოლოდ, რომ იგი იყოს ხელმოწერილი მოქალაქეთა განსაზღვრულ რიცხვის მიერ. ეს რიცხვი არ უნდა იყოს არც ძალიან დიდი, არც ძალიან პატარა, მაგრამ უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ ითქვას, რომ მოძრაობა თვალსაჩინოა და უნდა მიექცეს ყურადღება.

შვეიცარიის კანტონებში ეს რიცხვი უდრის 5–6 ათასს, მთლად შვეიცარიაში (კონფედერაციაში) – 50 ათასს. ამისდა მიხედვით, საქართველოსთვის საკმარისი იქნება 25 ათასი. ამნაირად პეტიცია, ხელმოწერილი ამოდენა მოქალაქეთა მიერ, უნდა შემოტანილ იქმნას პარლამენტში. თუ პარლამენტი იზიარებს პეტიციის შინაარსს, უნდა შეიმუშაოს შესაფერი კანონპროექტი და წარუდგინოს ხალხს საყოველთაოდ კენჭის საყრელად. თუ ხალხმა მოიწონა, იგი ჰხდება კანონი, თუ არა-და – წინადადება უარყოფილია. ამნაირად ხალხს ეძლევა უფლება გამოსთქვას თავის სურვილი და გაატაროს იგი კანონის სახით.

ბ) **რეფერენდუმი** არის მართლა პირდაპირი კონტროლი ერისა შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა: მიღებული კანონი უნდა გადაეცეს ხალხს კენჭის საყრელად და უკანასკნელი დასტურის მისაცემად. მაგრამ როდის უნდა მოხდეს ეს და რომელი კანონი უნდა გადაეცეს ხალხს? რასაკვირველია, ყოველი კანონის სარეფერენდუმოდ გადატანა შეუძლებელია: მაშინ მთელი კანონმდებლობაც ხალხის ხელში იქნებოდა და პარლამენტი თავისთავად გაუქმდებოდა. არა, ეს პრინციპი არ შეეხება ყოველ კანონს, არამედ მხოლოდ ზოგიერთს. ეს „ზოგიერთი“ აღნიშნული უნდა იყოს კონსტიტუციაში. ჩვეულებრივად ეს არის თვითონ კონსტიტუციის გადასინჯვა, მისი შეცვლა ან შესწორების შეტანა მასში. ყველაფერი ეს ჰხდება არა ჩვეულებრივი კანონმდებლობით, არამედ მასთან ერთად განსაკუთრებულ ეროვნული დასტურით ან რეფერენდუმით. ეს არის **სავალდებულო** რეფერენდუმი. არის კიდევ მეორე ფორმა რეფერენდუმისა – **ფაკულტატიური**. მოქალაქეთა განსაზღვრულ რიცხვს ან რამოდენიმე პოლიტიკურ ერთეულს (კანტონს ან შტატს) ეძლევა უფლება მოითხოვოს რეფერენდუმი შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა, განსაზღვრულ ვადაში. თუ ეს მოთხოვნილება ფორმალურად სწორია, მთავრობა ვალდებულია სადავო კანონი გადაიტანოს სარეფერენდუმოდ.

ეს ორივე ფორმა ეროვნულ კონტროლისა კანონმდებლობაზე საკვებით მისაღებია. თუმცა შვეიცარიის ისტორიამ დაამტკიცა, რომ ასეთ კონტროლზე დიდი იმედების დამყარება არ შეიძლება, მაგრამ როგორც ერთგვარი სტიმული პარლამენტის ფრთხილ და მოფიქრებულ მუშაობისთვის, ამ ორივე ფორმის შემოღება ჩვენში აუცილებლად საჭიროა და სასურველი.

2. გადასინჯვა კონსტიტუციისა

ეს საკითხი დიდად მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოდ სახელმწიფოსათვის, ისე განსაკუთრებით მსჯავრდებულ ხელისუფლებისათვის.

მუდმივი და საუკუნო ქვეყანაზე არაფერია: ყველაფერი ემორჩილება ევოლუციის კანონს. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ცოცხალ ორგანიზმზე, რომელსაც წარმოადგენს ერი. კონსტიტუციაც, როგორც ფორმა ეროვნულ ცხოვრებისა, აუცილებლად უნდა გამოიცვალოს მისდა მიხედვით, თუ რას წარმოადგენს ან როგორ შეიცვალა მისი შინაარსი – ეროვნული ცხოვრება. მაგრამ ორგანიული ცვლილება ყოველ დღე კი არა ჰხდება, უნდა ხანგრძლივი დრო, რომ აშკარა გახდეს ახალი მოთხოვნილება და მისდა შესაფერად გამოიცვალოს გარეგანი ფორმაც საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამიტომ საჭიროა დაცვა კონსტიტუციისა, შენახვა მისი, როგორც ძირითადი კანონებისა, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს თავისუფალი ცხოვრება მთელი ერისა და სახელმწიფოსი. საჭიროა შეცვლაც, გადასინჯვაც, მაგრამ ეს უნდა ჰხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს ნამდვილი ზრდა ეროვნულ ორგანიზმისა, რეალი და უტყუარი მოთხოვნილება საზოგადოებრივ ცხოვრებისა, და არა ისე ადვილად, როგორც ეს შეიძლება თავში მოუვიდეს ამ თუ იმ ჯგუფს ან პოლიტიკურ ავანტიურისტებს.

ამიტომ კონსტიტუციის გადასინჯვა დემოკრატიულ ქვეყნებში არა ჰხდება ჩვეულებრივი საკანონმდებლო წესით. შევიცარიაში, მაგალითად, თუ პარლამენტმა (ორივე პალატამ) გადაწყვიტა გადასინჯვა კონსტიტუციისა, უფლება აქვს შეუდგეს ამ საქმეს, მაგრამ გადასინჯული კონსტიტუცია უსათუოდ უნდა გადაეცეს ერს სარეფერენდუმოდ. თუ ერთი პალატა თანახმაა გადასინჯვისა და მეორე კი არა, მაშინ სარეფერენდუმოდ უნდა გადაეცეს ერსა წინასწარი საკითხი: საჭიროა თუ არა გადასინჯვა კონსტიტუციისა? თუ ამ საყოველთაო კენჭის ყრამ გადაწყვიტა, რომ საჭიროა გადასინჯვა, მაშინ უნდა მოხდეს ახალი არჩევნები პარლამენტისა და ამ პარლამენტმა გადასინჯოს კონსტიტუცია. ახლად შედგენილი კონსტიტუცია გადაეცემა ისევ ერს დასადასტურებლად. გარდა ამისა, 50.000 მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს

აგრედვე გადასინჯვა. ამ შემთხვევაშიც პროცედურა იგივეა: ჯერ ერის დაკითხვა საჭიროების შესახებ, მერე – ისევ უკანასკნელი დასტური ერის მხრივ ახალი კონსტიტუციისა.

ამნაირად, კონსტიტუცია ფორმალურად არ არის უბრალო კანონი. იგი თითქოს უფრო მტკიცე და შეუწყვეელი კანონია. ასეთი განსაკუთრებული ხასიათი კონსტიტუციისა უფლებას აძლევს სასამართლოს ერთნაირი კონტროლი გაუწიოს ჩვეულებრივ კანონმდებლობას: სასამართლოს უფლება აქვს არ გაუწიოს ანგარიში ისეთ კანონს, რომელიც არ ეთანხმება ან არღვევს კონსტიტუციას, და უარჰყოს იგი. სასამართლოს ვალია დაიცვას კონსტიტუცია. ამნაირად მყარდება წესიერება და უფლებრივი პრინციპები ცხოვრებაში.

ნაწილი მეექვსე

1. თავისუფლება

ყოველი სახელმწიფოებრივი აღნაგების დასაფასებლად ერთადერთი კრიტერიუმი არის თავისუფლება. მოსაწონია ან მიუღებელი ეს თუ ის ფორმა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ეს თუ ის ორგანიზაცია ხელისუფლებისა, ეს თუ ის წესი და კანონები – არა თავისთავად, არამედ მხოლოდ იმ მიზნის მიხედვით, რომელსაც ისახავს კაცობრიობა და რომლის განხორციელება წარმოადგენს უაღრეს ღირებულებას ჩვენი შვეგნების წინაშე. ეს ღირებულება, ეს ღია მიზანი, რომლისკენ მიიღტვის მთელი კაცობრიობა და რომელიც შეადგენს შინაგან აზრს მთელი ისტორიული პროცესისა, არის **თავისუფლება**. გამოაცალეთ ეს იდეა საერთაშორისო ომებს, კლასობრივ ბრძოლას, ინდივიდუალურ შრომასა და თავგანწირულებას, და თქვენ დაგრჩებათ მხოლოდ უაზრობა მთელი ისტორიულ პროცესისა.

მაგრამ რა არის თავისუფლება?

საბედნიეროდ ქართული ტერმინი ამ მხრივ მეტად მეტყველია და განსაკუთრებით იურიდიული. თავისუფალია ის, ვინც თავისთავის **უფალია**. ვისაც არა ჰყავს სხვა **უფალი**, სხვა ბატონი, გარდა თავისვე თავის. ეს სრულებით უბრალო და მარტივი ახსნა ერთბაშად აყენებს საკითხს თავის ბუნებრივ, განსაკუთრებით უფლებრივ, კალაპოტში და სულ არ შეეხება თავისუფლებას, როგორც ფილოსოფიურ შემეცნებას. ეს უკანასკნელი ჩვენთვის არც არის საჭირო ეხლა.

თავისუფლების შემეცნების გამოსარკვევად მოვიყვანოთ აზრი ორი უდიდესი მეცნიერებისა. მონტესკიე ამბობს: „თავისუფლება არის უფლება გააკეთო ის, რაც კანონით ნებადართულია“. ბლუნჩლი: „თავისუფლება არის შესაძლებლობა განახორციელო თავის სურვილი კანონით დადებულ საზღვრებში“. ქართული ტერმინი კი სულ სხვას გვეუბნება: თავისუფლება არის უფლება თავისთავზე; თუ მე და მხოლოდ მე მაქვს უფლება თავისთავზე, აშკარაა, საზღვარი ჩემი თავისუფლებისა თავდება მხოლოდ იქ, სადამდინაც კი სცემს ჩემი ბუნების ძალა და განვითარება, ჩემი პიროვნული ენერგია. ამ საზღვარში, რომელიც შემოხაზულია მხოლოდ ჩემი ბუნე-

ბის შემძლეობით, მე უნდა ვიყო უფალი თავისთავისა, თუ ვარ თავისუფალი.

ქართული შემეცნება, ეჭვი არ არის, უფრო სწორია და მართალი. ამ შეხედულებით უფლება არის მხოლოდ ნაწილი თავისუფლებისა, და არა მთელი თავისუფლება და მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კანონით ცნობილია და ნებადართული. ქართული შემეცნება არის დინამიკური, მაშინ ისმის ბგერა შინაგანი ენერჯისა, თითქოს იღუმალი ცოცხალი ძალა მომწვედელი იყოს ვიწრო ფარგალში და მუდამ ცდილობს გასწიოს და გააფართოვოს იგი. ფარგალი არის კანონები, მუდმივი ბგერა – საწინდარი მუდმივი განვითარებისა.

ამიტომ იდეა თავისუფლებისა მოითხოვს, რომ ადამიანის ენერჯია, მისი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალა არ იყოს ხელოვნურად შეზღუდული. მაშინ ადამიანი გაიშლება და განვითარდება მთელის სისრულით, შეიქმს მეტს სიმდიდრეს, მეტს ღირებულებას, როგორც მატერიალურს, ისე გონებრივს და ზნეობრივს, დაიმორჩილებს თვით ბუნების კანონებს და სამოთხედ გახდის ცხოვრებას დედამიწაზე. თავისუფლება არის ეს შემოქმედი ძალა, იმაზე დაყრდნობილი როგორც პიროვნული ბედნიერება, ისე კაცობრიობის იმედები.

ფიზიკურად: თავისუფლება ჰნიშნავს იმას, რომ ადამიანი თვითონ არის ბატონ-პატრონი თავისთავისა: შეუძლია ადგეს, დაჯდეს, იაროს, იმუშაოს და იცხოვროს, სადაც და როგორც თვითონ უნდა. თვითონ მოიხმაროს და დახარჯოს თავის ფიზიკური ჯანი და ღონე თავის სურვილისამებრ. არავისა აქვს უფლება ამ მხრივ ძალა დაატანოს. არა აქვს ეს უფლება თვით სახელმწიფოს.

გონებრივად: ადამიანის გონება არის ის საუნჯე, რომელსაც მართლა ემყარება კაცობრიობის იმედები. დააწყეთ ბლომად შემა ერთი მეორეზე და წაუკიდეთ ცეცხლი; მოეკიდება თუ არა ერთ ნაჭერს, ალი მაშინადვე გადადის მეორეზე, მოედება ყველას და ბოლოს წამოინთება უშველებელი კოცონი, რომელიც ანათებს მანამდე ბნელით მოცულ მიდამოებს. ასეთივეა კოლექტიური გონებაც: თუ ერთგან წამოინთო ინდივიდუალური გონება, მისი აზრი გადადის დანარჩენებზე, მოედება ყველას, წამოინთება ისეთი კოცონი ინტელექტუალური მუშაობისა, რომელმაც შეიძლება განაბნოს მსოფლიო წყვედადები. აქ ხელის შეშლა, აღმართვა რაიმე ზღუდეებისა, ჩაქრობა თუნდაც მცირე ნაკვერჩხალისა, პირდაპირ დანაშაულია კაცობრი-

ობის წინაშე. ამის უფლება არა აქვს არავის, არა აქვს თვით **სახელმწიფოსაც.**

ზნეობრივად: ადამიანი იტანჯება, თუ მისი მოქმედება არ ეთანხმება მისი სინდისის მოთხოვნებს. მის ბუნებაში არის ჩაყოლილი იდეალური ძალა, რომლის ხმა ისმის ყოველთვის, ხშირად არ ისვენებს ძილის დროსაც. იგი თავისებურად აფასებს ყოველ მოქმედებას და მოითხოვს, რომ იგი ეთანხმებოდეს უმაღლეს ზნეობრივ იდეალებს: ასეთია სათნოება, სიყვარული, ძმობა. უმაღლესი წერტილი ზნეობრივი განვითარებისა არის თავგანწირულება: ადამიანი ივიწყებს სრულებით თავის პირად ინტერესებს და თვით სიცოცხლე მსხვერპლად მიაქვს თავის მოძმეთათვის. აქ რაიმე შეზღუდვა, რასაკვირველია, ყოვლად მიუღებელია. მაგრამ თავგანწირულება არის მხოლოდ უმაღლესი წერტილი; მანამდე კი არის მთელი სიცოცხლე ადამიანისა, სავსე ყოველგვარი ზნეობრივი შეცდომებით და წინააღმდეგობით. სინდისი ვერ ისვენებს და ჰპოულობს გამოსავალს უზენაეს გონებაში. ადამიანი მუხლს იყრის და ევედრება „ღმერთს“. სარწმუნოება არის თავშესაფარი დიდი უმრავლესობისა. ვის შეუძლიან აუკრძალოს ადამიანს მოპოვოს მშვიდობიანობა სულისა – ისე, როგორც მოითხოვს მისი სინდისი? ეს უფლება არა აქვს თვით **სახელმწიფოსაც.**

ამ ზოგადი მოსაზრებიდან გამომდინარეობს შემდეგი საკონსტიტუციო პრინციპები.

ფიზიკურად:

- ა) ადამიანის პიროვნება – ხელუხლებელია;
- ბ) ადამიანის ხელობა – თავისუფალი;
- გ) ბინა – შეუკალი;
- დ) მიწერ-მოწერა – საიდუმლო;
- ე) საკუთრება – უზრუნველყოფილი.

გონებრივი თვალსაზრისით:

- ა) სიტყვა – თავისუფალია;
- ბ) ბეჭდვა – თავისუფალია.

ზნეობრივი თვალსაზრისით:

- ა) სარწმუნოება – თავისუფალია;

ბ) ღვთის მსახურება – თავისუფალია.

გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი არ არის განყენებული არსება, ის ჰცხოვრობს საზოგადოებაში და აქვს მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი იმასთან. ზემო მოყვანილი პრინციპებიდან თავის თავად ცხადია, რომ იმას აქვს უფლება გააფართოვოს თავის მოქმედება, გაავრცელოს თავის აზრი სიტყვით და წერით, დააგროვოს ძალი და ღონე თავის მიზნების მისაღწევად. მაშასადამე, აშკარაა თავისუფლება:

ა) კრებისა და

ბ) კავშირისა

ასეთია პიროვნული თავისუფლების ძირითადი პრინციპები; აქ თვით სახელმწიფომ უნდა აღიაროს: „ამ სფეროში მე ვერ შევიჭრები, მე არა მაქვს უფლება შევზღუდო იგი“. მაგრამ, სანამ შეუდგებოდეთ თავისუფლების დამოკიდებულების გამორკვევას სახელმწიფოსაგან, საჭიროა გამოვარკვიოთ მეორე დიდი იდეა: თანასწორობა.

2. თანასწორობა

იდეა პიროვნულ თავისუფლებისა, თუ ის მივიყვანეთ მის ლოგიკურ დასკვნამდე, პირდაპირ ეწინააღმდეგება იდეას საზოგადოებრივ ცხოვრებისას. უსაზღვრო პიროვნული თავისუფლება პირდაპირ დაშლას და უარისყოფას საზოგადოებისა, სახელმწიფოსი. ადამიანს კი საზოგადოების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიან. იგი უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ თავისუფალი – საზოგადოებაში. საზოგადოებაში სივრცე მისი თავისუფლებისა უნებურად და აუცილებლად ეხება სხვების თავისუფლებას და ამიტომ, აგრედვე აუცილებლად, უნდა შეიზღუდოს დანარჩენ წევრთა თავისუფლებით. აქ იბადება იდეა მეორე ძირითადი პრინციპის: **თანასწორობისა**. ყველა თავისუფალია, მაგრამ თავისუფალია თანასწორად.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ გამოაცხადა ეს ორი იდეა: თავისუფლება და თანასწორობა, – და განუყრელად გადააბა ერთი მეორეს. მართლა ეს ორივე განუყრელია; თავისუფლება არის წმინდა იდეა, ის განყენებულია, როგორც ღვთაება; მხოლოდ მაშინ, როცა იგი ჩამოდის მიწაზე, როცა იგი ჰხდება ხელმძღვანელი მისი ცხოვრებისა, იმასთან აუცილებლად იბადება იდეა თანასწორობისა. უამისოდ ან უნდა დაიშალოს

საზოგადოებრივი ცხოვრება ან უნდა დამყარდეს ისევე მონობა და ძალმომრეობა. შეიძლება ოდესმე, შორი ევოლუციის შემდეგ, კაცობრიობამ მიადწიოს განვითარების იმ წერტილამდე, როცა თავისუფლებას არ ექნება სხვა საზღვარი, გარდა ბუნების კანონებისა; მაგრამ ახლა, იმ განვითარების ხანაში, რომელშიდაც ჩვენ ვიმყოფებით, უსაზღვრო თავისუფლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოუდგენელია. თუ თავისუფლება ისაზღვრება მხოლოდ ფიზიკურ და გონებრივ ენერგიით, ეჭვი არ არის, უკანასკნელი გამარჯვება დარჩება მხოლოდ იმას, ვისაც აქვს მეტი ენერგია, მეტი ღონე და მოხერხება. მაშასადამე, გამეფდება ისევე ძალმომრეობა და მონობა. ამიტომ დიადი კორექტივი, რომლის შეტანა აუცილებელია თავისუფლების იდეაში, არის იდეა თანასწორობისა: თავისუფლება, ვრცელი იქნება ის თუ ვიწრო, უნდა იყოს *თანასწორი* ყველასათვის. ეს არის პირველი უფლებრივი საზღვარი თავისუფლებისა. მას შემდეგ, როცა დაედო პირველი საზღვარი თავისუფლებას, იგი არის უკვე უფლება და არა მარტო თავისუფლება ე.ი. ისეთი ნაწილი თავისუფლებისა, რომელიც ნებადართულია და უზრუნველყოფილი კანონით.

ჩვენს დროში ძალიან აირია ყოველგვარი უფლებრივი შემეცნება. თანასწორობის იდეაც, ეს წმინდად უფლებრივი შემეცნება, ახლა სულ გადააბრუნეს და ყირამალა დააყენეს. უფლებრივი თანასწორობა ბევრს ჰგონია თანასწორობა *მატერიალური*. ეს კი დიდი შეცდომაა. ქვეყანაზე არამც თუ არ არის თანასწორობა, არ არის ორი სახე, ორი მოვლენა სავსებით თანასწორი და ერთნაირი. შავი, თეთრი, მძიმე, მსუბუქი, დიდი, პატარა, ჭკვიანი, ბრიყვი – ეს აუცილებელი შემეცნება იმის მაჩვენებელია, რომ „ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“. თანასწორობა იმაში არ არის. თანასწორობა მხოლოდ უფლებრივი იდეაა: კანონის ნორმა ერთი და იგივე უნდა იყოს ყველასათვის. ამ მხრივ იგი უნდა ედარებოდეს ბუნების კანონებს. მზე ერთნაირად ანათებს ყველასათვის, ღარიბია ის თუ მდიდარი, ძლიერია ის თუ სუსტი. ყველა თანასწორია მზისა წინაშე, როგორც ყველა თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე. არ არის უპირატესობა და პრივილეგია.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი საკონსტიტუციო პრინციპები:

- ა) *ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე;*
- ბ) *ყველას აქვს ერთნაირი უფლება საპოლიტიკო, საჯარო და სამოქალაქო;*
- გ) *ყველას აწევს ერთნაირი ვალდებულობა სახელმწიფოს წინაშე.*

რადგანაც ვალდებულობა ჰნიშნავს მსხვერპლის გაღებას სახელმწიფო-სათვის, აქ სიტყვა „ერთნაირი“ უნდა გვესმოდეს, როგორც პროპორციულობა გაღებულ მსხვერპლის ფაქტიურ მდგომარეობასთან. შეუძლებელია სამხედრო ბეგარის მოხდა მოვთხოვით ავადმყოფს ან მოხუცებულს; დიდი გადასახადი – ღარიბს. ვალდებულობის საერთო სიმძიმე ყველამ ერთნაირად უნდა განიცადოს. თუ მხოლოდ დაცული იქნება ფორმალური თანასწორობა, ღონიერი მხარ-ბეჭი სიმძიმეს იოლად აიტანს, სუსტი კი – გაიჭყლიტება. პრინციპი თანასწორობისა მოითხოვს რომ ეს „იოლობა“ იყოს ყველასათვის თანასწორი; მაშასადამე სიმძიმის დანაწილებაც უნდა იყოს პროპორციული ან პროპორციულ-პროგრესული. მაშინ ეს საერთო სიმძიმე ზოგს სულ არ დააწვება, ზოგს დააწვება ნაკლებად, ზოგს კი უფრო მეტად.

ამნაირად ჩვენ მივიღეთ ერთნაირი წრე თავისუფლებისა, შემოხაზული თანასწორობის იდეით. მაგრამ წრე შეიძლება იყოს ძალიან ვიწრო ან ძალიან ფართო. ამიტომ ისმება იგივე საკითხი ახალი შესწორებით: სად უნდა გადიოდეს საზღვარი ამ **თანასწორ** თავისუფლებისა?

3. საზღვარი თავისუფლებისა

შეიძლება ერთ დროს, როგორც ამბობს სპენსერი, კაცობრიობა მივიდეს იმ განვითარებამდე, როცა კანონი სრულებით არ იქნება საჭირო. მაშინ ადამიანი იქნება სრულებით თავისუფალი თავის მოქმედებაში და მისი მოქმედება კი სრულებით შეთანხმებული საერთო ინტერესთან. მართლაც, სისხლის წვეთი ჰმოდრაობს ორგანიზმში და ასრულებს თავის სამუშაოს, რომელიც აუცილებლად საჭიროა მთელ ორგანიზმისთვის; თუმცა მისი მოძრაობა მომწყვდეულია იმ არტერიებში, სადაც იგი ჰმუშაობს, მაგრამ მისი „თავისუფლება“ წარმოუდგენელია ამ არტერიების გარეშე. არ უნდა იმას არც ბრძანება, არც ძალდატანება: იგი ასრულებს თავის მოვალეობას სრულებით „თავისუფლად“.

დაუმატეთ ამ ნატურალისტურ შეხედულებას შეხედულება იდეალისტურის. წარმოვიდგინოთ, რომ ყოველი წვეთი სისხლისა შეგნებული არსებაა, როგორც ადამიანი. რა უნდა მოისურვოს მან მაშინ ე.ი. მაშინ, როცა აქვს შეგნება თავის თავისა, თავის დამოკიდებულების და მთელი ორგანიზმისა? შეიძლება მოითხოვოს მან მეტი თავისუფლება თავისთვის, ვიდრე

აქვს? არა, ეს წარმოუდგენელია: მეტი თავისუფლება იქნებოდა სიკვდილი თვითონ სისხლისათვის და დაშლა ორგანიზმისა. რა გამოიცვლებოდა მამ იმ განწყობილებაში, რომელიც ეხლა სუფევს სისხლსა და ორგანიზმს შორის? – არაფერი. მიემატებოდა მხოლოდ შეგნება: სისხლს ეცოდინებოდა, რას აკეთებს თვითონ და ვისთვის აკეთებს, ეცოდინებოდა თავის როლი და როლი სხვებისა საერთო მუშაობაში; ამკარა იქნებოდა იმისთვის, რომ დაშლა ამ საერთო და შეწყობილ მუშაობისა სახიფათო იქნებოდა ყველასათვის. ამ შეგნებით უფრო განმტკიცდებოდა ეს სოლიდარობა. ასეთივე იქნება ადამიანის ცხოვრებაც საზოგადოებაში, ამ იდეალისკენ მიიღებს იგი, მაგრამ ჯერ ეს ევოლუცია არ დამთავრებულა. დრო იყო, როცა ასრულება საზოგადოებრივ მოვალეობისა ემყარებოდა მხოლოდ ძალმომრეობას, მხოლოდ მათრახის შემწეობით ახდევინებდნენ ფულს თუ სურსათს სახელმწიფო საჭიროებისათვის, მხოლოდ მათრახის შემწეობით გამოჰყავდათ ჯარისკაცები და სხვა. ახლა ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს: შეგნებული წევრები საზოგადოებისა არამც თუ იხდიან თავის ნებით გაწერილ გადასახადს, შემოაქვთ ხშირად ზედმეტი უხვი შემოწირულება სახელმწიფო საჭიროებისათვის; ხშირად თავის ნებით თავს იყრის მთელი ლაშქარი მოხალისეთა და სხვა. ერთის სიტყვით, იქ, სადაც კი არის განვითარებული ეროვნული შეგნება, თითოეული შეგნებული წევრი თვითონ, თავის ნებით, ასრულებს თავის მოვალეობას: მას არ სჭირია ბრძანება და ძალდატანება, არ სჭირია კანონი. თუ ეს ეგრე ჰხდება ახლაც კი, ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმეთ სპენსერის შეხედულებას, მხოლოდ იდეალისტურ სკოლის დამატებით: ეს განვითარება იქნება არა მარტო ბიოლოგიური, არამედ ადამიანურიც ე.ი. დამყარებული შეგნებაზე და თავისუფლებაზე. თავისუფლების საზღვარი მაშინ იქნება არა დაწერილი კანონი, არამედ მხოლოდ ბუნება და ბუნების კანონები.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯერჯერობით ეროვნული შეგნება არ არის ისე განვითარებული. თვითონ ერთ და იმავე საზოგადოებაში არის უთვალავი სხვადასხვაობა ამ განვითარებისა. ბევრია მკვეთრი და ნათელი შეგნება, მაგრამ შეუდარებლად უფრო მეტია სუსტი ან სრულებით მიბნელებული. უმთავრესი მასსა ხალხისა ჯერჯერობით მაინც ჰცხოვრობს მხოლოდ ბიოლოგიურად. მისი ნებისყოფა მხოლოდ დღიური საჭიროების გამოძახილია, მისი იდეალი – ზღაპრული ოცნება. ამისთანა არეში აუცი-

ლებლად საჭიროა შეგნებული, სახელმწიფოებრივი ნებისყოფის ხმა და კრიალი. საჭიროა კანონი.

ჯერ კიდევ დიდია ეგოისტური მიდრეკილება. ცხოვრების გაჭირვება, საზოგადო სიბნელე, მატერიალური ინტერესი და ბევრი სხვა მიზეზები ხშირად ისე ამოქმედებენ ადამიანს, რომ იმას თითქოს გასავალი არა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რასაკვირველია, აქ მართო ადამიანის ბრალი არ არის, დიდი ბრალი ედება ობიექტიურ პირობებს და საზოგადო წყობილებას, მაგრამ ის პირობები და წყობილება შეიქნებოდა კიდევ უფრო უარესი, თუ ეროვნულ ნებისყოფასთან შეუხამებელ და შეუფერებელ გამოსავალს მიეცემოდა მეტი გასაქანი. ეროვნულ ნებისყოფა იხატება ყველაზე უფრო კანონმდებლობაში. იქ, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კანონებში, წინასწარ განსაზღვრულია ის საქმე და მოქმედებანი, რომელნიც მიუღებელია და შეუხამებელი საზოგადო ცხოვრებასთან და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან. შეიძლება, ის კანონმდებლობა არ იყოს კარგი, არ ეთანხმებოდეს ნამდვილ ეროვნულ ნებისყოფას, მაგრამ სანამ იგი არსებობს და არ გამოცვლილა კანონიერ გზით, რასაკვირველია, იგი სავალდებულოა ყველასათვის. აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: ადამიანი სრულებით თავისუფალია თავის მოქმედებაში, თუ იგი უერთდება ან ეთანხმება ეროვნულ ნებისყოფას, მაგრამ შეზღუდულია იქ, სადაც იგი აშკარად ეწინააღმდეგება მას.

ეს დებულება არ უნდა გვესმოდეს ცალმხრივად და ვიწროდ. ბოლოს და ბოლოს ყოველი საზოგადოებრივი ინტერესი არის იმავე დროს ინტერესი ყველასი, ინტერესი პიროვნულიც. თვით პიროვნული თავისუფლება ინტერესია საზოგადოებრივი: იგი მთლიანად შედის საჯარო უფლების სფეროში. თუ ჩვენ, მიუხედავად ამისა, ეხლა დაეუპირდაპირეთ ერთმანეთს პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესი, მხოლოდ იმიტომ, რომ სახეში გვაქვს ის მომენტები პიროვნულ შეგნების გამოაშკარავებისა, როცა იგი არ არის საკმარისად შეგნებული, როცა იგი ამცდარია თავის ბუნებრივ მიმართულებას და იმიტომ წარმოადგენს საფრთხეს, როგორც თავისთვის, ისე საზოგადოებისათვისაც. მაშინ სახელმწიფოებრივმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს შესაფერი ზომა, რომ შეზღუდოს პიროვნული თავისუფლება და უზრუნველყოს თავისუფლება ყველასი – საზოგადოებრივი ინტერესი. ყოველი გასროლილი ქვა უნდა დაეცეს – მას აქვს ბუნებრივი მიმართულება: ეს არის მიწის მიმზიდველობის ცენტრი. ყოველ

ადამიანის მოქმედებას აქვს ბუნებრივი მიმართულება: ცენტრი ეროვნული მიმზიდველობისა – ეროვნული ინტერესი. ვინც ამ ბუნებრივ კანონს არ ემორჩილება, უნდა დამორჩილებულ იქნეს ან გაძევებული ეროვნულ ცხოვრებიდან. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზღვარი პიროვნული თავისუფლებისა არის ეროვნული ინტერესი.

4. შეზღუდვა თავისუფლებათა

ამნაირად, შეზღუდვა თავისუფლებისა აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი ინტერესი ამას მოითხოვს. ძირითადი ინტერესი სახელმწიფოსი, როგორც ცოცხალი ორგანიზმისა, არის **თავის დაცვა**, რომელიც შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: **შინაგან** და **გარეგან** თავდასხმისაგან.

I. შინაგან ცხოვრების თვალსაზრისით თავდასხმა სახელმწიფოზე გამოიხატება ყველა ისეთ მოქმედებაში, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს უფლებრივი წყობილების წინააღმდეგ. სახელმწიფო თვითონ არის განსაკუთრებითი უფლებრივი არე, უფლების უარისყოფა მის მიერ იქნება თავის თავის უარისყოფა. თუ იმან უნდა დაიცვას თავისი თავი, უნდა დაიცვას უფლებრივი წყობილება. ამიტომ არამც თუ უფლება, სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა წინააღმდეგ ყოველ ბოროტმოქმედებას, მიმართულს მის წინააღმდეგ, მიიღოს ღონისძიება ამ ბოროტების შესაწყვეტად და მისი სამსჯავრო გამოსაკვლევად. ამ მიზნით და ამ საჭიროების ფარგლებში სახელმწიფოს უფლება აქვს შეზღუდოს პიროვნული თავისუფლება:

ა) დააპატიმროს ბოროტმოქმედი ან ბოროტგამზრახველი, გააძევოს, გადაასახლოს ან აღუკრძალოს ადგილის გამოცვლა:

ბ) გაჩხრიკოს ბინა;

გ) გაეცნოს საიდუმლო მიწერ-მოწერას.

ამ ზომების მიღება ევალება აღმასრულებელ ხელისუფლებას. საზოგადოდ ადმინისტრაცია ყოველთვის ორ ცეცხლშუაა: მას ევალება დაცვა პიროვნული თავისუფლებისა და ამავე დროს, უფრო მეტად ევალება დაცვა საზოგადოებრივი ინტერესისა. ამ მოვლენათა შეფასებაში სუბიექტიური ელემენტი ყოველთვის დიდია და ამიტომ უსამართლობას და თვითნებობას ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს ადგილი. სათანადო მინისტრს, რომელიც

პასუხისმგებელია ადმინისტრაციის მოქმედებაში, ყოველთვის შეუძლიან სთქვას, რომ იგი „დარწმუნებულია“ იმაში, რომ იყო ან მზადდებოდა ბოროტმოქმედება და ამიტომ ვალდებული იყო დაეპატიმრებინა ეს თუ ის პირი ან გაეჩხრიკა იმისი ბინა. ადვილად შესაძლებელია, რომ ის „რწმენა“ მინისტრისა იყოს დამყარებული ან შეცდომაზე ან პირდაპირ თვითნებობაზე. რომ ეს არ მოხდეს, განსაკუთრებით თვითნებობას რომ ადგილი არა ჰქონდეს, საჭიროა ჩარევა მესამე ძალისა – მსჯავრმდებელ ხელისუფლებას: ყველა ეს შეზღუდვა პიროვნულ თავისუფლებისა უნდა მოხდეს სასამართლოს ან გამომძიებელ მოსამართლის დადგენით. მხოლოდ მაშინ, თუ ბოროტების კვალი და თანადამსწრეთა ჩვენება აშკარად უთითებენ ბოროტმოქმედებაზე. საზოგადოდ აქ ობიექტიური ხაზის გატარება ძნელია, ბევრი რამ დამოკიდებულია პოლიციის წარმომადგენლის კეთილსინდისიერებაზე. მაინც ყოველთვის სავალდებულოა, თუ წინასწარი არა, შემდეგი დასტური მაინც, მსჯავრმდებელ ხელისუფლებისა: 24 საათის განმავლობაში გამომძიებელ მოსამართლემ უნდა დაამტკიცოს დაპატიმრება და გამოუცხადოს დაკავებულს ანდა განათავისუფლოს იგი.

არ შეიძლება, მეორე მხრით, ადმინისტრაციულ ძალას სულ წავართვათ უფლება ინიციატივის და ენერგიულ მოქმედებისა. არ უნდა დაგვაიწიფდეს, რომ საზოგადოდ აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია დარაჯად ედგეს საზოგადოებრივ ინტერესს და დროზე მიიღოს ღონისძიება ყოველ ბოროტგანზრახულ გამოსვლების წინააღმდეგ.

გადავდივართ ზნეობრივ და გონებრივ არეში.

საყურადღებოა თავდაპირველად რელიგიური *კულტი* და *ღვთის მსახურება*. სინდისი, რასაკვირველია, თავისუფალია, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ სახე მისი გამოაშკარავების და მოღვაწეობისა არ ეწინააღმდეგება არსებულ უფლებებრივ წყობილებას. არის ბევრი სარწმუნოება, რომელიც ომის წინააღმდეგია; ეს სრულებით ზნეობრივი და მაღალი შეგნებაა, ამისთანა რწმენას შეიძლება დიდის პატივით მოვებყრათ, მაგრამ თუ იგი წინ აღუდგება საყოველთაო სამხედრო ბეგარას, რაც აუცილებელია ეხლანდელ პირობებში თვით სახელმწიფოს დასაცავად, რასაკვირველია, ასეთ მოქმედებას გასაქანი არ უნდა მიეცეს. საზოგადოდ ყოველი რელიგია თანასწორია პოლიტიკურად, არც ერთი არ იძლევა რაიმე უპირატესობას

სახელმწიფო სამსახურში შესვლისა ან წარჩინებისათვის. სახელმწიფო სარწმუნოებრივ კულტსა და ღვთის მსახურებაში სრულებით არ ერევა, ან ერევა მხოლოდ მაშინ, როცა იგი არღვევს საზოგადო მშვიდობიანობას ან ზნეობრივ შეხედულებას.

სინდისის თავისუფლების იდეამ გამოიარა დიდი და გასაოცარი ბრძოლა. მთელი საშუალო საუკუნე სავსეა თავგანწირულ ბრძოლის მაგალითებით. თითქმის იმისთანავე ისტორია აქვს სიტყვის და წერის თავისუფლებას. ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ჟურნალ-გაზეთობას** და **საჯარო კრებას**. პრინციპი თავისუფლებისა, რასაკვირველია, ეხლა ყოველ განათლებულ ქვეყანაში მიღებულია. მაგრამ აქაც არის გამონაკლისი, გამოწვეული სახელმწიფო ინტერესით. ხელმძღვანელი იდეა აქაც იგივეა, რაზედაც წინედ გვქონდა ლაპარაკი: აზრი, სიტყვიერი იქნება ის, თუ ბეჭდვითი, სრულებით თავისუფალია, თუ იგი უერთდება და ეთანხმება ეროვნულ ნებისყოფას; მაგრამ თუ იგი აცდა ამ გზას და მიმართულებას, კოლიზია აუცილებელია. თუ არის კოლიზია, უნდა ამუშავდეს სწორედ ის სახელმწიფოებრივი აპარატი, რომლის დანიშნულებაც არის ყოველ უფლებრივ კოლიზიათა გარჩევა და გადაწყვეტა ე.ი. სასამართლო, მაგრამ ისეთი სასამართლო, რომელიც წარმოადგენს ეროვნულ ნებისყოფის ხელოვნურ ორგანიზაციას. ასე არის სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ასეა მოწყობილი პასუხისმგებლობა პრესისა დემოკრატიულ ქვეყნებში. მაგრამ თუ არის ამ არეში ბოროტმოქმედება, აღმასრულებელ ხელისუფლებასაც უნდა ჰქონდეს ნება წინასწარ მოქმედებისა. იმას აქვს ეს უფლება: დააკავოს დაბეჭდილი წიგნები თუ გაზეთები; დაჰზუროს რედაქცია, დაბეჭდოს ტიპოგრაფია და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი. ყველა ზემოყვანილი მოქმედება მხოლოდ დროებითია, პრევენტიული, უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის სასამართლოს. უფრო დაწვრილებით განმარტება ამ საგნისა შედის სისხლის სამართლის სფეროში.

არანაკლებ სადავო გამოდის უფლება აღმასრულებელ ძალისა შესახებ **კრებისა და კავშირისა**. კრებაც და კავშირიც თავისუფალია, მაგრამ აღმასრულებელ ძალას უფლება ეძლევა დაშალოს ერთიც და მეორეც, თუ მათი მიზანი ან მოქმედება ემუქრება საზოგადოებრივ მშვიდობიანობას ან წესიერებას. საჯარო კრება არ შეიძლება იქ, სადაც ეს კრება ხელს უშლის სხვების მოძრაობის და მიმოსვლის თავისუფლებას; იგი მიმართულია სხვა მოქალაქეთა პიროვნების, ქონების ან ბინის ხელშეუხებლობის წი-

ნააღმდეგ; თუ იხატება პირდაპირი აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ სრულებით კანონიერია კრიტიკა, თუნდაც მკაცრი, მთავრობის მოქმედებისა და მისი პოლიტიკისა, მიღება ყოველგვარი რეზოლუციისა და მოთხოვნისა, გამართვა პროცესის და დემონსტრაციის და სხვა. სულ ეს არის მხოლოდ თავისუფალი გამოხატვა სურვილის და ნებისყოფისა და, სანამ იგი არ არღვევს საზოგადოებრივ წესიერებას, ადმინისტრატიულ ჩარევას იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

რაც შეეხება **კავშირის** თავისუფლებას, აქაც ჰმოქმედებენ იგივე მოსაზრებანი. კავშირს აქვს თავის ორგანიზაცია, თავისი წესდება; იგი არ არის შემთხვევითი და ერთდროული მოვლენა, როგორც საჯარო კრება. იგი უფრო ხანგრძლივია, მისი მოქმედება – წინასწარ განზრახული და მიზანშეწონილი. თავისუფალია ყოველნაირი კავშირი, ყოველნაირი მიზნის მისაღწევად, თუ ეს მიზანი არ არის აღკრძალული კანონით და არ ემუქრება საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და წესიერებას. კავშირი შეიძლება დახუროს ან დაშალოს ადმინისტრაციამ, მაგრამ უკანასნელი დასტური ამ მოქმედებისა ეკუთვნის მაინც სასამართლოს.

II. ყოველ სახელმწიფოსათვის უფრო სახიფათოა გარეგანი თავდასხმა. სახელმწიფოს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, უნდა ჰქონდეს ორგანო თავის დაცვისა და მტრის მოგერიებისა. ეს არის ჯარი, სამხედრო ძალა. ეს აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ერთნაირ შეზღუდვას პიროვნულ თავისუფლებისას: ყველა, თანახმად მდგომარეობის და შესაძლებლობისა, ვალდებულია მოიხადოს სამხედრო ბეგარა. ვინც გაურბის ამ ვალდებულებას, ის დამნაშავეა, და აღმასრულებელ ხელისუფლებას უფლება ეძლევა მოიხმაროს ძალა ამ ვალდებულების გასატარებლად. წესი და რიგი ამ ბეგარის მოხდისა განსაზღვრულია კანონში, ადმინისტრაციას უფლება არა აქვს შესცვალოს იგი, დაუმატოს ან დააკლოს რამე.

როგორც ჯარისათვის, ისე სხვადასხვა შინაურ ხარჯების დასაფარავად, სახელმწიფოს სჭირია ფინანსური ღონისძიება – ფული. ეს მოთხოვნილებაც ერთნაირად ჰზღუდავს პიროვნულ თავისუფლებას: ყველა, თანახმად შეძლებისა, ვალდებულია გაიღოს ერთი ნაწილი თავის შემოსავლისა ამ ხარჯების დასაფარავად. ეს ვალდებულებაც აღნიშნულ უნდა იყოს კანონში, მისი რაოდენობა, წესი მოკრეფის და ხარჯვისა.

ქონების ხელშეუხებლობის გამონაკლისია აგრედევე ეგრედ წოდებული **ექსპროპრიაცია**. თუ სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროება

მოითხოვს, კერძო მესაკუთრემ უნდა დაუთმოს სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმმართველობას თავისი უძრავი ქონება. ამ დათმობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს აგრედვე კერძო პირის ან კომპანიისათვისაც, თუ ეს ან კომპანია იწყებს რაიმე საქმეს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობისას. უპირატესობა ყოველთვის ეძლევა საერთო ინტერესს, მაგრამ დაცული უნდა იყოს ყოველთვის კერძო მესაკუთრის ინტერესიც: მესაკუთრემ უნდა მიიღოს სამართლიანი საფასური ჩამორთმეულ ქონებისა და აინაზღაუროს ყოველი ზარალი, რომელიც კი მოსდევს ამ ჩამორთმევას. ამ საფასურის და ზარალის გამოსაკვლევად დიდი როლი ეკუთვნის სასამართლოს, ხოლო აღიარება სახელმწიფოებრივი ინტერესისა და გადაწყვეტა თვით ჩამორთმევისა უნდა ჰხდებოდეს სპეციალურ კანონით.

ასეთია მოკლედ შეზღუდვა თავისუფლების პრინციპისა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ყველა ეს შეზღუდვა, როგორც დავინახეთ, მხოლოდ გამონაკლისია საერთო პრინციპებისაგან და მოქცეულია ისეთ ფორმალურ პირობებში, რომ თვითნებობას არა აქვს დიდი გასაქანი შეავიწროვოს ცხოვრების თავისუფალი მიმდინარეობა.

III. მაგრამ არის ერთი ფორმა ამ შევიწროებისა, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ეს გახლავთ სამხედრო ან საალყო წესების შემოღება. ეს წესები ჰგულისხმობენ თავისუფლების საკონსტიტუციო გარანტიის შეჩერებას. ეს ჰხდება მხოლოდ ომის ან აჯანყების დროს. თავისთავად ცხადია, ამისთანა განსაცდელის ჟამს მთავრობამ უნდა შემოიკრიბოს მთელი თავისი ძალა და მთელი სახელმწიფოებრივი ენერჯია დაუპირდაპიროს გარეშე თუ შინაურ მტერს. ენერჯია არ ჰნიშნავს მარტო სამხედრო ძალის მობილიზაციას; ენერჯია ყველას აქვს, შეუძლებელი ჰხდება თვალყურის დევნა ყოველი ენერჯიის მოქმედების და მიმართულებისათვის. ამიტომ ყოველ დაბრკოლების და თავის მოქმედების შეფერხების ასაცილებლად, მთავრობა იძულებული ჰხდება გამოაცხადოს სამხედრო ან საალყო წესები, ე.ი. საერთოდ (და არა ამ თუ იმ კერძო პირისათვის) შეზღუდოს, განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, თავისუფლება მიმოსვლის, სიტყვის, წერის, კრების და სხვა. შეიძლება მოახდინოს ევაკუაცია ამ თუ იმ ადგილისა, დაიჭიროს უძრავი ქონება ამ თუ იმ პირისა და ყველა ამ მოქმედებისათვის გამოსცეს სავალდებულო განარგულებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან სამოქალაქო თავისუფლების პრინციპს. აქ ჰხდება დიდი შევიწროება სრულიად პატიოსან მოქალაქეთა, მაგრამ ეს მსხვერ-

პლი უნდა გაიღონ, დაემორჩილონ მთავრობას და აასრულონ მისი ბრძანება. ასეთი უფლება აქვს მთავრობას, მაგრამ შეუძლებელია ითქვას, რომ ეს უფლება მას აქვს ყოველთვის და ყოველ პირობებში. ამისთანა უფლება იქნებოდა გადატრიალება სახელმწიფო წყობილებისა. არა, მთავრობას ეს უფლებას ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა ობიექტიური პირობები აშკარად ამხელენ მოსალოდნელ ხიფათს. შეფასება ამ პირობებისა თავდაპირველად ეკუთვნის მთავრობას, მაგრამ იგი ამავე დროს ვალდებულია დაუყვანებლივ აცნობოს თავის გადაწყვეტილება პარლამენტს, რომლის კონტროლის ქვეშ იგი ჰმოქმედებს. ყოველი სამხედრო თუ საალყო წესის შემოღებას უნდა მოსდევდეს დასტური პარლამენტისა. პარლამენტის სხდომაზე ჰხდება ხელახლად შეფასება შექმნილ პირობებისა და თუ აღმოჩნდა, რომ მთავრობამ ვერ აუღო ალლო გარემოებას და გადააჭარბა თავის უფლებას, შემოღებული წესი მოხსნილი იქნება და მთავრობამ პასუხი უნდა აგოს თავის უსაფუძვლო მოქმედებაში. პასუხისმგებლობა იქნება პოლიტიკური ან სისხლის სამართლისა. გააჩნია მთავრობის მოქმედების ხასიათს.

ამისთანა შემთხვევებში მთავრობამ უნდა მოიწვიოს პარლამენტი, თუ მისი სესია შექმნილია.

5. გარანტია თავისუფლებისა

თავისუფლება შეიძლება გამოცხადებულ იქმნას, მაგრამ მართო გამოცხადებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საჭიროა კიდევ გარანტია თავისუფლებისა.

საზოგადო თავისუფლების გარანტია არის მთელი დემოკრატიული წყობილება: საყოველთაო არჩევნები, პარლამენტი, პასუხისმგებლობა სამინისტროსი, დამოუკიდებლობა სასამართლოსი და სხვა. ყველა ამ რთულ ორგანიზაციას აქვს ერთად ერთი აზრი და გამართლება – უზრუნველყოფა თავისუფლებისა. ამ საზოგადო წყობილებაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ეხლა შევჩერდეთ თავისუფლების სპეციალურ გარანტიაზე.

ეს გარანტია არის ორნაირი: სასამართლო და საკონსტიტუციო.

ა) სასამართლო, როგორც გარანტია თავისუფლებისა

თავისუფლებას შიში და შეზღუდვა მოელის ისევე სახელმწიფოებრივ ხელისუფლებათაგან. სახელმწიფოს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს და ისე

აუცილებელი პირობაა თვით თავისუფლებისათვის, რომ ყოველთვის არის ერთნაირი ფსიქოლოგიური მიდრეკილობა მის დასაცავად და განსამტკიცებლად. ეს დაცვა და განმტკიცება კი ჰხდება ხშირად თავისუფლების ანგარიშზე. ამიტომ საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარანტია, რომელიც ეძლევა თითოეულ მოქალაქეს თავის თავისუფლების დასაცავად და შელახულ უფლების აღსადგენად.

შეგჩერდეთ პირველად თვით მსჯავრმდებელ ხელისუფლებაზე. რა გარანტია აქვს მოქალაქეს, თუ სასამართლომ დაარღვია მისი თავისუფლება ან უარჰყო მისი უფლებანი? საზოგადოდ სასამართლოსთვის არსებობს პრეზუმფცია, რომ მისი გადაწყვეტილება ყოველთვის ეთანხმება **სამართალს** და მას თავის ბუნებით არ შეუძლიან შეჰლახოს ვისიმე უფლება. ხშირად, რასაკვირველია, ეს აგრე არა ჰხდება, მაგრამ სახელმწიფოსათვის აუცილებლად საჭიროა მისცეს სასამართლოს გადაწყვეტილებას ზნობრივი ავტორიტეტი, უფლებრივი სიმტკიცე და შეურყევლობა. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა თვით სახელმწიფოსათვისაც. ყოველი განაჩენი – კერძო კანონია, შესახებ რაიმე კონრეტული საქმისა ან დავისა. ვინაიდან ასეთი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს, მისი შრომაც და მოქმედებაც ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომ თვით ეს პირობები არის გარანტია სამართლისა ე.ი. თავისუფლებისა, ვინაიდან სამართალი არის მაქსიმუმი თავისუფლებისა, დასაშვებელი და შესაძლებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს პირობები ჩვენ ჩამოთვლილი გვექნდა ადრე. აქ მივაქცევ მხოლოდ ყურადღებას რამდენიმე ინსტანციების არსებობას. არის ორი ინსტანცია თითქმის ყველა საქმისათვის, სადაც ჰსწარმოებს ყოველი დავის არსებითად განხილვა. თუ მოქალაქე ჰგონობს, რომ მისი უფლება შელახულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას შეუძლიან საჩივარი გადაიტანოს მეორე ინსტანციაში; თუ აქაც ვერ მიიღო დაკმაყოფილება, მას შეუძლიან მესამე (საკასსაციო) ინსტანციაში მოითხოვოს ფორმალური გადასინჯვა თავის საქმისა. თუ აქაც ვერ გაატარა თავისი აზრი, მან უნდა თავის სინდისის წინ აღიაროს, რომ იგი ან არ იყო მართალი, ან შეცდომაში შედიოდა. შეიძლება ზოგჯერ უკანასკნელი სასამართლოს გადაწყვეტილებაც არ ეთანხმებოდეს „სამართალს“, მაგრამ ეს მაინც იშვიათი მოვლენაა, ძალიან სამწუხაროც, ხოლო მოქალაქე მაინც უნდა დაემორჩილოს მას, ვინაიდან არ არის სხვა ღონე: სიმტკიცე და შეურყევლობა სასამართლოს გადაწყვეტილებისა წარმოადგენს ისეთ დი-

რეულებას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. არის მხოლოდ ერთი გამო-
ნაკლისი ისიც მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში: სახელმწიფოს
თავისუფლება აქვს შეწყალბისა. მას შეუძლიან სულ მოხსნას ან შეუმ-
ციროს სასჯელი დამნაშავეს. მაგრამ ეს არ არის არც გადასინჯვა, არც
შერყევა გადაწყვეტილებისა. ეს არის მხოლოდ შეწყალება და არ შედის
(თეორიულად მაინც) მართლ-მსაჯულების არეში.

მორე არის – კანონმდებელი ხელისუფლება. რა გარანტია აქვს მოქა-
ლაქეს, რომ ამ ხელისუფლებამ არ შეზღუდოს ან არ შეკლახოს მისი
თავისუფლება? აქაც უნდა ითქვას, რომ მოქალაქეს კანონმდებელ ხელი-
სუფლებისაგან არ მოელის შიში. კანონმდებელი ორგანო თვითონ ჰქმნის
უფლებრივ ნორმებს, თვითონ აფართოებს თავისუფლების საზღვარს და
თვალყურს ადევნებს მთავრობას, რომ დაცულ იქმნას ეს თავისუფლება
ცხოვრებაში: ამიტომ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ კანონმდებელი ორგა-
ნო თვითონ იქნება მიზეზი თავისუფლების შეზღუდვის და შევიწროებისა,
თუ ამას რაიმე განსაკუთრებული პირობა ან სახელმწიფოებრივი განსაც-
დელი დროებით არ მოითხოვს. მართალია, რაიმე აუცილებელი რეფორმა
ან გარდაქმნა ცხოვრების რომელიმე დარგში უკვე დაძველებულ და დრო-
მოკმულ უფლებრივ განწყობილების ხშირად ჰკვლის მდგომარეობას და
ბევრს დიდ ზიანსაც მიაყენებს ხოლმე, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ იმისთ-
ვის, რომ მიეცეს მეტი გასაქანი თავისუფლებას. დრომოკმული წესი და
კანონები აფერხებენ ცხოვრებას, გზას უღობავენ მის განვითარებას და
სწორედ იდეა თავისუფლებისა მოითხოვს მათი გარდაცვლას და მათ გარ-
დაწმენდას. რასაკვირველია, აქაც უთავბოლო გატაცებას ადგილი არ უნდა
ჰქონდეს, სიფრთხილე და თანდათანობა აუცილებელია, რომ რაც შეიძლება
უმტკივნეულოდ მოხდეს ახალი წესის დამყარება, მაგრამ არც იმას უნდა
შევეშინდეთ, თუ ამისთანა აუცილებელ რეფორმას რამოდენიმე პირის ან
მცირე-რიცხოვანი წრის ინტერესი შეეწირება. უამისოდ არ არის პროგრე-
სი. აქ არ არის „თავისუფლების გარანტიაც“ კერძო პირისათვის და არც
უნდა იყოს: იგი უნდა დაემორჩილოს კანონს, თუნდაც ეს კანონი პირადად
მისთვის ხელსაყრელიც რომ არ იყოს.

მაგრამ არის ერთი შემთხვევა, როცა მოქალაქეს უფლება ეძლევა არ
დაემორჩილოს კანონს. ამ შემთხვევას ჰქვიან დავა **კანონის კონსტიტუცი-
ურობაზე**. მოქალაქეს უფლება აქვს აღძრას სასამართლოში საკითხი იმ-
აზე, თუ რამდენად კონსტიტუციურია ის კანონი, რომელიც ჰზღუდავს მის

თავისუფლებას ან ემუქრება ამ შეზღუდვით. მას შეუძლიან წარადგინოს სასამართლოს თავის მოსაზრებანი და შეეცადოს დაამტკიცოს, რომ ეს თუ ის კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, არ ეთანხმება მის დებულებებს, და ამიტომ არც არის მისაღები, როგორც კანონი. სასამართლო ვალდებულია შევიდეს ამ კითხვის განხილვაში და თუ დაინახა, რომ მომჩივანის განცხადება საფუძვლიანია, შეუძლია უარი ჰყოს ის კანონი და არ იხელმძღვანელოს იმით სადავო საქმის გადაწყვეტაში. ამ გზით მოქალაქეს ეძლევა საშუალება არ დაემორჩილოს ისეთ კანონს, რომელიც ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო პრინციპებს. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო გადასინჯვა ან შესწორება არა ჰქნება ჩვეულებრივ კანონმდებლობით და სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება ზემოყვანილი საკანონმდებლო კონტროლისა.

მესამე არის – აღმასრულებელი ხელისუფლება. მისი მოქმედების არე დიდად ვრცელია და მრავალ-ფერი. იგი ყოველ-წამ პირდაპირ და უშუალოდ ეხება ცხოვრებას და ყოველ-წამ მოსალოდნელია მისგან შეზღუდვა და შევიწროება სამოქალაქო თავისუფლებისა. აქ გარანტია თავისუფლებისა აუცილებლად საჭიროა. ეს გარანტია არის სასამართლო. ყოველი მოქმედება და განკარგულება მთავრობისა შეიძლება განსაჩივრებულ იქმნას დაინტერესებულ მოქალაქის-მიერ სასამართლოში. მთავრობა და თითოეული მისი წარმომადგენი, თითოეული მოხელე, ვალდებულია მხოლოდ აასრულოს კანონი და თავის მოქმედებაში არ გადაცდეს კანონის საზღვარებს. თუ იგი აფართოებს თავის უფლებას უფრო მეტად, ვიდრე კანონი ამას მოითხოვს, და ამით ავიწროებს სამოქალაქო თავისუფლებას, მისი მოქმედება მოკლებულია კანონიერ საფუძველს, იგი – უკანონოა და ამიტომ არ არის სა-ვალდებულო მოქალაქისათვის. მოქალაქემ ყველა ამისთანა საკითხი უნდა გადაიტანოს სასამართლოში, მისი შემწეობით შეაჩეროს ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება და დაიცვას თავისი თავისუფლება. სასამართლო ვალდებულია მიიღოს განსახილველად ყველა ამისთანა საჩივარი და თავის დადგენილებით ჩააყენოს უფლებრივ საზღვრებში მოქმედება ადმინისტრაციისა. აქ სასამართლო მართლა არის ნამდვილი გარანტია სამოქალაქო თავისუფლებისა.

ბ) საკონსტიტუციო გარანტია

თავისუფლების დასამყარებლად და განსამტკიცებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ დემოკრატიულ წესწყობილებას, მაგრამ შემცდარი იქნება ის, ვინც ყველა იმედებს ამ მხრივ ამყარებს მხოლოდ სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვითონ ადამიანზე. თავისუფლება განმტკიცებულია მხოლოდ იქ, სადაც თითოეული მოქალაქე თვითონ უდგას დარაჯად თავის თავისუფლებას და არც არავის შეალახვინებს იმას. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ მოქალაქე იყოს აღჭურვილი ამისთანა უფლებით. ზოგ კონსტიტუციაში ეს უფლება პირდაპირ აღიარებულია; მაგალითად მე-11 მუხლი 1793 წლის დეკლარაციისა (საფრანგეთი) ამბობს: „ყოველი აქტი, მიმართული ვისიმე წინააღმდეგ, გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევების და ფორმისა, თვითნებურია და ტირანიულია; იმ პირს, რომლის წინააღმდეგ მიმართულია ეს აქტი, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს ძალადობით მის სისრულეში მოყვანას“.

ამნაირად იბადება პრინციპიალური საკითხი: აქვს თუ არა უფლება მოქალაქეს წინააღმდეგობა გაუწიოს ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია მისი თავისუფლების წინააღმდეგ? თუ იგი ვალდებულია მოითმინოს ყოველი თავდასხმა და მხოლოდ შემდეგ უნდა მიმართოს სასამართლოს თავის უფლების აღსადგენად? ეს კითხვა საზოგადოდ დავას არ იწვევს: ყველას აქვს უფლება დაიცვას თავისი თავი, თავისი ღირსება და პატიოსნება, ყოველი ღონისძიებით, ძალადობასაც კი დახვდეს ძალადობით. ამაზეა დამყარებული საკონსტიტუციო უფლებაც იარაღის თავისუფლად ტარებისა. მაგრამ საკითხი იწვევს დავას, როცა იგი შეეხება რომელიმე სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმომადგენელს. მართლაც, მორჩილება აუცილებელი პირობაა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. თუ ყოველ მოქალაქეს ექნება წინააღმდეგობის უფლება, ყოველთვის იქნება დავა და ჩხუბი მოქალაქეთა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის. ამიტომ ამბობენ, რომ მოქალაქე ყოველთვის ვალდებულია დაემორჩილოს მთავრობის და მის მოხელეების ბრძანებას და განკარგულებას; თუ ამ მოქმედებით მისი უფლება შელახულია, მან უნდა შემდეგ განასაჩივროს და სასამართლოს წესით ეძიოს თავისი უფლების აღდგენაო. ეს საკითხი შედის აგრედვე სისხლის სამართლის სფეროში: ძალადობა სახელმწიფოებრივ

ხელისუფლების წინააღმდეგ იქ აღიარებულია, როგორც დანაშაული. ბევრია კრიმინალისტი, რომელიც იცავს ამ შეხედულებას.

საკონსტიტუციო უფლება ამ საკითხს სხვანაირად უყურებს. სამოქალაქო თავისუფლება, რაკი მან მოიპოვა თავის ადგილი კონსტიტუციაში, არის უკვე **უფლება**, ცნობილი და უზრუნველყოფილი ძირითადი კანონით. მოქალაქე, რომელიც იცავს თავის უფლებას, ჰმოქმედებს სრულებით კანონიერად და არ უნდა ჩაითვალოს დამნაშავედ. დაუპირდაპირით ეს მდგომარეობა მოქალაქისა სახელმწიფო მოხელეს: როდის არის სავალდებულო ამ უკანასკნელის ბრძანება ან მოქმედება? – როცა იგი კანონიერია. მამასადამე, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ძალადობა მოქალაქისა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ თუ იმ ხელისუფლების **კანონიერ** განკარგულებას ან მოქმედებას. თუ ის განკარგულება ან მოქმედება კანონიერ საფუძველს მოკლებულია, მაშინ კანონის დამრღვევად გამოდის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მოქალაქე კი, რომელიც მას წინააღმდეგობას უწევს, გამოდის დამცველი კანონისა და წესიერებისა. ამიტომ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება წინააღმდეგობისა ხელისუფლების მიმართ, თუ მისი მოქმედება უკანონოა.

მაგრამ როდის არის უკანონო ხელისუფლების მოქმედება? უკანონოა იგი, როცა ეწინააღმდეგება თავისუფლების საკონსტიტუციო პრინციპებს. თუ არის ისეთი შემთხვევა, როცა კონსტიტუციის ძალით შესაძლებელია გამონაკლისი, მაშინ ხელისუფლების მოქმედება თუ განკარგულება უნდა აკმაყოფილებდეს სათანადო ფორმალურ მოთხოვნილებებს. თუ ეს ფორმალური მხარე დაცული არ არის, მოქალაქეს კვალად ეძლევა უფლება წინააღმდეგობისა. მაგალითად, საკონსტიტუციო პრინციპია – ბინის შეუვალობა. ყველას აქვს უფლება თავის ოჯახში გარეშე პირი არ შეუშვას და ამისთვის იხმაროს ძალადობაც. თუ ვინმე მოხელე ჰითხოვლობს სახლში შესვლას, მან უნდა წარუდგინოს სახლის პატრონს სათანადო სასამართლოს დადგენილება; ეს ფორმალური მოთხოვნილებაა და უამისოდ სახლის პატრონს კვალად უფლება ეძლევა წინააღმდეგობა გაუწიოს და ძალაც იხმაროს. ამისთანა წინააღმდეგობა სრულებით კანონიერია. რასაკვირველია, ეს მხოლოდ უფლებაა და არა ვალდებულება. თუ სახლის პატრონის თანხმობა არის, რა თქმა უნდა, ყველას შეუძლიან სახლში შესვლა. ცხოვრებაში ეს აგრეც ჰხდება: მოქალაქე კარგად ჰგონობს, რომ ძალიან ბევრ შემთხვევაში არავითარი აზრი არა აქვს წინააღმდეგობას და ნებას

აძლევს ამა თუ იმ მოხელეს, შემოვიდეს და დაათვალიეროს ბინა, თუ ეს რაიმე საქმისათვის საჭიროა.

ავიღოთ მეორე პრინციპი: – პიროვნება ხელშეუხებელია. ჩვენ დავინახეთ, როდის აქვს მილიციას უფლება დაიკავოს ან დაატუსაღოს მოქალაქე. მაგრამ ვსთქვათ, მილიცია შეეცადა დაატუსაღოს ისეთი პირი, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. ამისთანა შემთხვევაში მოქალაქეს აქვს სრული უფლება, ძალადობით წინააღმდეგობა გაუწიოს მილიციას. ვსთქვათ, ამ შეტაკებაში მან დასჭრა ან მოკლა მილიციელი. რა იქნება უფლებრივი შედეგი ამისთანა მოქმედებისა? პასუხი დამოკიდებულია საქმის ფაქტიურ მხარეზე. თუ სასამართლომ დაინახა, რომ მილიციას არა ჰქონდა არავითარი ობიექტური საბუთი იმისთვის, რომ ეჭვი აეღო ამ მოქალაქის რაიმე დანაშაულობაში და მისი დატუსაღება მონადრომა სრულე-ბით უსაფუძვლოდ, მან უნდა სცნოს მოქალაქის წინააღმდეგობა კანონიერად და გაამართლოს იგი. თუ კი მილიციას ჰქონდა საკმარისი საფუძველი მისი დასაჭერად, მაშინ წინააღმდეგობა გამოდის დანაშაული და სასამართლომაც დანაშაულს უნდა გადაუწყვიტოს შესაფერი სასჯელი.

ჩვენთვის საკმარისია მივიღოთ ეს დებულება: წინააღმდეგობა კანონიერია, როცა ხელისუფლება ჰმოქმედებს უკანონოდ. ასეთი პრინციპი არამც თუ არ აფერხებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, პირიქით, უფრო განამტკიცებს მას. მოქალაქე ემორჩილება კანონს და არა ადმინისტრაციის თვითნებობას. როცა იდეა კანონიერებისა გამეფდება ამნაირად ადმინისტრაციის და მოქალაქეთა შეგნებაში, მაშინ ორივე მხარეს ექნება მეტი პატივისცემა ერთმეორისადმი: უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო თავისუფლება და ამავე დროს, სავსებით დაცული სახელმწიფოს ინტერესი.

ეს არის ინდივიდუალური წინააღმდეგობა.

არის კიდევ მეორე ფორმა წინააღმდეგობისა: კოლექტიური.

თუ ერთ მოქალაქეს უფლება აქვს წინააღმდეგობისა ზოგჯერ თავის თავისუფლების დასაცველად, აშკარაა, იგივე უფლება უნდა ჰქონდეს მთელს საზოგადოებას ან ერთ მის ნაწილს. თეორიულად ეს ასეა, ხოლო პრაქტიკულად ამას არა აქვს მნიშვნელობა. დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც თავისუფალია პრესა და საჯარო კრებები, კოლექტიური წინააღმდეგობას არა აქვს ნიადაგი. თუ რაიმე უკმაყოფილებაა საზოგადოებაში მთავრობის წინააღმდეგ, უფრო ადვილად მიჰმართავენ ხოლმე ჟურნალ-გაზეთებს, საჯარო კრებებს და სხვა კანონიერ საშუალებებს, რომ აღძრან

და შექმნან საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ყოველთვის დიდი გავლენა აქვს მთავრობასა და კანონმდებლობაზე. თვითონ პარლამენტი უმთავრესი იარაღია საზოგადოებრივ აზრისა და ნებისყოფისა.

ამიტომ კოლექტიური წინააღმდეგობა, როგორც საკონსტიტუციო გარანტია თავისუფლებისა, ეხლა რეალურად არც კი არსებობს. კოლექტიური წინააღმდეგობას ეხლა, თუ იგი ჰქნდება, სულ სხვა ხასიათი აქვს: იგია სარევილიუციო და არა საკონსტიტუციო მოძრაობა. რევოლუცია, როგორც განსაკუთრებული სოციალური მოვლენა, საკონსტიტუციო პრინციპების გარეშე ჰდგას და ამიტომ არც შედის ჩვენი გამოკვლევის ფარგალში.